

„ბრითიშ ეარვეისმა“ „ელექტრონული ბილეთის“ სისტემა შემოიღო

A2




„მინი დავოსი“ უკრაინულად

A5



გატეხილი დაპირება და გაცრუებული იმედი

A7

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

პარასკევი, 17 ივნისი, 2005 წელი. №135 (995)

ფასი 50 თეთრი

© გაზეთი 24 საათი

# მოლაპარაკებებში წინსვლა შეინიშნება

*ორი დღის განმავლობაში მოსკოვში, ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებები მიმდინარეობდა, რომელშიც ქართული მხრიდან მონაწილეობას კონფლიქტის დარეგულირების საკითხებში სახელმწიფო მინისტრი გოგა ხაინდრავა და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მერაბ ანთაძე იღებდნენ. საუბარი სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენასა და დევნილთა აფხაზეთში დაბრუნებას ეხებოდა.*
*ქართული მხარე მოლაპარაკებებში წინსვლას ამჩნევს.*

**“მე ამ მოლაპარაკებებით კმაყოფილი ვარ. განწყობა ძალზე სანდოა. ჩვენ ვგრძნობთ დიალოგის ახალ ტონს იმასთან შედარებით, რაც ადრე იყო,”** - აღნიშნა “24 საათთან” საუბრისას საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა და ხაზი გაუსვა, რომ მოლაპარაკებები არის ერთადერთი გზა, რომლითაც ერთობის მიღწევა, დევნილთა დაბრუნება და იმ ურთიერთობის აღდგენა არის შესაძლებელი, რაც ქართველ და აფხაზ ხალხს შორის ტრადიციულად იყო.

გაგრძელება A3 გვერდზე

# რკინიგზა და პოლიტიკა

### შეუწყობს თუ არა ხელს სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა კონფლიქტის დარეგულირებას

თამარ მჭედლიშვილი

*„საქართველო პრინციპულად არ ეწინააღმდეგება აფხაზეთის ტერიტორიაზე სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენას,“ - ქვეყნის ხელისუფლების ეს პოზიცია რამდენიმე დღის წინ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა გააჟღერა. შეცვალა თუ არა საქართველომ თავისი პოზიცია? რა შედეგს მოიტანს სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა და დაჩქარდება თუ არა აფხაზეთში ლტოლვილების დაბრუნება? - ეს ის კითხვებია, რომელიც პოლიტიკოსებისა და ექსპერტების მსჯელობის საგანი გახდა.*

თუკი ექსპერტთა და პოლიტიკოსთა ერთი ნაწილი საქართველოს ხელისუფლების პოზიციას წინგადადგმულ ნაბიჯად აფასებს, მეორე ნაწილი მიიჩნევს, რომ ნებისმიერი მოლაპარაკება, რომელშიც აფხაზური მხარე არ მონაწილეობს, კონფლიქტის მოწესრიგების თვალსაზრისით, არანაირ საგრძნობ შედეგს არ მოიტანს.

ლევან ბერძენიშვილი, *პარლამენტარი, რესპუბლიკური პარტიის წევრი:* **„საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ მოსვლისთანავე გამოთქვა ეს მოსაზრება. საერთოდ, სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა ჩვენთვის ცუდი ნამდვილად არ არის. თუმცა, სამწუხაროდ,**

გაგრძელება A3 გვერდზე

# ისრაელის არმიის ჯარისკაცები ქართველთა მემორიალზე

თამარ მაისურაძე

საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულ მებრძოლთა მემორიალთან გუშინ გაკეთებული კორდონის ერთ მხარეს ქართველი, ხოლო მეორე მხარეს - ებრაელი სამხედროები იდგნენ. საქართველოში ერთდღიანი ვიზიტით ჩამოსული, ისრაელის თავდაცვის არმიის დელეგაცია 180 სამხედრო მოსამსახურისაგან შედგებოდა. როგორც ისრაელის ელჩმა საქართველოში საბთაი ცურიმ განაცხადა, ვიზიტის მიზანი საქართველოს ებრაულ დიასპორასთან და მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებთან შეხვედრა გახლდათ.

**“საქართველოში ჩამოსვლა თავად გადაწყვიტეს. ისრაელის თავდაცვის არმიამ მხოლოდ ორ ქვეყანაში, პოლონეთსა და საქართველოში გადაწყვიტა გამგზავრება. ეს ფაქტი საქართველოსთვის ძალზე მნიშვნელოვანია,”** - აღნიშნა საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის მოადგილემ, პოლკოვნიკმა დავით ნაირაშვილმა.

გაგრძელება A2 გვერდზე



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*ებრაელი სამხედროები პატივს მიაგებენ საქართველოს მთლიანობისთვის დაღუპულ მეომრებს.*

# „ანტიკრიზისული“ სამიტი

*ევროკავშირის ლიდერები გუშინ ბრიუსელში შეიკრიბნენ. სავარაუდოდ, მათ მძიმე საუბარი მოუწევთ ევროკონსტიტუციის მომავალზე და, ასევე - არანაკლებ მნიშვნელოვან, კავშირის საერთო ბიუჯეტის საკამათო საკითხებზე.*

ბრიუსელში ევროპის პირველი პირების ორდღიანი შეხვედრა კავშირის წინ მდგარი წინააღმდეგობების დაძლევასა და 2007-2013 წწ ბიუჯეტის პარამეტრების შეთანხმებას ეძღვნება. თუმცა, წინასწარვე ცნობილი იყო, რომ პესიმისტური განწყობისა და ურთიერთბრალდებების თავიდან აცილება უაღრესად რთული იქნებოდა.

გუშინდელი საღამო ევროკავშირის წევრი-ქვეყნების მეთაურებმა ევროკონსტიტუციის მომავალს მიუძღვნეს. გვიან საღამომდე არ იყო ცნობილი, თუ რა შეთანხმებას მიაღწიეს. სავარაუდოდ, ყველაზე მისაღები ვარიანტი ევროკომისიის თავმჯდომარის ჟოზე მანუელ დურაო ბაროზუს შეთავაზებაა: ევროპული კონსტიტუციის რატიფიკაციის პროცესი “უკეთეს დრომდე” გადაიდოს და პირველ ეტაპზე უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, მაგალითად, ბიუჯეტზე იქნეს მიღწეული შეთანხმება.

გაგრძელება A5 გვერდზე



*ყველაზე მძიმე საუბარი. სავარაუდოდ, ჟაკ შირაკსა და ტონი ბლერს შორის შედგება.*

## კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი

### ამჯერად - რუსეთის მხრიდან

*მოსკოვმა საქართველოდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანის საკითხში კიდევ ერთი ნაბიჯით წაიწია წინ. რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა ფინანსთა სამინისტროსაგან მომდევნო სამი წლის განმავლობაში სახელმწიფოს ბიუჯეტში იმ თანხების გათვალისწინება მოითხოვა, რომელიც საქართველოს ტერიტორიიდან რუსული ბაზების გაყვანას მოხმარდება.*

**“გაყვანასთან დაკავშირებული სამუშაოს მოცულობა ნათელია, პროცესი რთული იქნება დაფინანსების თვალსაზრისითაც. კერძოდ, ტექნიკის გემებითა და ტრაილერებით გადასატანად დიდი ოდენობით საწვავის შეძენა მოგვიწევს,”** – განაცხადა რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა გუშინ გამართულ მთავრობის სხდომაზე.

ამის პარალელურად კი, მოსკოვში სამხედრო საკითხებში მორიგი ქართულ-რუსული მოლაპარაკებები გაიმართა. გუშინ შეხვედრა ექსპერტთა დონეზე შედგა, დღეისთვის კი სახელმწიფო დონის დელეგაციების შეხვედრა იგეგმება.

ჩვეულებისამებრ, ქართულ დელეგაციას საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მერაბ ანთაძე, ხოლო რუსულს – იგორ სავოლსკი ხელმძღვანელობენ.

კონსულტაციებზე განიხილავენ რუსული სამხედრო ბაზების საქართველოდან გაყვანის ტექნიკურ დეტალებს, იმ შეთანხმების საფუძველზე, რომელსაც ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებმა 30 მაისს, მოსკოვში გამართულ შეხვედრაზე მიაღწიეს. შეთანხმების თანახმად, საქართველოდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანა 2008 წლამდე უნდა დასრულდეს.

გაგრძელება A3 გვერდზე

## პარლამენტი ფარდის დაშვების წინ

გიორგი ასანიშვილი

**„იმ ერთ წელიწადში, რაც პარლამენტში ვარ, გაოცების უნარი დავკარგე. თუმცა, ზოგჯერ რაღაც მაინც გამიკვირდება ხოლმე. მაგალითად ის, რომ კონტროლის პალატის ანგარიშს სულ 40 დეპუტატი ისმენს,“** - თავისი კოლეგების პასიურობის შემხედვარე, გუშინ გულწრფელად წუხდა „რესპუბლიკელი“ ივლიანე ხაინდრავა.

იმას, რომ ზურაბ სოსელიას უწყების ანგარიშის განხილვა ორი დღის განმავლობაში, სხდომათა თითქმის ცარიელ დარბაზში მიმდინარეობდა, ოპოზიციონერი დეპუტატი კონტროლის პალატის მიმართ უნდობლობის გამოხატულებად მიიჩნევს. კიდევ ერთი არგუმენტი, რამაც განხილვას ინტერესი დაუკარგა, ხაინდრავას აზრით, ის არის, რომ პარლამენტარები, ქვეცნობიერად, კონტროლის პალატას აღმასრულებელი ხელისუფლების ერთგვარ გაგრძელებად თვლიან.

რაც შეეხება თავად ანგარიშის შინაარსს, „რესპუბლიკელი“ დეპუტატის განცხადებით, **„დოკუმენტიდან ნათლად ჩანს, რომ კორუფცია ისევ ყვავის და მძვინვარებს, განსაკუთრებით - ხელისუფლების საშუალო რგოლში.“**

მიუხედავად იმისა, რომ კონტროლის პალატის მიერ შედგენილმა დოკუმენტმა სამართალდამცავებს, წესით, ბევრი საქმე უნდა გაუჩინოს, ხაინდრავა დარწმუნებულია - პარლამენტის მიერ გუშინ ცნობად მიღებულ ანგარიშს მათი (სამართალდამცავების) მხრიდან არანაირი რეაგირება არ მოჰყვება.

გაგრძელება A2 გვერდზე

## ყურადღება!

**სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში, რომლითაც უნდა შერჩეულიყო ყოველდღიური გაზეთი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ სატენდერო განცხადებების გამოსაქვეყნებლად, გაიმარჯვა გაზეთმა "24 საათმა".**

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის **2005 წლის 11 მაისის N3 ბრძანების** თანახმად, აღნიშნული ცვლილება შევიდა "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ” დებულების დამტკიცების შესახებ” საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2001 წლის 15 ოქტომბრის №1 ბრძანებაში.

შესაბამისი ხელშეკრულებების გასაფორმებლად და სხვა დეტალების დასაზუსტებლად გთხოვთ, დაუკავშირდეთ გაზეთ "24 საათი"-ს რედაქციას:

ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული.

ტელ: 202404; 202424; 200024;
8 99 220 949.

ელ-ფოსტა: tender@24hours.ge

საკონტაქტო პირი - ირაკლი ლეჟავა

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო**

სამშაბათს, 21 ივნისს, “24 საათი” გამოაქვეყნებს **საქართველოს პროფესიული განათლების კონცეფციის პროექტს**, რომელიც შემუშავებულია განათლების სამინისტროს მიერ. ვფიქრობთ, ეს არის ძალზე მნიშვნელოვანი დოკუმენტი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებისთვის. ამიტომ კომპეტენტურ და დაინტერესებულ ადამიანებს ვთხოვთ, ყურადღება მიაქციონ ამ დოკუმენტს, გაზეთი კი მათ საქმიან შენიშვნებსა და წინადადებებს უყოყმანოდ დაუთმობს ადგილს.

## ამინდი

| | 17/06 | 18 /06 | 19 /06 |
|---|---|---|---|
| თბილისი | 31 | 32 | 32 |
| ტყიბული | 25 | 27 | 28 |
| სოხუმი | 23 | 26 | 25 |
| დმანისი | 23 | 24 | 26 |
| გორი | 25 | 26 | 27 |
| ონი | 21 | 23 | 24 |
| ზუგდიდი | 27 | 29 | 30 |
| ახმეტა | 31 | 32 | 32 |
| გაგრა | 21 | 24 | 21 |
| სამტრედია | 28 | 30 | 31 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8174 |
| ევრო | 2.1920 |
| გირვანქა სტერლ. | 3.2860 |
| რუბლი | 0.0635 |


| A | | B | |
|---|---|---|---|
| ამბები | A2 | რევიუ | B2 |
| ამბები | A3 | რევიუ | B3 |
| თვალსაზრისი | A4 | სპორტი | B4 |
| უცხოეთი | A5 | სპორტი | B5 |
| ეკონომიკა | A6 | ავტომობილი | B6 |
| სამართალი | A7 | ტენდერი | B7 |
| გახსენება | A8 | სხვადასხვა | B8 |

## ფინანსური პოლიცია "ნიკალაში"

ფინანსურმა პოლიციამ გუშინ მოულოდნელი იერიში მიიტანა საკმაოდ კარგად ცნობილ სწრაფი კვების დაწესებულებაზე "ნიკალა". გავრცელებული ინფორმაციით, აღნიშნული ქსელი ყოფილ "ნუცუბიძის საძმოს" წევრს კოტე ყიფიანს ეკუთვნის. ფინანსური პოლიციის სპეცრაზმი და საგამოძიებო დეპარტამენტი ერთდროულად შევიდა რუსთაველისა და გამსახურდიას გამზირზე მდებარე რესტორან "ნიკალაში". ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსის ლევან მხეიძის განცხადებით, სამართალდამცველებმა "ნიკალას" ქსელს ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე მიაკითხეს. კერძოდ, საუბარია, კომპიუტერული პროგრამებით მანიპულაციაზე. მხეიძის თქმით, ფინანსურ პოლიციას ამჟამად დაკავებული ჰყავს გორში რეგისტრირებული ფირმა "დაჩი და კომპანიის" დირექტორი. "ნიკალას" მომსახურების პროგრამა სწორედ აღნიშნულ ფირმაშია შექმნილი. საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსის ინფორმაციით, აღნიშნული პროგრამებით იმალებოდა გადასახადი. ისინი ისეა შექმნილი, რომ მომხმარებელთა რაოდენობას ზუსტად არ აფიქსირებს, ანუ სალაროს კომპიუტერი რეგისტრაციაში ატარებს კლიენტურის მხოლოდ ათ პროცენტს, დანარჩენი კი "ქრება".

ლევან მხეიძე ორი კვირის წინ ანალოგიურ დაწესებულებაში - "მარენოში" ჩატარებულ შემოწმებას იხსენებს, სადაც ფინანსურმა პოლიციამ ასევე კომპიუტერული პროგრამებით დამალული 600 ათასი ლარი დააფიქსირა. არადა, "მარენო" "ნიკალაზე" ოთხჯერ პატარა ყოფილა.

საგამოძიებო ნაწილის უფროსის თქმით, სამართალდამცველები რესტორნებიდან დოკუმენტებს, კომპიუტერებს, სალაროებს და სხვა საჭირო მასალებს ამოიღებენ, რომელთა დამუშავების და შესწავლის შემდეგ დღის წესრიგში "ნიკალას" ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის საკითხიც დადგება.

**"საქართველოში სულ ორი ინტელექტუალური დანაშაული გაიხსნა და ორივე ფინანსურმა პოლიციამ გახსნა. ერთ-ერთი სწორედ "ნიკალას" ქსელია. ამგვარ შემოწმებებს ჩვენ მომავალშიც გავაგრძელებთ,"** - ამბობს მხეიძე, რომელიც უახლოეს დღეებში იმ დაწესებულებების შემოწმებასაც აპირებს, რომლებსაც "ნიკალა" ემსახურება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შემოწმება გენერალურ პროკურატურაშიც ჩატარდება, სადაც "ნიკალა" ორიოდე კვირის წინ ამოქმედდა.

*24 საათი*

## ბრიუსელში ქართულ-ოსურ კონფლიქტზე იმსჯელეს

ლონდონის სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტის ეგიდით ბრიუსელში ქართული და ოსური მხარეების ექსპერტთა შეხვედრა გაიმართა. მონაწილეებმა ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში არსებული ვითარება, ეკონომიკური თანამშრომლობის და პრობლემების მოგვარების პერსპექტივები განიხილეს.

როგორც სტრატეგიული კვლევების საერთაშორისო ინსტიტუტი იტყობინება, შეხვედრაზე მხარეებმა ერთმანეთს საკუთარი მოსაზრებები გაუზიარეს და ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების გზაზე არსებული პრობლემებისადმი სხვადასხვა მიდგომებზე იმსჯელეს. საუბარი მხარეებს შორის დაძაბულობის შემცირებას და ურთიერთნდობის გაზრდას შეეხო.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო რესტიტუციის პრობლემას. საქართველოს წარმომადგენლებმა შეხვედრის მონაწილეებს რესტიტუციის კანონპროექტზე მუშაობის მსვლელობა გააცნეს. სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის წარმომადგენლებმა, თავის მხრივ, გამოთქვეს აზრი, რომ აუცილებელი იყო რესტიტუციის საკითხებში სათანამშრომლოდ სახელშეკრულებო-სამართლებრივი ბაზის ჩამოყალიბება.

შეხვედრაზე ხაზგასმით ითქვა, რომ თუ ქართული მხარე პოლიტიკურ-სამართლებრივი თვალსაზრისით შეაფასებს საქართველოს წინა ხელისუფლების მოქმედებას 1989-1992 წლებში, როდესაც ვითარება ნელ-ნელა დაიძაბა და შეიარაღებულ კონფლიქტში გადაიზარდა, ეს მხარეთა შორის ნდობის აღდგენას და პრობლემის მოგვარების მიმდინარე ეტაპზე უსაფრთხოების გარანტიებს შეუწყობდა ხელს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც მხარეებს შორის საუბრის თემა გახდა, იყო ეკონომიკური თანამშრომლობის მდგომარეობა და პერსპექტივები.

შეხვედრის მსვლელობისას მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ აღნიშნული არაფორმალური დიალოგი ხელს უწყობდა ურთიერთგაგების ამაღლებას და ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების მშვიდობიანი პროცესის გასავითარებლად ხელსაყრელ ატმოსფეროს ქმნიდა. მონაწილეები ეწვივნენ ევროპის კომისიას, ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეას, ბელგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს. აღნიშნული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან გამართულ არაოფიციალურ შეხვედრებზე აღინიშნა მათი ინტერესის ზრდა სამხრეთ კავკასიისადმი და მზადყოფნა არსებული კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების ხელშეწყობისადმი.

*24 საათი*

**შ.პ.ს."აჭარის ენერგოკომპანია" , ფილიალების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით, აცხადებს აუდიტორული ფირმების შესარჩევ კონკურსს:**

**კომპანიას ესაჭიროება ფილიალების სალიკვიდაციო ბალანსების შედგენა(კომპილაცია).**

dato.gogichaishvili@aec.ge

**საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მის დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურული ქვედანაყოფების თანამშრომელთა მხრიდან თქვენი უფლების შელახვის ან კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა შემთხვევაში დაგვიკავშირდით სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცხელ ხაზზე:**

**98-57-81**

**"საერთაშორისო იურიდიული ოფისი გაპი" აფუძნებს ფილიალს ქ. ბათუმში და აცხადებს კონკურსს ფილიალის მენეჯერის და ადვოკატის თანამდებობებზე.**

**პირობები:**

1. უმაღლესი იურიდიული განათლება;
2. ადვოკატის სერტიფიკატი;
3. ავტობიოგრაფია (CV);
4. ასაკი 27 წლამდე;
5. დახასიათება უმაღლესი სასწავლებლიდან ან ბოლო სამუშაო ადგილიდან;
6. ერთ-ერთი უცხო ენის ცოდნა.

**საბუთების შემოტანის ვადაა 2005 წლის 15 ივნისამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, წერეთლის გამზ.: N77 "საერთაშორისო იურიდიული ოფისი გაპი". ტ. 34 76 58**

# პარლამენტი ფარდის დაშვების წინ

პირველი გვერდიდან

ორი კვირის წინათ პარლამენტში ჩავარდა კანონპროექტი, რომელიც მგზავრობის დროს მძღოლის მიერ მობილური ტელეფონით სარგებლობის, აგრეთვე, მძღოლისა და მგზავრების მიერ უსაფრთხოების ღვედების გამოყენების საკითხებს შეეხებოდა. „დაწუნებული" დოკუმენტი იურიდიულ საკითხთა კომიტეტში გადამუშავდა და მის ახალ რედაქციას, მეორე მოსმენით, გუშინ უკვე 102-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი (ორის წინააღმდეგ).

კანონპროექტის თანახმად, ძალაში რჩება მძღოლის მიერ მობილური ტელეფონით სარგებლობაზე გათვალისწინებული შეზღუდვები. ოღონდ, იმ განსხვავებით, რომ მობილურების ხმარება დასაშვებია ყურსასმენების გამოყენებით. რაც შეეხება უსაფრთხოების ღვედებს, ისინი სავალდებულოა მხოლოდ ქალაქგარეთ, ტრასებსა და ავტომაგისტრალებზე.

გუშინვე პარლამენტმა, ასევე მეორე მოსმენით, მოიწონა კანონპროექტი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში დამატებების შეტანის შესახებ, რომელიც მგზავრობის დროს მობილური ტელეფონითა და უსაფრთხოების ღვედების გამოყენების წესების დარღვევისთვის საჯარიმო სანქციებს ითვალისწინებს. აღნიშნული დარღვევების შემთხვევაში, „დამნაშავეები" 20 ლარით დაჯარიმდებიან.

■ ■ ■

საგაზაფხულო სესიის ბოლოსწინა სხდომაზე (პლენარული სხდომები დღეს მთავრდება) დეპუტატებმა მხარი არ დაუჭირეს იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის ლევან ბეჟაშვილის საკანონმდებლო ინიციატივას, „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ" კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რომელიც გვარ-სახელების შეცვლის პროცედურის გამარტივებას გულისხმობს. კანონპროექტს მხოლოდ 44-მა პარლამენტარმა მისცა ხმა (კვორუმი 79). უკეთესი შედეგი ვერც განმეორებითმა კენჭისყრამ გამოიღო, რომელიც იმ მოტივით ჩატარდა, რომ „ზოგიერთმა დეპუტატმა ხმის მიცემა ვერ მოასწრო."



ლევან ბეჟაშვილის მიერ წარმოდგენილი კანონპროექტი, მიუხედავად არცთუ მაღალი კვორუმისა, პარლამენტარებმა ჩააგდეს.

■ ■ ■

გუშინ, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ, სომხეთის სახალხო კრების ვიცე-სპიკერმა ტიგრან ტოროსიანმა და აზერბაიჯანის მილი-მეჯლისის წამომადგენელმა, მმართველი პარტია „ენი აზერბაიჯანის" წევრმა სიავუშ ნოვრუზოვმა ხელი მოაწერეს მემორანდუმს სამხრეთ კავკასიის საპარლამენტო ასამბლეის დაფუძნების შესახებ.

ამ ფაქტს ნინო ბურჯანაძე „უნიკალურ მოვლენას" უწოდებს და მიიჩნევს, რომ ასამბლეა, შესაძლოა, რეგიონის სტაბილურობის სერიოზული გარანტი გახდეს. სპიკერის თქმით, მემორანდუმის გაფორმება ბალტიისპირეთის ქვეყნების საპარლამენტთაშორისო ასამბლეის გამოცდილების გაზიარებით გახდა შესაძლებელი.

დოკუმენტის ხელმოწერის შემდეგ გამართულ ბრიფინგზე გამოითქვა იმედი, რომ სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოები თავიანთი ქვეყნისა და, მთლიანად, რეგიონის განვითარებისკენ მიმართული ღონისძიებების განხორციელებას ერთობლივად უფრო წარმატებით შეძლებენ.

## ისრაელის არმიის ჯარისკაცები ქართველთა მემორიალზე

პირველი გვერდიდან

თავდაცვის სამინისტროს ორკესტრის მიერ ისრაელისა და საქართველოს სახელმწიფო ჰიმნების შესრულების შემდეგ, ებრაელმა ჯარისკაცებმა და მათმა მეთაურებმა საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულ მებრძოლთა მემორიალი ყვავილებით შეამკეს.

მოგვიანებით, დელეგაციის წევრები გრიბოედოვის თეატრში შეიკრიბნენ, სადაც ებრაული დიასპორის წარმომადგენლებსა და მეორე მსოფლიო ომის 21 ვეტერანს შეხვდნენ. ისრაელის ელჩმა საქართველოში კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ქართულ-ებრაული ურთიერთობები მისაბაძია სხვა ერებისთვის, რომ საქართველოში არასდროს ყოფილა ანტისემიტიზმი. **"საქართველო-ისრაელის ურთიერთობები განვითარების ახალ ფაზაში შედის, საქართველოს დიდი პერსპექტივა აქვს, გვჯერა, რომ საქართველოსა და ისრაელს შორის ურთიერთობები კიდევ უფრო გაღრმავდება,"** – განაცხადა ელჩმა. გრიბოედოვის თეატრში შეკრებილ სტუმრებსა და მასპინძლებს ქართველმა მომღერლებმა კონცერტი გაუმართეს, რის შემდეგაც, დელეგაციის წევრებმა ვეტერანებს სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს.

## ორი სიტყვით

**ცხინვალი.** გატაცებული ქართველების ოჯახის წევრები, ხუთშაბათს, სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტ ედუარდ კოკოითს და საგანგებო დავალებათა მინისტრს ბორის ჩოჩიევს შეხვდნენ. როგორც ერთ-ერთი გატაცებულის ძმამ ლევან ხაჭაპურიძემ განაცხადა, შეხვედრის მიზანს მომხდართან დაკავშირებით ურთიერთპოზიციების გარკვევა წარმოადგენდა.

მისი თქმით, ედუარდ კოკოითი გატაცებული ქართველების პოვნით დაინტერესებულია და იგი მათ დაჰპირდა, რომ ცხინვალის ხელისუფლება ყველა ღონეს მიმართავს დაკარგულთა ადგილსამყოფელის დასადგენად. ხაჭაპურიძის ინფორმაციით, მოლაპარაკებას ასევე ესწრებოდნენ ორი კვირის წინათ ქართველ პოლიციელებზე თავდასხმის დროს დაღუპული ოსების ახლობლები. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიტიკური და არასამთავრობო ორგანიზაციების საინიციატივო ჯგუფმა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ოფიციალური განაცხადით მიმართა. საინიციატივო ჯგუფი მერებისა და გამგებლების პირდაპირ არჩევითობაზე რეფერენდუმის ჩატარებას ითხოვს. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**კიევი.** საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი კიევში საერთაშორისო ეკონომიკურ ფორუმში - „მინი დავოსში" მონაწილეობს. ფორუმის დაწყებამდე მიხეილ სააკაშვილი მოლდოვის პრეზიდენტს ვლადიმირ ვორონინს შეხვდა. მათ კონფლიქტების მოგვარების საკითხებზე ისაუბრეს. „ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ დნესტრისპირეთის კონფლიქტი მოლდოვას ინტერესების სასარგებლოდ მოგვარდეს. უკრაინას ყველანაირი საშუალება აქვს, რომ საქართველოსთან და მოლდოვასთან ერთად დნესტრისპირეთში კონფლიქტის მოგვარების პრეცედენტი შექმნას," - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა. მისივე თქმით, ფორუმის მონაწილეების დიდი რაოდენობა მოწმობს იმას, რომ რეგიონული თანამშრომლობის ალიანსი - სუამი მიმზიდველია. ამასთან, მიმდინარეობს აქტიური თანამშრომლობა რუმინეთთან და ბალტიის ქვეყნებთან სუამში მათი გაწევრიანების მიზნით. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტმა ლატვიასა და ესტონეთთან საბაჟო სფეროში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების რატიფიცირება მოახდინა. საქართველოსა და ლატვიის მთავრობებს შორის საბაჟო სფეროში თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ შეთანხმების რატიფიცირებას 133 დეპუტატმა ერთხმად დაუჭირა მხარი, ხოლო საქართველოსა და ესტონეთს შორის ანალოგიური დოკუმენტის რატიფიკაციას - 130 დეპუტატმა. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** „სამხრეთ ოსეთის" თვითგამოცხადებული რესპუბლიკის დელეგაცია მთიან ყარაბაღში სახალხო კრების არჩევნებს დააკვირდება. ოსური დელეგაცია ერთი სეპარატისტული რესპუბლიკიდან მეორეში დამკვირვებლის სტატუსით უკვე ჩავიდა. მთიან ყარაბახში ე. წ. სახალხო კრების არჩევნები 19 ივნისს გაიმართება. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ზაფხულის დადგომასთან დაკავშირებით საზღვრის დაცვის დეპარტამენტი სახელმწიფო საზღვარს აძლიერებს. ოპერაცია ამ მიმართულებით დამატებითი სასაზღვრო სექტორებისა და დროებითი პოსტების გახსნას ითვალისწინებს. **მედიანიუსი**

# „ბრითიშ ეარვეისმა" „ელექტრონული ბილეთის" სისტემა შემოიღო

15 ივნისიდან "ბრითიშ ეარვეისმა" საქართველოში "ელექტრონული ბილეთის" სისტემა შემოიღო, რაც ბილეთების დაჯავშნასა და ლონდონში მგზავრობას მნიშვნელოვნად აადვილებს.

„ელექტრონული ბილეთები მგზავრებს მთელ რიგ უპირატესობებს სთავაზობს," - განაცხადა "ბრითიშ მედითერანეან ეარვეისის" საქართველოს წარმომადგენლობის გაყიდვების მენეჯერმა, ნინო ანდრიაძემ. „ელექტრონული ბილეთი უსაფრთხოა და მგზავრს მრავალ სირთულს არიდებს. შეუძლებელია მისი დაკარგვა, რადგან ის „ბრითიშ ეარვეისის" ელექტრონულ სისტემაში ინახება; ბილეთის ელექტრონული ფოსტით გადაგზავნაც შესაძლებელია; ის ადვილად იცვლება ინტერნეტით, რისი მეშვეობითაც მგზავრს დამატებითი ბილეთი აღარ ესაჭიროება."

ელექტრონული ბილეთების სისტემის საშუალებით ბილეთის დაჯავშნა, თვითმფრინავის ბორტზე ადგილისა და მენიუს შერჩევაა შესაძლებელი. ამჟამად ავიაკომპანიის მგზავრების 76 პროცენტი ელექტრონული ბილეთებით სარგებლობს.

ელექტრონული ბილეთების გამოყენება ამჟამად დაახლოებით 150 მარშრუტზე, ანუ ქსელის 70 პროცენტზე შეიძლება.

"ბრითიშ ეარვეისმა" საკმაო რესურსები დაუთმო ba.com ვებგვერდზე „Manage my Booking" განყოფილებას, რომელზე შესვლაც შესაძლებელია მგზავრის სახელისა და ჯავშნის კოდის შეყვანით. ამ მომსახურების გამოყენება მსოფლიოს ნებისმიერ წერტილშია შესაძლებელი, განურჩევლად იმისა, თუ რა გზით ხდება ბილეთის დაჯავშნა – ინტერნეტით, დაჯავშნების ცენტრისა თუ სააგენტოს მეშვეობით.

*24 საათი*



მომსახურების ახალი ფორმა - ავიაბილეთების შეძენა ინტერნეტის საშუალებით.

# საფრანგეთის ელჩი თავს იმართლებს

*საფრანგეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში ფილიპ ლეფორმა ქართველ ფრენბურთელ ქალთა ეროვნული ნაკრების წევრებისათვის ვიზების გაუცემლობაზე ოფიციალური კომენტარი გააკეთა. მისი თქმით, უარის მიზეზი საბუთებში არსებული დარღვევები იყო.*

თიკო მაჭარაშვილი

ქართველ ფრენბურთელ ქალთა გუნდი შვედეთში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის ბოლო თამაშზე უნდა გამგზავრებულიყო. შეხვედრაზე გამოუცხადებლობის გამო, ეროვნულ ნაკრებს 2 წლით დისკვალიფიკაცია ემუქრება.

"საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა შვედეთის ფრენბურთის ფედერაციისგან წერილობითი მიწვევა 2005 წლის აპრილის ბოლოს მიიღო. საფრანგეთის საკონსულოს კი, ვიზების მოთხოვნით, ივნისის დასაწყისში მიმართა," - განმარტავს საფრანგეთის ელჩი.

როგორც მანამდე ფედერაციის პრეზიდენტი ლევან ახვლედიანი ამტკიცებდა, მან საფრანგეთის საკონსულოს უფრო ადრე მიმართა, თუმცა იქ სთხოვეს, საქართველოსა და შვედეთის გუნდების შეხვედრის ზუსტი თარიღის დადგენას დალოდებოდა. ამ მტკიცებულებას ნაკლებად დამაჯერებლად მიიჩნევს საფრანგეთის ელჩი, რადგან, მისი თქმით, ნებისმიერ მოქალაქეს, რომელიც ვიზის მოთხოვნით მიმართავს საკონსულოს, საბუთების წარსადგენად შეხვედრას მეორე ან მესამე დღეს უნიშნავენ.

ფილიპ ლეფორის თქმით, საბუთების წარსადგენად 3 ივნისს საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტთან შეხვედრა საფრანგეთის საკონსულოში ტექნიკური მიზეზების გამო გადაიდო. 8 ივნისს საქართველოს ფრენბურთის ფედერაციამ საფრანგეთის საკონსულოში ათი დოსიე წარადგინა. აქედან, ხუთ დოსიეში აღმოჩენილ იქნა სერიოზული დარღვევები, კერძოდ, ერთ პიროვნებას შეცვლილი ჰქონდა პირადობის მოწმობა, ხოლო დანარჩენ ოთხს - შენგენის ქვეყნების საკონსულოების მიერ უარი ჰქონდა ნათქვამი. 13 ივნისს, საქართველოს ხელისუფლებასთან კონსულტაციების შემდეგ, რვა პიროვნებაზე დაშვებული იქნა ვიზები.

**"როდესაც ჩვენ მოგვმართავენ ბელგიის, ავსტრიის, ნორვეგიის, შვედეთისა და ისლანდიისთვის ვიზების მოთხოვნით, უარის თქმის უფლება არ გვაქვს,"** - აღნიშნავს საფრანგეთის ელჩი. დოსიეში დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, მოქალაქემ დასახელებული ქვეყნის საკონსულოს უნდა მიმართოს. **"ხუთ დოსიეში დარღვევების აღმოჩენის შემდეგ, მე საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტს ვურჩიე, შვედეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის მიემართა,"** - ამბობს ფილიპ ლეფორი. ვიზაზე უარის მიღების შემთხვევაში, მოქალაქეს შეუძლია მიმართოს საფრანგეთის კომპეტენტურ ორგანოებს, კერძოდ, უარი გაასაჩივროს სასამართლოში და ზარალის ანაზღაურებაც მოითხოვოს. **"საქართველოს ფრენბურთის ფედერაციასაც შეუძლია, ამ გზას მიმართოს,** - აღნიშნავს საფრანგეთის ელჩი, - **თუ ჩვენ შეცდომა დავუშვით, მას ეს ზარალი აუნაზღაურდება."**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ექსპერიმენტების ქალაქიდან პარადოქსების ქალაქამდე

ქეთინო ჯაკობია
*ფოთიდან*

რამდენიმე დღეა, ფოთში აქტიურად მიმდინარეობს კონსულტაციები ოპოზიციურ ძალთა გაერთიანების თაობაზე. 15 ივნისს კონსერვატორების, რესპუბლიკელებისა და ახალი მემარჯვენეების საქალაქო ორგანიზაციების ლიდერებმა ერთიანი ოპოზიციის შექმნის შესახებ ოფიციალურად გამოაცხადეს. მათი თქმით, მხოლოდ ამის შემდეგ შეეცდებიან აღნიშნულის აუცილებლობაში ცენტრალური ოფისების დარწმუნებას.

**„ეს არის უპრეცედენტო შემთხვევა, როცა ოპოზიციური პარტიები ერთობლივად მიმართავენ საზოგადოებას. ჩვენ ვქმნით მოქმედი ხელისუფლების ალტერნატივას. კონკრეტული, დასაბუთებული ფაქტებით, მაქსიმალურად მივაწვდით მოსახლეობას მთავრობის საქმიანობის შესახებ ინფორმაციას. ეს არ არის წინასაარჩევნო სამზადისის დასაწყისი. ერთიან პოლიტიკურ პლატფორმაზე ქალაქისთვის სასიკეთო საქმეების საკეთებლად დავდექით,“** - აღნიშნეს გაერთიანებულმა ოპოზიციონერებმა.

კონკრეტული სამოქმედო პროგრამა მათ ჯერ არ გააჩნიათ, არც ბლოკის შექმნაზე საუბრობენ, მხოლოდ ახმიანებენ იმ კონკრეტულ პრობლემებს, რომელთა არსებობამაც ფოთი, მათივე თქმით, ჩიხში მოაქცია.

გოჩა დოლბაია, კონსერვატორების ფოთის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარე: **„ფოთში მმართველობითი კრიზისია. ქალაქს ჯერაც არ ჰყავს არათუ არჩეული, არამედ დანიშნული მერი; ექვსი თვის განმავლობაში ვაკანტურია პირველი ვიცე-მერის თანამდებობა; ფაქტობრივად უფუნქციო და უუნარო გახდა თვითმმართველობა. არაკონსტიტუციური გზით დანიშნული ვიცე-გუბერნატორი მამუკა თოდუა არაკომპეტენტურად ერევა მთავრობის საქმიანობაში“.**

ელგუჯა ჭეჟია, რესპუბლიკური პარტიის ფოთის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარე: **„პრეზიდენტის განკარგულებით, ივანე სალინაძე დანიშნულია არა ფოთის მერად, არამედ მერის თანამდებობაზე დროებით არმყოფი მოხელის შემცვლელად. თბილისმა ფოთი და ფოთელები მერის დანიშვნის ღირსადაც არ ჩათვალა. ექსპერიმენტების ქალაქიდან ფოთი პარადოქსების ქალაქად გადაიქცა. დღეს აქ მოქალაქეთა კავშირის რეანიმირებული ხელისუფლებაა. ვიცე-გუბერნატორი თოდუა კანონდარღვევითაა დანიშნული, მას ფუნქცია არა აქვს და მერის ფუნქციებს ითავსებს, ამ ფაქტს კი ადგილობრივი ტელევიზიით უკეთებს აფიშირებას“.**

ირაკლი კაკულია, „ახალი მემარჯვენეების“ ფოთის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარე: **„ფოთს ქალაქის მარტო სახელი შერჩა. დანგრეული და ჩაბნელებული ქუჩები, მოხეტიალე პირუტყვი, უმუშევრობა - ასეთია მწარე რეალობა. მიზეზი ცენტრალური ხელისუფლების მზაკვრული გეგმაა, რომლის სისრულეში მოყვანა სამხარეო ადმინისტრაციის ხელით ხდება. შედეგიც სახეზეა: საკრებულო ფაქტობრივად პარალიზებულია. პარალიზებულია ყველა ის სტრუქტურა, რომელმაც პრობლემებზე ხმა უნდა აიმაღლოს. ფოთი ზუგდიდს ექვემდებარება, ნავსადგური ქვეყნის პრეზიდენტის პირდაპირი მმართველობის ქვეშაა. ნავსადგურში „ჩამოსული“ ჩინოვნიკების ხელფასები ექვსი ათას ლარს უტოლდება, რიგითი თანამშრომლისა კი სამას ლარს არ აღემატება. ქალაქის დაღუპვისაგან გადარჩენა – ეს არის ჩემი აქ ყოფნის მიზანი“.**

ასე მსჯელობენ ოპოზიციონერები. მიუხედავად იმისა, რომ დოლბაია რევოლუციური მთავრობის გვერდით იდგა, ჭეჟია თავად იყო რევოლუციის შემდგომი ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი, კაკულია კი დღესაც საკრებულოს წევრია. მოვლენების განვითარებას მომავალი გვიჩვენებს. უახლოეს დღეებში გაირკვევა სხვა პოლიტიკური პარტიების გაერთიანებისადმი დამოკიდებულება. გაირკვევა ფოთის პრეცედენტისადმი ცენტრალური ოფისების დამოკიდებულებაც.

## ფოტორეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

რადიო „მწვანე ტალღა“ თავისუფალი აზრის რადიო FM 107.4
მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ელჩი „მწვანე ტალღის“ მსმენელთან
ყოველ ხუთშაბათს გადაცემა „ამბასადორი“

მისი აღმატებულება ევროსაბჭოს მდივნის საგანგებო წარმომადგენელი საქართველოში, იგორ გაონი



წამყვანები: გაგა გობრონიძე, ნინო ჯახუა

იგორ გაონი: ჩემი გზა დიპლომატიაში დაიწყო სამოქალაქო ომის პერიოდში, რომლის დამთავრების შემდეგ გავხდი ქალაქ სარაევოს მერი და შეიძლება ითქვას, რომ სარაევოს ომისშემდგომი ჭრილობების მოშუშებამ ჩემ მხრებზე გადაიარა. ამიტომაც საკმაოდ კარგად მესმის ბატონ ჭიაბერიშვილის პრობლემებისა და მოგახსენებთ, რომ თბილისის მერი აკეთებს იმაზე მეტს, ვიდრე ამის საშუალებას მწირი დაფინანსება იძლევა.
მერს ყოველთვის ექნება მინიმუმ ერთი პრობლემა, რადგან მუდამ ხალხის პირისპირ დგას და ვალდებულია პასუხი გასცეს ყველა დასმულ კითხვას.
ამიტომაც ჩემი ამჟამინდელი თანამდებობა გაცილებით ადვილი მეჩვენება, ვიდრე იმ პერიოდის სარაევოს მერობა.
რაც შეეხება გასტრონომიას, ამ საკითხში ნამდვილი ქართველი ვარ: მიყვარს გემრიელი კერძების კეთება. ამას ხელს უწყობს ის ფაქტიც, რომ ჩემი მეუღლე ამჟამად სამშობლოშია და ბევრი რამის კეთება თავად მიწევს.
სტრასბურგში თავად ვაკეთებდი კერძებს და ჩემ კოლეგებს სხვადასხვა ქვეყნის ელჩებს ვუმასპინძლდებოდი. ყველაზე ძალიან [illegible] იყვნენ და მთელ დიპლომატიურ კორპუსში საკმაოდ წარმატებული პიროვნება გავხდი.
ამ თემაზე ხუმრობენ კიდევაც ბოსნია-ჰერცოგოვინის ევროკავშირში შესვლას დიდად შეუწყო ხელი ჩემმა გურმანობამ და მზარეულობის ნიჭმა.

# ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებებში წინსვლა შეინიშნება

პირველი გვერდიდან

რაც შეეხება დევნილთა დაბრუნებას, რაზეც სწორედ გუშინ მიდიოდა მოლაპარაკებები, ხაინდრავას მოსაზრებით, პირველი ნაბიჯი დევნილთა ხელახალი აღრიცხვა და მათი ზუსტი რაოდენობის დადგენაა.

**“მოლაპარაკებებზე განვიხილეთ ის დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც გადათვლა უნდა მოხდეს,”** – აღნიშნა მან.

მორიგი შეხვედრა, სახელმწიფო მინისტრის ინფორმაციით, თბილისში, 5-6 ივლისს არის დანიშნული, სწორედ ამ დღეებში მოეწერება ხელი დოკუმენტს და, აქედან გამომდინარე, ხელისუფლება დევნილთა დაბრუნების პროცესის დაწყებას უკვე სექტემბრისთვის ვარაუდობს.

გიორგი ხაინდრავას განცხადებით, დევნილთა დაბრუნება ამჟამადაც ხორციელდება, თუმცა ეს არ არის გეგმაზომიერი, არ არის შეთანხმებებზე დაფუძნებული და ამჟამად მუშაობა სწორედ პროცესის ლეგალიზებისთვის მიმდინარეობს.

**“გალის რაიონში დევნილთა ორგანიზებული დაბრუნება, შესაძლოა, უკვე სექტემბრიდან დაიწყოს,”** - განაცხადა გუშინ გამართული მოლაპარაკებების კომენტირებისას აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ. თუმცა, მან აღნიშნა, რომ დევნილთა დაბრუნების საკითხი რკინიგზის აღდგენას არ უნდა უკავშირდებოდეს, როგორც ამას თბილისი მოითხოვს. **“თუ ერთ-ერთი საკითხი გაჭიანურდა, მეორე საკითხის გადაწყვეტაც შეიძლება დაგვიანდეს,”** - განაცხადა შამბამ. მისი თქმით, მოლაპარაკებებზე მრავალი საკითხი განიხილეს. **“ყველა საკითხზე თანხმობას მივაღწიეთ,”** – დასძინა მან.

*24 საათი*

# კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი

პირველი გვერდიდან

სამხედრო ბაზების გაყვანასა და რუსულ-ქართული ურთიერთობების დადებით პერსპექტივებზე გუშინვე კომენტარი გააკეთა კონფლიქტების დარეგულირების საკითხში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა გიორგი ხაინდრავამ. მისი მოსაზრებით, მოსკოვმა და თბილისმა მეგობრობის შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერის გზაზე მთავარი უთანხმოება გადალახეს.

**“ამჟამად გადალახულია მთავარი დაბრკოლება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების განვითარების გზაზე – ეს რუსეთის სამხედრო ბაზებია,”** – ხაზგასმით აღნიშნა მან და დაამატა, რომ ორი ქვეყნის ურთიერთობები ძალზე აქტიურად ვითარდება. **“სამხედრო ბაზებთან დაკავშირებით ურთიერთმისაღები გადაწყვეტილება შევიმუშავეთ. ახლა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების გადაჭრის საქმეში უნდა შევთანხმდეთ,”** – ამბობს სახელმწიფო მინისტრი.

დასასრულს კი, გიორგი ხაინდრავამ ხაზი გაუსვა, რომ რუსეთი და საქართველო სტრატეგიული პარტნიორები არიან და **“სულ უფრო ვუახლოვდებით იმას, რომ საქართველოს რუსეთის პრეზიდენტი ვიზიტით ეწვიოს.”**

**შპს "საქართველოს რკინიგზა" აცხადებს კონკურსს თბილისი-ბათუმის დანიშნულებით მოძრავი საფირმო მატარებლის I და II კლასის ვაგონის მგზავრთა კვებაზე. მსურველებმა ა/წ 20 ივნისამდე წარმოადგინეთ თქვენი წინადადებები და კვების პროდუქტების ნიმუშები ფასის მითითებით.**

**შპს "საქართველოს რკინიგზა" აცხადებს კონკურსს თბილისი-ბათუმის დანიშნულებით მოძრავი საფირმო მატარებლის მგზავრთა მაღალი ხარისხის თეთრეულით მომარაგებაზე. მსურველებმა ა/წ 20 ივნისამდე წარმოადგინეთ თქვენი წინადადებები და თეთრეულის ნიმუშები ფასის მიხედვით.**

"საქართველოს რკინიგზა"

# ბრძანება

**ქ. თბილისი**
**10 ივნისი, 2005 წ.**

ახალ სამგზავრო საფირმო მატარებელზე სეზონური სამგზავრო ტარიფების შემოღების შესახებ

შპს "საქართველოს რკინიგზის" დირექტორთა საბჭოს 2005 წლის 31 მაისის №18/69 დადგენილების და გენერალური დირექტორის 2005 წლის 3 ივნისის ბრძანება №243/გ-ეს შესრულების მიზნით

**ვბრძანებ:**

1. შემოღებულ იქნეს 2005 წლის 1 ივლისიდან 21 სექტემბრამდე სეზონური სამგზავრო ტარიფები ახალ საფირმო მატარებელზე თანდართული ცხრილის მიხედვით.

2. დაევალოს სამგზავრო გადაყვანების სამსახურს, დაგეგმვისა და ფინანსური ანალიზისა და საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების სამსახურს ორი თვის ვადაში შეიმუშაონ და წარმოადგინონ დასამტკიცებლად ა.წ. 21 სექტემბრიდან შემოსაღები სამგზავრო ტარიფები.

ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ფილიალ "სამგზავრო გადაყვანების" დირექტორს (მ. შამუგია).

**გენერალური დირექტორი**
**დ. ონოფრიშვილი**

საფირმო მატარებელზე მგზავრობის ტარიფი (ლარი,თეთრი) ძალაშია 2005 წლის 1 ივლისიდან

| სარტ. №№ | მანძილი კმ | სრული I კლასი | სრული II კლასი | სრული III კლასი | საბავშვო I კლასი | საბავშვო II კლასი | საბავშვო III კლასი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 7 | 8 | 9 |
| 5 | 1-50 | 23.50 | 15.50 | 7.50 | 13.30 | 9.30 | 5.30 |
| 6 | 51-60 | 23.50 | 16.50 | 7.50 | 13.30 | 9.80 | 5.30 |
| 7 | 61-70 | 24.50 | 16.50 | 7.50 | 13.80 | 9.80 | 5.30 |
| 8 | 71-80 | 24.50 | 16.50 | 4.50 | 13.80 | 9.80 | 5.30 |
| 9 | 81-90 | 25.50 | 17.50 | 7.50 | 14.30 | 10.30 | 5.30 |
| 10 | 91-100 | 25.50 | 17.50 | 7.50 | 14.30 | 10.30 | 5.30 |
| 11 | 101-110 | 26.50 | 17.50 | 7.50 | 14.80 | 10.30 | 5.30 |
| 12 | 111-120 | 26.50 | 17.50 | 8.50 | 14.80 | 10.30 | 5.80 |
| 13 | 121-130 | 27.50 | 18.50 | 8.50 | 15.30 | 10.80 | 5.80 |
| 14 | 131-140 | 28.50 | 18.50 | 8.50 | 15.80 | 10.80 | 5.80 |
| 15 | 141-150 | 28.50 | 18.50 | 8.50 | 15.80 | 10.80 | 5.80 |
| 16 | 151-160 | 29.50 | 19.50 | 8.50 | 16.30 | 11.30 | 5.80 |
| 17 | 161-170 | 29.50 | 19.50 | 8.50 | 16.30 | 11.30 | 5.80 |
| 18 | 171-180 | 30.50 | 19.50 | 9.50 | 16.80 | 11.30 | 6.30 |
| 19 | 181-190 | 30.50 | 19.50 | 9.50 | 16.80 | 11.30 | 6.30 |
| 20 | 191-200 | 31.50 | 20.50 | 9.50 | 17.30 | 11.80 | 6.30 |
| 21 | 201-210 | 31.50 | 20.50 | 9.50 | 17.30 | 11.80 | 6.30 |
| 22 | 211-220 | 32.50 | 20.50 | 9.50 | 17.80 | 11.80 | 6.30 |
| 23 | 221-230 | 32.50 | 21.50 | 9.50 | 17.80 | 12.30 | 6.30 |
| 24 | 231-240 | 33.50 | 21.50 | 9.50 | 18.30 | 12.30 | 6.30 |
| 25 | 241-250 | 34.50 | 21.50 | 10.50 | 18.80 | 12.30 | 6.80 |
| 26 | 251-260 | 34.50 | 21.50 | 10.50 | 18.80 | 12.30 | 6.80 |
| 27 | 261-270 | 35.50 | 22.50 | 10.50 | 19.30 | 12.80 | 6.80 |
| 28 | 271-280 | 35.50 | 22.50 | 10.50 | 19.30 | 12.80 | 6.80 |
| 29 | 281-290 | 36.50 | 22.50 | 10.50 | 19.80 | 12.80 | 6.80 |
| 30 | 291-300 | 36.50 | 23.50 | 10.50 | 19.80 | 13.30 | 6.80 |
| 31 | 301-310 | 37.50 | 23.50 | 10.50 | 20.30 | 13.30 | 6.80 |
| 32 | 311-320 | 37.50 | 23.50 | 11.50 | 20.30 | 13.30 | 7.30 |
| 33 | 321-330 | 38.50 | 23.50 | 11.50 | 20.80 | 13.30 | 7.30 |
| 34 | 331-340 | 38.50 | 24.50 | 11.50 | 20.80 | 13.80 | 7.30 |
| 35 | 341-350 | 39.50 | 24.50 | 11.50 | 21.30 | 13.80 | 7.30 |
| 36 | 351-360 | 40.50 | 24.50 | 11.50 | 21.80 | 13.80 | 7.30 |
| 37 | 361-370 | 40.50 | 25.50 | 11.50 | 21.80 | 14.30 | 7.30 |
| 38 | 371-380 | 41.50 | 25.50 | 11.50 | 22.30 | 14.30 | 7.30 |
| 39 | 381-390 | 41.50 | 25.50 | 12.50 | 22.30 | 14.30 | 7.80 |
| 40 | 391-400 | 42.50 | 25.50 | 12.50 | 22.80 | 14.30 | 7.80 |

* ტარიფს ემატება მოსაკრებელი 0.50 ლარი.
** ტარიფში I და II კლასის ვაგონისთვის გათვალისწინებულია კვების ხარჯები
*** ტარიფში გათვალისწინებულია თეთრეულის ხარჯები

# რკინიგზა და პოლიტიკა

პირველი გვერდიდან

**რკინიგზის აღდგენაზე ჯერჯერობით ქართველები და რუსები ლაპარაკობენ და ამ პროცესში სომხებიც მონაწილეობენ. ასე საქმე არ გაკეთდება. საქართველოს ხელისუფლებასაც და ჩვენც უნდა გვესმოდეს, რომ რკინიგზა შეიძლება მხოლოდ ქართველებმა და აფხაზებმა აღადგინონ. რუსები, შესაძლოა, ამ პროცესს ფინანსურად დაეხმარონ, მაგრამ აფხაზები თუ აღდგენაში მონაწილეობას არ მიიღებენ და ნებისმიერ ინიციატივას ისე ცივად ხვდებიან, როგორც ახლა შეხვდნენ, ამ რკინიგზას არსებობის და უსაფრთხოების არანაირი გარანტია არ ექნება.**

**სამწუხაროდ, თუკი აფხაზეთის მონაწილეობა ამ საქმეში არ იქნა უფრო გულწრფელი და სრული და მათი ინტერესები არ იქნება გათვალისწინებული, რკინიგზის აღდგენა ზუსტად ისეთი ტყუილი იქნება, როგორც საზორნე გადასასვლელი საქართველოსა და რუსეთს შორის, რომელიც ვითომ არსებობს, მაგრამ აგერ უკვე რამდენიმე თვეა, არ მოქმედებს და არც აპირებს ამოქმედებას. რკინიგზასაც ასეთი ბედი ელის. მიმაჩნია, რომ ეს უფრო პროპაგანდისტული საუბარია სამხედრო საქმეებთან დაკავშირებით. თანაც, არავინ იცის, როგორ უნდა აღდგეს რკინიგზა ლტოლვილების საკითხის გადაუჭრელად, რადგან მათი უსაფრთხოება უნდა უზრუნველყოს ყველამ, მათ შორის, ქართულმა მხარემაც. თუ იქ ლტოლვილებს დაჩაგრავენ, თუ მათ არ ექნებათ ქართული სკოლა და ა.შ, მაშინ რკინიგზაც არ იქნება უსაფრთხო. მარტო აფხაზები კი არ არიან საშიშნი, საშიშები ვართ ჩვენც, რადგან აფხაზებთან არ მოგვილაპარაკია და ისე ვაპირებთ რკინიგზის აღდგენას.**

**უნდა ითქვას, რომ სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა, თავისთავად, ეკონომიკურად მომგებიანია. ვინც თავის დროზე ამ პროცესს წინააღმდეგობა გაუწია, ის არ იყო სწორი. ახლა ჩვენი ხელისუფლება მართალია, რადგან რკინიგზა ხელს აძლევს საქართველოს, რუსეთსაც და აფხაზეთსაც. მაგრამ აფხაზებს ამის შესახებ იფორმაცია არ აქვთ და არც უნდათ იმის გაგება, რომ ეს საქართველოსთან ინტეგრაციასაც შეუწყობს ხელს. ეს ჩვენი მინუსია. ჩვენ ვერ ვმუშაობთ აფხაზებთან. ჩვენ უნდა გვეთქვა აფხაზებისთვის - ჩვენ ორმა აღვადგინოთ რკინიგზა. ეს უნდა ყოფილიყო ორი მხარის ინიციატივა. დიალოგის დაწყება დაგვიანებული ახლაც არ არის.“**

არჩილ გეგეშიძე, *ექსპერტი:* **„საქართველოს ხელისუფლების პოზიციაში ახალი არაფერია. როგორც საქართველოს, ასევე რუსეთისა და სომხეთის ინტერესებშია რკინიგზის აღდგენა. თუმცა, აფხაზებს ეს ინიციატივა მაინცდამაინც გულზე არ ეხატებათ და იციან, რომ მათ ამით არანაირი ეკონომიკური მოგება არ ექნებათ. პირიქით - ისინი სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენას უფრთხიან, რადგან ჰგონიათ, რომ ამან შეიძლება სხვა გარეგანი გავლენები გააძლიეროს აფხაზეთში, რაც, მათი აზრით, დე ფაქტო დამოუკიდებლობას შეასუსტებს. საქართველოსთვის რკინიგზის აღდგენა ეკონომიკურად მომგებიანია, რადგან, როგორც მინიმუმ, გაიაფდება ჩვენი სავაჭრო ურთიერთობები რუსეთთან, რომელიც ჩვენი ერთ-ერთი მთავარი სავაჭრო პარტნიორია. მაგრამ ეს მხოლოდ ეკონომიკური საკითხი არ არის. ეს პოლიტიკური საკითხია და აფხაზეთის კონფლიქტს უკავშირდება. საქართველო თავიდანვე ითხოვდა - თუკი მოხდებოდა რკინიგზის აღდგენა, მაშინ სინქრონულად უნდა მომხდარიყო ლტოლვილთა დაბრუნება გალის რაიონში. სწორედ ასეთი შეთანხმება იყო მიღწეული პუტინსა და შევარდნაძეს შორის სოჭში. ასე რომ, ჩვენი პოზიცია, არსებითად, არ შეცვლილა, ამდენად, პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელის განცხადებაში არსებითად ახალს ვერაფერს ვხედავ. პრინციპულად, საქართველო არ ეწინააღმდეგება სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენას, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ ლტოლვილების დაბრუნების პროცესი დღის წესრიგიდან მოვხსენით. თუ რკინიგზის აღდენა მოხდა გალის რაიონში ლტოლვილების დაბრუნების პარალელურად, მაშინ ისინი უსაფრთხოების გარანტიით დაბრუნდებიან. ეს უკვე დიდი შედეგია. რკინიგზის აღდგენა მხარეებს შორის ნდობის აღდგენაში ძალზე სერიოზულ როლს შეასრულებს, რადგან ეკონომიკური სანქციები ხელს უშლის აფხეზების თვალში ქართველების, როგორც მტრის ხატის წაშლას. როგორც კონფლიქტის უფრო სუსტი მხარე, აფხაზეთი თავდაცვის პოზიციაში დგას და არავითარი ნდობა არ აქვს კონფლიქტის მეორე მხარისა. რკინიგზის აღდგენა, რაც, ჩემი აზრით, ეკონომიკური სანქციების მოშლასაც გულისხმობს, ნდობის აღდგენას შეუწყობს ხელს. ამის გარეშე კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგება შეუძლებელია.“**

შოთა მალაშხია, *პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის წევრი:* **„ეს საკითხი პირდაპირ უკავშირდება დევნილების დაბრუნებას გალის რაიონში, მაგრამ ამის შემდეგ უნდა დაიწყოს კონფლიქტის ზონის ეტაპობრივი დემილიტარიზაცია... თუმცა, მთავარი ამ პროცესში შემდეგი საკითხია: რუსეთი 150-მილიონიანი ბაზარი იყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც შავ ზღვაზე ბორანი ამოძრავდა, საქართველო, 50-60 მილიონიანი უკრაინის სახით, ახალ, დიდ ბაზარზე გავიდა. ჩვენთვის ეს ბაზარი საკმარისზე მეტია და მის ბოლომდე ათვისებასაც ვერ მოვახერხებთ. აფხაზეთის რკინიგზის გაჩერებით ყველაზე მეტად რუსეთმა იზარალა, რადგან მას სამხრეთ კავკასიურ ბაზარზე კარი ჩაეკეტა. სამაგიეროდ, საქართველო ბორნის ამოქმედების გამო ვაჭრობის გზას უკრაინისკენ ხსნის. მეტიც: უკრაინის მიმართულებით ვაჭრობა, რუსეთთან შედარებით, გაცილებით გაიზრდება. თავიდან აფხაზეთის რკინიგზის ჩაკეტვა ჩვენთვის ეკონომიკურად მართლაც მეტად წამგებიანი იყო, მაგრამ დღეს, როცა ბორნის საშუალებით უკრაინაზე, ბულგარეთზე, რუმინეთზე და თვით რუსეთზეც გავდივართ, შეგვიძლია, პოლიტიკური საკითხების გამო აფხაზეთის რკინიგზის გახსნაზე თავი შევიკავოთ... მთავარი პოლიტიკური საკითხი კი აფხაზეთში დევნილების დაბრუნებაა. რუსეთს თავის დროზე კავკასიის მიმართ ისეთი პოლიტიკა რომ გაეტარებინა, რასაც დღეს ამერიკელები აკეთებენ, მეტად მომგებიან მდგომარეობაში იქნებოდა. რუსებს სურთ ერთი, კონკრეტული პრობლემა რამდენიმე საკითხად დაყონ, რათა რკინიგზის საკითხი არ უკავშირდებოდეს დევნილების დაბრუნებასა და ტერიტორიულ მთლიანობას. მათ უნდა ესმოდეთ, რომ დრო ჩვენს სასარგებლოდ მოქმედებს. ამიტომ ყველა საკითხს ერთ პროცესს - ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას ვუკავშირებთ და მის დიფერენცირებას არ დავუშვებთ.“**

ირაკლი ტაბლიაშვილი, *აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საინფორმაციო პოლიტიკის დეპარტამენტის თავმჯდომარე:* **„საქართველოს ხელისუფლების პოზიცია ცალსახა და შეუვალია, ჩვენ ვფიქრობთ, რომ კონფლიქტის დარეგულირების პროცესში, ნდობის აღდგენის თვალსაზრისით, ნებისმიერი სახის ურთიერთობის ჩამოყალიბება წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება. ამავე დროს, ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ პოლიტიკური გადაწყვეტილება რკინიგზის აღდგენასთან მიმართებაში ჯერჯერობით მიღებული არ არის, აუცილებელია სიტუაციის კარგად შესწავლა, ექსპერტთა დონეზე სხვადასხვა შეხვედრის ჩატარება, ტექნიკური გაანგარიშებები. აუცილებელია, რომ ამგვარი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, სარკინიგზო ხაზის მომსახურებაზე დასაქმდნენ ადამიანები, განურჩევლად მათი ეთნიკური წარმომავლობისა; ანუ, უნდა დასაქმდნენ ქართველებიც და აფხაზებიც. ამავე დროს, პარალელურ რეჟიმში აუცილებლად უნდა განიხილებოდეს დევნილთა დაბრუნებისა და მათთვის უსაფრთხოების პირობების შექმნის საკითხები. გათვალისწინებული უნდა იყოს ის პოზიციები, რომელსაც ყოველთვის ვაფიქსირებდით საერთაშორისო ორგანიზაციებისა და თავად აფხაზურ მხარესთან გამართული შეხვედრების დროს.“**

# ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტს ბატონ მიხეილ სააკაშვილს

ბატონო პრეზიდენტო! ექვს თვეზე მეტია, ბეჭდვით თუ ელექტრონულ პრესაში დროდადრო გაიელვებს ხოლმე ინფორმაცია იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებულ კანონპროექტზე "სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ" - საქართველოს კანონში ცვლილებათა და დამატებათა შესახებ". საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ საქართველოს პარლამენტში აღნიშნულ კანონპროექტს ერთი მოსმენით მწვანე შუქი მიეცა.

ამთავითვე მთელი კატეგორიულობით უნდა განვაცხადოთ, რომ კანონპროექტის კანონად გადაქცევის პროცესი შესაჩერებელია. სხვათა შორის, აღნიშნული კანონპროექტის შესახებ ქვემორე ხელმომწერთაგან ორმა (აკად. დ. მუსხელიშვილი, პროფ. როლანდ თოფჩიშვილი) სათანადო უარყოფითი პოზიცია პრესაშიც (იხ. გაზეთი "მთელი კვირა", 2004 წლის 27 დეკემბერი) დააფიქსირა და მისი შეჩერების შესახებ პირადად თქვენ და აგრეთვე ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს, ბატონებს კონსტანტინე კემულარიას და ლევან ბეჟაშვილს ა. წ. 24 თებერვალს წერილობითაც მიმართა. მაგრამ მეცნიერთა მიერ მოხმობილი არც ერთი მოსაზრება, არგუმენტი არავის გაუთვალისწინებია. მანამ სანამ, პარლამენტს მეორე და მესამე მოსმენით კანონი მიუღია, იმედს ვიტოვებთ, რომ თქვენს ყურადღებას მივიქცევთ და სათანადო რეაგირებასაც მოახდენთ.

პატონო პრეზიდენტო! თქვენი განსწავლულობისა და ოჯახიშვილობისგან გამომდინარე არ გჭირდებათ იმის შეხსენება, თუ რა არის გვარი (სამეცნიერო ტერმინით: გვარსახელი). ერთი სიტყვით მაინც გვინდა, ხაზი გავუსვათ, რომ გვარი (გვარ სახელი) არის მემკვიდრეობითი სახელი, რომელიც თან ახლავს საკუთარ სახელს (ქართულ სინამდვილეში კი თან ახლდა საკუთარ სახელსა და მამის სახელს). ქართველებს მემკვიდრეობითი სახელი (გვარი) საუკუნეებია გვაქვს. ის ქართული წერილობითი ძეგლებით VII ს-დან დასტურდება (ზოგიერთმა ხალხმა ის XIX-XX სს-ში დეკრეტით დაიკანონა), მაგრამ გვარი (გვარ სახელი) ქართველთათვის მხოლოდ მემკვიდრეობითი სახელი არაა; ის უფრო მეტია. ქართულ გვარსახელებში ჩვენი ქვეყნის, ხალხის მრავალსაუკუნოვანი ისტორიაა ასახული. გვარების ისტორიული, ეთნოლოგიური, ლინგვისტური შესწავლით საქართველოს, ქართული ეთნოსისა და ენის ისტორიის არაერთი კარდინალური საკითხი ირკვევა. ქართული გვარი მნიშვნელოვანი საისტორიო და ენობრივი ძეგლია და ის წერილობითი საისტორიო წყაროების გვერდითაც კი შეიძლება დავაყენოთ. ტყუილად ხომ არ არის ზოგიერთ ქვეყანაში გვარების შესწავლა საისტორიო მეცნიერების განსაკუთრებულ დისციპლინად გამოცხადებული!

სხვადასხვა სოციალური და პოლიტიკური მოვლენების შედეგად, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, საქართველოშიც გვარი მუდმივად იქმნებოდა. ბევრი გვარი, საგარეო ფაქტორიდან გამომდინარე, ქრებოდა, ბევრიც ახალი წარმოიქმნებოდა. მხოლოდ საბჭოთა კავშირში იყო მკაცრად აკრძალული გვარის შეცვლა. ამდენად, მიგვაჩნია, რომ გვარის შეცვლა არც დღევანდელ საქართველოში უნდა იყოს აკრძალული და არც ისეთი პრობლემები უნდა ელობებოდეს, როგორც საბჭოთა იმპერიაში (გამონაკლისი მხოლოდ არაკეთილმჟღერი გვარების მიმართ იყო დაშვებული).

თქვენს ყურადღებას იმიტომ ვითხოვთ, რომ დღევანდელ საქართველოში აღნიშნული საკითხის ისე გამარტივება არ შეიძლება, როგორც ზემოხსენებული პროექტის ავტორები გვთავაზობენ.

პროექტში წერია: "სახელის, მამის სახელის, გვარის შეცვლაზე უარის თქმის საფუძველია: ა) მესამე პირთა ინტერესების შელახვის რეალური საფრთხე; ბ) განმცხადებლის სურვილი, აირჩიოს სახელად, მამის სახელად ან გვარად უსულო საგნები, ციფრები ან სიმბოლოები". ისმის კითხვა: ვინ განსაზღვრავს ან რანაირად განისაზღვრება მესამე პირი, რომლის ინტერესებსაც რეალური საფრთხე ადგება ამა თუ იმ პიროვნების გვარის შეცვლის შემთხვევაში? ამ კითხვას სვამს კანონპროექტის განმარტებითი ბარათიც. ამდენად, კანონპროექტი და განმარტებითი ბარათი ერთმანეთს ეწინააღმდეგება. იქნებ რეალური საფრთხე ამა თუ იმ პიროვნების გვარის შეცვლით არა რომელიმე პირს, არამედ პირთა ჯგუფს ადგება? წინასწარ განა შეიძლება განისაზღვროს ვისი (პიროვნების ანდა მთელი ჯგუფის) ინტერესები იქნება შელახული? პიროვნებამ თუ მიიღო ისეთი გვარი, რომლის რეალურმა მატარებელმა (ე. ი. მთელმა გვარმა) ის შეიძლება ინტერესების შელახვად მიიჩნიოს, მაშინ როგორ უნდა გამოვიდეთ შექმნილი სიტუაციიდან? საქართველოში ტრადიციულად ერთი გვარის მატარებლები მჭიდრო ნათესაური ურთიერთობებით არიან დაკავშირებულნი. ამის გათვალისწინებით, რა გარანტია გვაქვს, რომ არ მოხდება გაუთვალისწინებელი კონფლიქტები?

პროექტის მიხედვით, პიროვნების მიერ ახლად არჩეული სახელი, მამის სახელი და გვარი მხოლოდ უსულო საგნებს, ციფრებს ან სიმბოლოებს არ უნდა აღნიშნავდეს. კი მაგრამ ახალი გვარი სულიერ საგნებს შეიძლება აღნიშნავდეს (მაგალითად, კატა, თაგვი, ძროხა, ლოკოკინა და ა. შ.)? ამით ხომ საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული ქართული გვარის სტრუქტურა და ანთროპონიმული მოდელი დაიშლება. ჩვენ ხომ ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ ქართული გვარ სახელებითაც გვიცნობენ. ვილა მიხვდება, რომ ასეთი უსუფიქსო გვარების მატარებელნი ქართველები არიან? რატომ არ იცავს კანონ-პროექტი ქართული გვარ სახელის სტრუქტურას, ქართულ ანთროპონიმულ მოდელს?

ჩნდება ერთი კითხვა. დღეს, სრულიად უსაფუძვლოდ, ქართული ანთროპონიმიული მოდელიდან ამოღებულია მამის სახელი. საქართველოში მთელი შუასაუკუნეების განმავლობაში მამის სახელი აკონკრეტებდა პიროვნებას, ხელს უწყობდა მის იდენტიფიკაციას. ასე იყო და არის ისტორიულ და დღევანდელ საბერძნეთში. დასავლეთ ევროპაში კი პიროვნების დაკონკრეტება - იდენტიფიკაციას მეორე საკუთარი სახელი ახდენდა. აღნიშნულ კანონპროექტში სრულიად უადგილოდ, ულოგიკოდ ლაპარაკია მამის სახელის შეცვლაზეც. რა საჭიროა მამის სახელზე ლაპარაკი, როდესაც ის პიროვნების დამადასტურებელი ყველა იურიდიული დოკუმენტიდან ამოღებულია? ამავე დროს, რა უფლება აქვს პიროვნებას შეიცვალოს მამის სახელი თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც მამა გარდაცვლილია? მამის სახელი პიროვნებას ხომ ბუნებით ეძლევა? თუ იგულისხმება მამის სახელის არასწორად, განსხვავებული ფონეტიკური ვარიანტით ჩაწერა, მაშინ ამას კანონი უნდა აწესრიგებდეს. პროექტის ავტორები თუ მოგვიანებით რეალური მამობის დადგენას ითვალისწინებენ, მაშინ ესეც დაკონკრეტებული უნდა იყოს.

ბატონო პრეზიდენტო! იქნებ გვეფიქრა და ქართულ ანთროპონიმულ მოდელში უკანონოდ გაძევებული მამის სახელი დაგვებრუნებინა?

დღევანდელ საქართველოში, რატომღაც, მოდაშია თავადაზნაურული გვარებისადმი მისწრაფება (რასაც, სხვათაშორის, მეცნიერებას მიკედლებული ზოგი ვაიავტორიც უწყობს ხელს). აღნიშნული კანონპროექტით ასეთი ქართული გვარსახელების ხელყოფა გარდაუვალია. ტელევიზიის საშუალებით გაისმა, რომ შეიძლება ასეთი გვარების მაძიებლებმა ისინი შეიძინონ, ფულით იყიდონ. თუ ეს მართალია, მაშინ ერთგვარ უზნეობასთანაც გვაქვს საქმე. არ შეიძლება ნაცონალური რელიკვიების ხელყოფა. ქართული გვარსახელები კი, თუნდა თავადაზნაურული და თუნდ ჩვეულებრივი, გლეხური, ნამდვილად ეროვნული რელიკვიებია.

ითვალისწინებენ ავტორები იმას, რომ კანონ-პროექტის პროექტად ქცევის შემთხვევაში მთელი რიგი ქართული გვარები შეიძლება გაქრეს? ისტორიის თითოეულ პატარა აგურს ხომ გაფრთხილება სჭირდება!

კანონპროექტში არსად არის ლაპარაკი გვარის შეცვლის მოტივაციაზე. გამოდის რომ გვარის შეცვლა პიროვნების უბრალო ნება-სურვილზე იქნება დამოკიდებული. მაგრამ, შეიძლება ამ უბრალო ნება-სურვილის უკან, რეალური მოტივაციაც იმალებოდეს. მაგალითად, დღეს მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობების გამო, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, არაერთ ქართველს სურს, მიიღოს არაქართული (ბერძნული, გერმანული, ებრაული...) გვარი, რათა საზღვარგარეთის შესაბამის ქვეყანაში წავიდეს, როგორც იმ ქვეყნის ტიტულოვანი ერის წარმომადგენელი. მიზანი კი ისაა, რომ ევროპის ამა თუ იმ ქვეყანაში ჩასულს პრივილეგიები ჰქონდეს (მაგალითად, ქართველი შპეტიშვილი გერმანელ შპეტად იქცევა, ალთუნაშვილი – თურქ ალთუნად, იაკობაშვილი – ებრაელ იაკობად, პაპიშვილი ან პაპიძე – ბერძენ პაპიდისად და ა. შ.). გვარის ამ გზით შეცვლით ჩვენ ხელს შევუწყობთ საქართველოს ისედაც მძიმე დემოგრაფიული სიტუაციის გაუარესებას, დეპოპულაციის გაღრმავებას. ამასთანავე, უცხოეთის ბევრი ქვეყნიდან არაერთი ქართველია გამოსტუმრებული. ასეთი ქართველები დღეს ათასი მაქინაციებით ცდილობენ გვარ სახელის შეცვლას. კანონპროექტის კანონად ქცევის შემთხვევაში რა პასუხს ვაძლევთ ჩვენს მეგობარ ქვეყნებს?

საუკუნეების განმავლობაში ქართულ გვარს არაერთი ფუნქცია ჰქონდა. ერთ-ერთი კი საქორწინო ურთიერთობის მოწესრიგება იყო. ქართული გვარი იყო და არის ეგზოგამიური. ერთი წინაპრის შთამომავალნი ანუ ერთი გვარის მატარებელნი ერთმანეთზე არ ქორწინდებოდნენ. ეს ქართული ნაციონალობის ერთ-ერთი ნიშანიც იყო. გვარსახელების თავისუფლად შეცვლის პირობებში კი, ფაქტობრივად, დავკარგავთ ქართული ეროვნულობის ერთ-ერთ ნიშანს. მოიშლება აღნიშნული ტრადიციული ფუნქცია და მალე შეიძლება, დავდგეთ იმ ფაქტის წინაშე, რომ სისხლით ნათესავები შეიძლება ერთმანეთზე დაქორწინდნენ.

ხაზგასმით ვიმეორებთ: ჩვენ გვარის შეცვლის წინააღმდეგი სრულიადაც არ ვართ. შუა საუკუნეების ქართული ფეოდალური კანონმდებლობა და ტრადიცია (ჩვეულებითი სამართალი) მას არ კრძალავდა. ეთნიკურ არაქართველს ეძლეოდა ქართულ გარემოში ჩაწერის, ნატურალიზაციის და აქედან გამომდინარე ქართული სტრუქტურის, მოდელის გვარის მიღების საშუალება. თუ ჩვენი ქვეყნის ნებისმიერი მოქალაქე ნატურალიზებულია, რა თქმა უნდა მას უნდა მიეცეს ქართული გვარის მიღების საშუალება, მაგრამ არა ბარიერების გარეშე, რომელიც ზიანს მოუტანს და დაშლის ქართულ ანთროპონიმიულ მოდელს. უკანასკნელი 17-18 წლის განმავლობაში არაერთმა დაიბრუნა ისტორიული გვარი. რატომ არ ითვალისწინებს პროექტი ქართული გვარების აღდგენას? მესხეთელ თურქებს, რომლებსაც ცარიზმისა და საბჭოთა იმპერიის წყალობით მიზანმიმართულად დაუკარგეს ეთნიკურობა და ქართული გვარ სახელი, საქართველოში დაბრუნების შემთხვევაში რატომ უნდა წავართვათ მამა-პაპათა ისტორიული ქართული გვარების დაბრუნების (აღდგენის) საშუალება?.

კანონპროექტის მიხედვით გვარის, სახელისა და მამის სახელის შეცვლას მოქალაქის პირადი განცხადების საფუძველზე აწარმოებს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელი ტერიტორიული ორგანო (ე. ი. ე. წ. მმაჩის ბიურო). არც ამ მუხლს ვეთანხმებით. შეცვლის პროცედურას უნდა ახდენდეს საქართველოს პრეზიდენტთან (ანდა იუსტიციის სამინისტროსთან) არსებული სახელმწიფო კომისია, რომელიც შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირებით (იურისტები, ისტორიკოსები, ეთნოლოგები, ენათმეცნიერები, საზოგადო მოღვაწეები) იქნება დაკომპლექტებული.

ბატონო პრეზიდენტო! ამდენად აღნიშნული სახით კანონში ცვლილების შეტანა გაუმართლებელია, ბევრი რამ ასაწონ-დასაწონია. გასათვალისწინებელია ბევრი სხვა ნიუანსიც, რომლებსაც ამ წერილში არ შევეხეთ. იმედი გვაქვს თქვენი, როგორც ქართული ნაციონალური იდეების, კულტურის, ქართული მენტალიტეტის დამცველისა, რომ ჩვენს თხოვნას გაითვალისწინებთ და პარლამენტი საერთოდ უარს იტყვის შემოთავაზებული კანონის მეორე და მესამე მოსმენით მიღებაზე, ე. ი. კანონპროექტის კანონად ქცევაზე. ამით საქართველო და ქართველი ხალხი გლობალიზაციის (რომლის წინააღმდეგი ჩვენ არ ვართ) ზოგიერთი უარყოფითი მხარისგან ერთგვარად თავსაც დაიცავს.

*ანდრია აფაქიძე*
*გურამ თევზაძე*
*მარიამ ლორთქიფანიძე*
*დავით მუსხელიშვილი*
*ოთარ ჯაფარიძე*
*ედიშერ ხოშტარია-ბროსე*
*ლევან ალექსიძე*
*ლეო ჩიქავა*
*შოთა ნადირაშვილი*
*როლანდ თოფჩიშვილი*
*დიმიტრი ჩარკვიანი*
*გია წერეთელი*
*თეიმურაზ საყვარელიძე*
*მიხეილ ბეჟანიშვილი*
*გია ხუბუა*
*ვახტანგ ჯაფარიძე*
*დიმიტრი შველიძე*
*ანტონ ლეჟავა*
*ნანა ხაზარაძე*
*თინა ოჩიაური*
*ჯულიეტა რუხაძე*
*ნუნუ მინდაძე*
*მანანა ხიდაშელი*
*ლია მელიქიშვილი*
*ქეთევან ხუციშვილი*
*დევი ბერძენიშვილი*
*გერონტი გასვიანი*
*ალექსანდრე ბენდიანიშვილი*
*ალექსანდრე დაუშვილი*
*მიხეილ სამსონაძე*
*ელდარნადირაძე*

# განცხადება

## საქართველოს იუსტიციის სამინისტრო აცხადებს ღია ტენდერს VPN ქსელით მომსახურეობის შესყიდვაზე. ქ. თბილისი რუსთაველის გამზირი N30

შესყიდვის ობიექტია:

| N | მომსახურეობის დასახელება | მომსახურეობის გაწევის ადგილი | მომსახურეობის გაწევის ვადები. |
|---|---|---|---|
| 1 | VPN მეერთება (მომსახურეობა) | იხ. ჩამონათვალი | 15 ივლისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით |

**მომსახურეობის გასაწევი ობიექტების მისამართების ჩამონათვალი:**

1. საბურთალოს საპასპორტო და მოსახლეობის რეგისტრაციის სამსახური-ქ.თბილისი, ბუდაპეშტის ქ.N2;
2. ვაკის საპასპორტო და მოსახლეობის რეგისტრაციის სამსახური-ქ. თბილისი, ჭავჭავაძის N50;
3. მთაწმინდის საპასპორტო და მოსახლეობის რეგისტრაციის სამსახური -ქ. თბილისი, ბროსეს ქ. N1;
4. კრწანისის საპასპორტო და მოსახლეობის რეგისტრაციის სამსახური-ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N75;
5. გლდანის საპასპორტო და მოსახლეობის რეგისტრაციის სამსახური-ქ. თბილისი, სარაჯიშვილის ქ. N3;
6. ნაძალადევის საპასპორტო და მოსახლეობის რეგისტრაციის სამსახური-ქ.თბილისი, გურამიშვილის ქ. N 17ა.
7. ისნის საპასპორტო და მოსახლეობის რეგისტრაციის სამსახური - ქ. თბილისი, ქ. წამებულის ქ. N65;
8. ჩუღურეთის საპასპორტო და მოსახლეობის რეგისტრაციის სამსახური-ქ. თბილისი, ჩიქობავას ქ. N22;
9. სამგორის საპასპორტო და მოსახლეობის რეგისტრაციის სამსახური-ქ. თბილისი, თრიალეთის ქ. N50;
10. დიდუბის საპასპორტო და მოსახლეობის რეგისტრაციის სამსახური-ქ. თბილისი, ვანის ქ. N4;
11. საინფორმაციო - სამისამართო განყოფილება - ქ. თბილისი წერეთლის 8
12. ქუთაისის საპასპორტო და მოსახლეობის რეგისტრაციის სამსახური-ქ. ქუთაისი, რუსთაველის N157;
13. რუსთავის საპასპორტო და მოსახლეობის რეგისტრაციის სამსახური-ქ. რუსთავი, ფიროსმანის ქ. N19;
14. თელავის საპასპორტო და მოსახლეობის რეგისტრაციის სამსახური-ქ.თელავი, თბილისის გზატკეცილი N26;
15. ოზურგეთის საპასპორტო და მოსახლეობის რეგისტრაციის სამსახური-ქ.ოზურგეთი, ა. წულაძის ქ.N7;
16. ზუგდიდის საპასპორტო და მოსახლეობის რეგისტრაციის სამსახური-ქ. ზუგდიდი, გამარჯვების ქ. N5;
17. მცხეთის საპასპორტო და მოსახლეობის რეგისტრაციის სამსახური - ქ. მცხეთა, ღვინჯილიას ქ. N5;
18. ახალციხის საპასპორტო და მოსახლეობის რეგისტრაციის სამსახური-ქ. ახალციხე, რუსთაველის N91;
19. ბათუმის საპასპორტო და მოსახლეობის რეგისტრაციის სამსახური - ქ. ბათუმი, ელიავას ქ. N4.
20. გორის საპასპორტო და მოსახლეობის რეგისტრაციის სამსახური - ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ. N60;
21. ამბროლაურის საპასპორტო და მოსახლეობის რეგისტრაციის სამსახური-ქ.ამბროლაური, კოსტავას ქ .N11;
22. ახალქალაქის საპასპორტო და მოსახლეობის რეგისტრაციის სამსახური - ქ. ახალქალაქი, ალმაშენებლის N11;
23. მარნეულის საპასპორტო და მოსახლეობის რეგისტრაციის სამსახური-მარნეული, რუსთაველის ქ.N70;
24. აფხაზეთის ა/რ საპასპორტო და მოსახლეობის რეგისტრაციის სამსახური - ქ. თბილისი, გურამიშვილის ქ. N74ა;
25. ბოლნისის მოსახლეობის რეგისტრაციის სამსახური - ქ. ბოლნისი, სიონის ქ.N8.

ტენდერში გამარჯვებულების მიერ აღნიშნული მომსახურეობის გაწევა უნდა განხორციელდეს **2005 წლის 15 ივლისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით** გრაფიკის შესაბამისად, ზემოთ ჩამოთვლილ მისამართებზე ცხრილის მიხედვით.

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა სატენდერო კომისიას "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის შესაბამისად საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოუდგინონ ქართულ ენაზე, (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილ უნდა იქნეს ინგლისურ ენაზე, ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის დართვით) **2005 წ. 30 ივნისიდან 01 ივლისის 18 საათამდე**, შემდეგ მისამართზე: თბილისი, (0146), რუსთაველის გამზირი N30, ოთახი **N62ა ტელ 758313**

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის:**

- ცნობას საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებზე არ არის დადებული ყადაღა (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);
- ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);
- ცნობას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ ტენდერში მონაწილეობის მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ არიან ნასამართლევი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);
- ცნობას იურიდიული პირის ხელმძღვანელის (დირექტორი, პრეზიდენტი) იდენტიფიკაციის შესახებ. (ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან რეგისტრაციის შესახებ)
- კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ გაცემული შესაბამისი ლიცენზია.

**ფიზიკური პირებისათვის:**

- ცნობას, შესაბამისად უფლებამოსილი ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ იგი ქმედუნარიანია;
- ცნობას, შინაგან საქმეთა სამინისტროდან რომ იგი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.
- ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.
- კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ გაცემული შესაბამისი ლიცენზია.

საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე.

ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირი გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, დასახელებულ იქნება პრეტენდენტად მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა საკვალიფიკაციო დოკუმენტს და ისინი არ აღმოჩნდება ყალბი.

სატენდერო დოკუმენტაცია პრეტენდენტებს გადაეცემათ მათ მიერ სატენდერო მოსაკრებელის გადახდის შემდგომ, მისამართზე - საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, რუსთაველის გამზირი N30, ოთახი **N62ა** ქართულ ენაზე, **2005 წლის 04 ივლისიდან 05 ივლისის 1800.**

სატენდერო მოსაკრებელის საბანკო რეკვიზიტებია:

ქ. თბილისის მთაწმინდა-კრწანისის საოლქო ინსპექცია ა/ა N200122900, ეროვნული ბანკი კოდი 220101107, სახაზინო კოდი 300033133. აუცილებლად უნდა მიეთითოს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, სატენდერო მოსაკრებელი (500 ლ.).

სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს ინფორმაციას გასაწევი მომსახურეობის ყველა დასახელებაზე.

ტენდერში გამოვლინდება მხოლოდ ერთი გამარჯვებული.

პრეტენდენტები წარმოადგენენ ერთი სატენდერო წინადადებას დახურული კონვერტით.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ საკონტაქტო პირს **-ზაზა ჭაბუკიანს, ტელეფონის ნომერი - 758291 რუსთაველის გამზირი 30, ოთახი N96**

**დამატებითი ინფორმაცია**

სახელმწიფო შესყიდვები რეგულირდება შემდეგი საკანონმდებლო აქტებით:

- საქართველოს კანონი "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ";
- დებულება "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ";
-საქართველოს კანონი "საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში დამატებების შეტანის შესახებ"

სახელმწიფო შესყიდვების პროცედურის განხორციელების დროს წარმოქმნილი პრეტენზიები გასაჩივრდება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 241 მუხლის, "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების 33-37 ე მუხლებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. იმ პრეტენდენტებს, რომლებიც გადაიხდიან სატენდერო მოსაკრებელს გადაეცემათ სატენდერო დოკუმენტაცია და განზრახვათა შესახებ ხელშეკრულება.

# „მინი დავოსი" უკრაინულად

*დღეს კიევში სრულდება საერთაშორისო ეკონომიკური ფორუმი, ე.წ. "გასვლითი დავოსი", რომელშიც მსოფლიოს საქმიანი ელიტა, პოლიტიკოსები და პრეზიდენტები იღებდნენ მონაწილეობას, მათ შორის - ექვსი სახელმწიფოს პრეზიდენტი და 32 ქვეყნის 150-მდე ბიზნესმენი. ფორუმიდან უკრაინის ხელისუფლება „ნანატრ" საინვესტიციო ბუმს ელის.*

დიანა ჩაჩუა

უკვე მეორე დღეა, უკრაინის დედაქალაქი მსოფლიო საქმიანი და პოლიტიკური ელიტის მასპინძელია. უკრაინულ „მინი დავოსში" მოლდოვის, ესტონეთის, აზერბაიჯანის, ლიტვის, პოლონეთის და საქართველოს პრეზიდენტები იღებდნენ მონაწილეობას. ეს უკანასკნელი კიევს ყველაზე პირველი ეწვია სამდღიანი ოფიციალური ვიზიტით. რუსეთის პრეზიდენტმა ფორუმში მონაწილეობაზე უარი განაცხადა.

კიევში მიმდინარე ფორუმში, ასევე, 32 ქვეყნის 150-მდე უცხოელი და ადგილობრივი ბიზნესმენი მონაწილეობდა, მათ შორის - Microsoft-ის, Shell-ის, Nestle-ს, Oracle-ს, Coca-Cola-ს, Nike-ს, Deutsche Bank-ს და მსოფლიოს სხვა მსხვილი კომპანიების ხელმძღვანელები.

უკრაინული "მინი დავოსის" მსჯელობის მთავარი თემები უკრაინის საინვესტიციო მიმზიდველობა, უკრაინის ეკონომიკის ცალკეული დარგის განვითარების პერსპექტივები, კორუფციასთან ბრძოლა და ევროკავშირთან და რუსეთთან ურთიერთობების გაღრმავება გახდა. გუშინ მრგვალ მაგიდაზე უკრაინის პრეზიდენტი ბიზნესის და პოლიტიკის ლიდერებს უკრაინის ეკონომიკურ პოტენციალზე და უკრაინის ახალი მთავრობის ახალ პოლიტიკაზე - სამართლებრივი სახელმწიფოს და საბაზრო ეკონომიკის აშენებაზე ესაუბრა.

უკრაინის ხელისუფლება დარწმუნებულია, რომ ფორუმი მნიშვნელოვან ინვესტიციებს მოიზიდავს.

მიუხედავად იმისა, რომ „ნარინჯისფერი რევოლუციის" შემდეგ უკრაინის ახალი ხელისუფლება დიდი იმედებით ელოდა საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას და ეკონომიკის აღმავლობას, უნდა აღინიშნოს, რომ უკრაინაში, ამ მხრივ, სიტუაცია არცთუ ისე კარგადაა. როგორც ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის აღმოსავლეთ ევროპის განყოფილების ხელმძღვანელმა ოლივიე დეშამპმა კიევის ფორუმის გახსნამდე განაცხადა, უკრაინაში საინვესტიციო კლიმატი ძალიან მძიმეა. მიუხედავად იმისა, რომ უკრაინას სათავეში პროევროპული ორიენტაციის პრეზიდენტი უდგას, აქ უცხოური ინვესტიციების მოცულობა კვლავ ერთ-ერთი ყველაზე დაბალია აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნებს შორის. ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის დონის ამსახველ სიაში კი უკრაინას 104 ქვეყნიდან 86-ე ადგილი უკავია.

**„უკრაინაში მიმდინარე მოვლენებისადმი არსებულმა ინტერესმა, რომელიც „ნარინჯისფერი რევოლუციით" იყო პროვოცირებული, ჯერჯერობით ქვეყანაში დიდი ინვესტიციების შემოდინება ვერ უზრუნველყო,"** - წერს რუსული მედია.

უკრაინის ხელისუფლება არც მალავს, რომ აცნობიერებს ქვეყნის ეკონომიკაში არსებულ პრობლემებს. ქვეყანაში მაღალი დონის ეკონომიკური ფორუმების ჩატარება კი უცხოელი ინვესტორების მოზიდვის კარგ საშუალებად ითვლება. თუმცა, როგორც ექსპერტები თვლიან, უკრაინული ბაზრის პრობლემების დასაძლევად მხოლოდ საერთაშორისო ფორუმის ჩატარება აშკარად არადამაკმაყოფილებელია.

როგორც აღინიშნა, უკრაინაში იმყოფება საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილიც. რუსული პრესა წერს, რომ სამდღიანი ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში საქართველოს პრეზიდენტს დაგეგმილი აქვს შეხვედრები ვიქტორ იუშენკოსთან, იულია ტიმოშენკოსთან და უკრაინის სხვა მაღალჩინოსნებთან. როგორც უკრაინაში საქართველოს საელჩოში განაცხადეს, სააკაშვილის შეხვედრების თემა საქართველოსა და უკრაინას შორის ეკონომიკის და თავდაცვის სფეროებში ორმხრივი სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების გაღრმავებაა.




# თავდასხმა კამბოჯაში

*გუშინ ჩრდილოეთ-დასავლეთ კამბოჯას ქალაქ სიმრიპში მდებარე საერთაშორისო დაწყებითი სკოლა, რომელშიც მსოფლიოს თოთხმეტი სხვადასხვა ქვეყნის ბავშვები (მათ შორის, დიდი ბრიტანეთიდან, აშშ-დან, კანადიდან, იაპონიიდან, იტალიიდან და ავსტრალიიდან) სწავლობენ, შეიარაღებული პირების სამიზნე გახდა. ხანგრძლივი მოლაპარაკებების შედეგად მათ მძევლების ნაწილი გაათავისუფლეს. მოგვიანებით სამართალდამცველებმა სპეცოპერაცია განახორციელეს. სააგენტო სი ენ ენ-ის ცნობით, ინციდენტის შედეგად დაიღუპა ხუთი წლის კანადელი ბავშვი და ორი თავდამსხმელი.*

ნინო ტიკარაძე

შავებში ჩაცმული, სანადირო თოფებითა და AK-47 სისტემის ავტომატებით შეიარაღებული ტერორისტები ადგილობრივი დროით დილის 9:30 დაესხნენ თავს დაწყებით სკოლას და 70 ადამიანი აიყვანეს მძევლად. მათ თავდაპირველად - ათასი, შემდეგ კი 30 ათასი ამერიკული დოლარი, იარაღი და ტაილანდის საზღვართან უსაფრთხოდ მიყვანა მოითხოვეს.

"როიტერსის" ცნობით, პოლიციელებმა ტერორისტებს ფანჯრიდან 30 ათასი ამერიკული დოლარი მიაწოდეს, თუმცა ისინი კვლავაც იარაღს ითხოვდნენ. მთავრობამ თავდამსხმელებს მიკროავტობუსი შესთავაზა. ულტიმატუმის მთლიანად შესრულებაზე უარის მიღების შემდეგ ტერორისტებმა კანადელი მოსწავლის სიცოცხლე შეიწირეს. როგორც ამბობენ, ბავშვი თავში მიყენებული ჭრილობისგან გარდაიცვალა. თუმცა, არსებობს სხვა ვერსიაც ბავშვის დაღუპვასთან დაკავშირებით – ბიჭუნა არა შენობაში, არამედ გარეთ, ალყის დროს დაიღუპა.

**"ისინი ბავშვების ერთმანეთის მიყოლებით დახოცვით დაგვემუქრნენ, ამიტომაც ჩვენმა ძალოვნებმა ოპერაციის ჩატარების გადაწყვეტილება მიიღეს,"** - აღნიშნა ინფორმაციის მინისტრმა.

თვითმხილველმა ფოტოგრაფმა ჯონ მაკდერმოტმა სი ენ ენთან საუბრისას განაცხადა, რომ პოლიციელებმა ტერორისტებზე იერიში მაშინ მიიტანეს, როცა ისინი მიკროავტობუსით სკოლის ეზოს დატოვებას აპირებდნენ. ამ მომენტში მოსწავლეები და ბავშვები სკოლის გასასვლელისკენ გამოიქცნენ. სხვა თვითმხილველები კი აცხადებენ, რომ შენობის შიგნით რამდენჯერმე გაისმა სროლის ხმა, მხოლოდ ამის შემდეგ "გაიღო შენობის კარი და ხალხმა ბავშვებით ხელში დაიწყო გამოსვლა". აღსანიშნავია, რომ მიკროავტობუსში მხოლოდ ტერორისტები არ იყვნენ. მათთან ერთად მანქანაში რამდენიმე მძევალიც იმყოფებოდა.

მეზობელ ტაილანდში იტალიის ელჩმა იტალიის სატელევიზიო არხთან საუბრისას განაცხადა, რომ თავდასხმის დროს სამი წლის იტალიელი ბავშვი მამამისმა გადაარჩინა.

**"მათ იერიში მიიტანეს მიკროავტობუსზე, რომელშიც გამტაცებლებთან ერთად მოსწავლეებიც იყვნენ. იმყოფებოდა, ასევე, იტალიელი ბავშვის მამაც, რომელმაც ალყის დროს, საერთო არეულობის მიუხედავად, თავის შვილს დაავლო ხელი და მანქანიდან გადმოხტომა მოახერხა. ჩვენ თავიდანვე ვურჩიეთ კამბოჯელებს ისეთი არაფერი ჩაედინათ, რაც ბავშვების სიცოცხლეს საფრთხის წინაშე დააყენებდა,"** - განაცხადა ელჩმა.


*კამბოჯაში მდებარე საერთაშორისო დაწყებითი სკოლა შეიარაღებული პირების სამიზნე გახდა.*

**"ტერორისტები სულ ოთხნი იყვნენ,"** - აცხადებს კამბოჯის სამხედრო პოლიციის უფროსი. თუმცა, თავდაპირველი ინფორმაციით, მათი რიცხვი ექვსს შეადგენდა.

ავსტრალიის საგარეო საქმეთა მინისტრის ალექსანდრ დაუნერის განცხადებით, მძევლებს შორის, სულ მცირე, ერთი ავსტრალიელი მოსწავლე იყო. იყო, ასევე, ერთი ბრიტანელიც.

ადგილობრივი პოლიციის განცხადებით, თავდამსხმელები ოც წელზე მეტი ასაკის არ უნდა ყოფილიყვნენ. სავარაუდოდ, ისინი ხმერები არიან.

კამბოჯის მთავრობის ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ თავდამსხმელებს პოლიტიკური მოტივები არ ამოძრავებდათ და, უბრალოდ, ნარკოტიკებით გაბრუებული ბანდიტები იყვნენ. ამავე აზრს იზიარებენ დიპლომატიური წყაროები. მათი განცხადებით, დამნაშავეები შენობაში ძარცვის მიზნით შეცვივნდნენ, თუმცა მოვლენები შემდეგ ისე არ განვითარდა, როგორც მათ სურდათ.

**"სკოლაში არდადეგები იყო, მაგრამ ბავშვები კლასგარეშე საზაფხულო გაკვეთილებისთვის იყვნენ მისულები. ბანდიტები სკოლაში გასაქურდად შევიდნენ, თუმცა მოულოდნელად ბავშვებს გადააწყდნენ,"** - აცხადებს ტაილანდის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი.

ბი ბი სი-ის ცნობით, კამბოჯაში მძევლების აყვანა და გამოსასყიდის მოთხოვნა არცთუ ისე უჩვეულო მოვლენაა. ამ აზიურ სახელმწიფოში უამრავმა ადამიანმა მოახერხა იარაღის შენახვა სამოქალაქო ომისა და "წითელი ხმერების" გენოციდის შემდეგ 1970-იან წლებში.

სიმრიპი, რომელიც ქვეყნის დედაქალაქის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს, ქვეყნის ტურისტულ ცენტრს წარმოადგენს, რაც მასთან ახლოს მდებარე 800 წლის ანკორ უატის ტაძართა კომპლექსის დამსახურებაა. აქედან გამომდინარე, იგი, კამბოჯის დანარჩენი ქალაქებისგან განსხვავებით, შედარებით წარმატებულია. შეგახსენებთ, თავად კამბოჯა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ერთ-ერთი ულარიბესი ქვეყანაა.

# „ანტიკრიზისული" სამიტი

პირველი გვერდიდან

სხვათა შორის, ეს წინადადება ერთი შეხედვით ყველაზე ახლოს დგას რეალობასთან და თუ მასზე მართლაც შეთანხმდნენ ევროპელი ლიდერები, დაძაბულობა დროებით შენელდება და გაერთიანებას "ამოსუნთქვის" საშუალება მიეცემა.

მაგრამ, მეორე საკითხიც (ბიუჯეტი) არ არის ნაკლებად პრობლემური. ევროკომიის ხელმძღვანელობამ 2007-2013 წწ. ბიუჯეტის გაზრდა მოითხოვა, რაც, მათი აზრით, ევროკავშირში ახალი წევრების გაერთიანებით (უმეტესად, სუსტი ეკონომიკური განვითარების ქვეყნები) არის გამოწვეული. ევროკომისიის პროექტი თითოეული წევრი-ქვეყნის მიერ საერთო ბიუჯეტში შენატანის გაზრდას ითვალისწინებს - მშპ-ს 1,14 პროცენტით. რასაკვირველია, ამ წინადადებას არ ეთანხმებიან გაერთიანების ძველი და, შესაბამისად, ყველაზე მდიდარი წევრები.

გარდა ამისა, სამიტს წინ უსწრებდა ბრიტანეთისა და საფრანგეთის დაპირისპირება, უშუალოდ, ბიუჯეტთან დაკავშირებით. საქმე ისაა, რომ ახალი პროექტიდან, საფრანგეთის მოთხოვნით, ამოღებულია საერთო ბიუჯეტის შენატანების შეღავათი ბრიტანეთისთვის (იგი თანხობრივად 4.4 მლრდ ევროს აღწევს და მარგარეტ ტეტჩერის მმართველობის დროს - 1984 წელს არის შემოღებული). სამი დღის წინათ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი სპეციალურად ჩავიდა პარიზში თავისი ქვეყნის ინტერესების დასაცავდ. თუმცა, არც ამ შეხვედრას არ მოუტანია გარდატეხა. საპასუხოდ, ბრიტანეთმა სოფლის მეურნეობისათვის დოტაციის ოდენობის შემცირება მოითხოვა. ეს პირდაპირი დარტყმა იყო პარიზზე – ამ დოტაციის ყველაზე დიდ ნაწილს ფრანგი ფერმერები იღებენ.

ასე რომ, პრობლემები არცთუ უმნიშვნელო და, მით უმეტეს, ადვილად დასაძლევი გახლავთ. დღეს გამოჩნდება რამდენად "ანტიკრიზისული" იქნება ბრიუსელის სამიტი. თუმცა, ტონი ბლერმა ბრიუსელში ჩასვლამდე განაცხადა, რომ ეჭვობს, ორი დღე საკმარისი აღმოჩნდეს ყველა საკითხზე შეთანხმების მისაღწევად.

*24 საათი*

# ბუშის თანაშემწეები უფულობას არ უჩივიან

აშშ-ს გავლენიანმა გაზეთმა „ვაშინგტონ პოსტმა" გუშინ გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც საუბარია აშშ-ს პრეზიდენტის თანაშემწეების მიერ წარმოდგენილ 2004 წლის ფინანსურ დეკლარაციებზე.

როგორც აღმოჩნდა, ჯორჯ ბუშის მთავარი თანაშემწეები, მათ შორის - პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ენდრიუ კარდი, მისი მოადგილე (პრეზიდენტის პოლიტიკური მრჩეველი) კარლ როუვი და თანაშემწე ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში (ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს მდივანი) სტივენ ჰედლი მილიონერები არიან.

თეთრი სახლის აპარატის უფროსმა ენდრიუ კარდმა განაცხადა, რომ მისი კუთვნილი თანხის ნაწილი საინვესტიციო ფონდშია დაბანდებული, ნაწილი კი საბანკო ანგარიშებზეა განთავსებული. ეს თანხა, დაახლოებით, 1,2-3,2 მლნ დოლარს უდრის. კარდი ფლობს, ასევე, 100 ათასიდან 250 ათას დოლარამდე ღირებულების სახლს მენის შტატში და 250-500 ათასი დოლარის ღირებულების სახლს მასაჩუსეტსის შტატში, რომელსაც აქირავებს და ყოველწლიურად 15-დან 50 ათასამდე დოლარს იღებს.

ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში აშშ-ს პრეზიდენტის თანაშემწის სტივენ ჰედლის მონაცემებით, მას საინვესტიციო ფონდებსა და ბანკებში 3,3 მლნ-დან 7,6 მლნ დოლარამდე აქვს განთავსებული. ის, ასევე, ფლობს უძრავი ქონების ფირმას, სადაც მისი წილი 100 ათასიდან 250 ათას დოლარამდეა.

ბუშის მთავარი მრჩეველი კარლ როუვი 1,1 მლნ დოლარიდან 2,4 მლნ დოლარამდე სახსრებს ფლობს. მას და მის მეუღლეს, ასევე, ეკუთვნით ფლორიდის შტატში 1 მლნ დოლარის ღირებულების სახლი და 100 ათასიდან 250 ათას დოლარამდე ღირებულების სახლი ტეხასში, რომელსაც ის აქირავებს და ყოველწლიურად 2,5 ათასიდან 5 ათასამდე დოლარს იღებს.

პრეზიდენტის მრჩეველი დენ ბარტლეტის ფინანსურ დეკლარაციაში ნათქვამია, რომ მას, სულ მცირე, ნახევარი მილიონი დოლარის აქციები აქვს სატრასტო ფონდში და კიდევ მიწის ნაკვეთს ფლობს დასავლეთ ტეხასში, სადანაც 15-50 ათასი დოლარის შემოსავალს იღებს.

აშშ-ს პრეზიდენტის ყველაზე შეძლებული თანაშემწე მთავარი ეკონომიკური მრჩეველი ალან ჰაბარდია, რომლის პირად ფინანსურ ანგარიშზე სხვადასხვა კომპანიის აქციები და ინვესტიციები, მიახლოებითი გათვლით, 5,7 მლნ დოლარიდან 23,6 მლნ დოლარამდე ოდენობით ირიცხება.

## ორი სიტყვით

**აზია.** ადამიანის უფლებების დამცველმა ორგანიზაცია „ამნესტი ინტერნეიშენალმა" დასავლეთის ქვეყნებსა და ინდოეთს მოუწოდა, შეუწყვიტონ სამხედრო დახმარება ნეპალს, ვიდრე ნეპალი ბოლოს არ მოუღებს მაოისტი მეამბოხეების წინააღმდეგ ბრძოლაში, „ამნესტის" შეფასებით, ადამიანის უფლებების მასშტაბურ ხელყოფას. ნეპალის სამხედროები უარყოფენ ადამიანის უფლებების დარღვევის ბრალდებას. სამხედრო წარმომადგენლის მიერ გაკეთებული განცხადებით, მიიღებენ ზომებს დანაშაულში შემჩნეული ყოველი ჯარისკაცის წინააღმდეგ. ნეპალის წამყვანმა დონორმა სახელმწიფოებმა, მათ შორის - აშშ-მ, ბრიტანეთმა, ინდოეთმა, შეწყვიტეს ნეპალის სამხედრო დახმარება მეფე გიანენდრას მიერ აბსოლუტური ძალაუფლების ხელში აღების შემდეგ. ეს მიმდინარე წლის თებერვალში მოხდა, მაგრამ მას შემდეგ სამხედრო დახმარება თანდათან განახლდა. ნეპალში, 9 წელია, გრძელდება სახელისუფლებო ჯარების დაპირისპირება მონარქიის დამხობისათვის მებრძოლ მაოისტ მეამბოხეებთან. ამ დროის მანძილზე 12 000-მდე ადამიანია დაღუპული. **რადიო თავისუფლება**

■ ■ ■

**რუსეთი.** პრეზიდენტმა პუტინმა გუშინ კრემლში ესპანეთის მეფე ხუან კარლოს პირველი მიიღო. ეს არის რუსეთის პრეზიდენტისა და ესპანელი მონარქის მეოთხე შეხვედრა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში. პუტინის განცხადებით, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო უახლოეს მომავალში საბოლოოდ განსაზღვრავს ესპანეთში მისი ოფიციალური ვიზიტის თარიღს. ხუან კარლოსის თქმით კი, რუსეთის პრეზიდენტის ვიზიტი მის ქვეყანაში იქნება კარგი გაგრძელება იმისა, რაც მიღწეულ იქნა 2000 წელს, ვლადიმირ პუტინის ესპანეთში პირველი ვიზიტის დროს. **მედიანიუსი**


## 2005 წლის ოქტომბერში ქ. თეირანში ჩატარდება ბავშვებისა და მოსწავლე-ახალგაზრდების ნახატების მესამე საერთაშორისო გამოფენა-კონკურსი თემაზე: "წყლის კონსერვაცია"

(სასმელი წყლის მომჭირნეობით ხარჯვა-გამოყენება, მტკნარი წყლების მნიშვნელობა ბუნებაში, მისი სულ უფრო მზარდი დეფიციტი, წყლის ეკოლოგიური და რეალური ღირებულებები და ა. შ.)

**ნამუშევრები შეიძლება შესრულდეს ფანქრით, აკვარელით, ზეთის საღებავებით.**

სკოლები დამოუკიდებლად შეარჩევენ ერთ ან ორ საუკეთესო ნახატს და **2005 წლის 25 აგვისტომდე** გააგზავნიან ფოსტით ირანის ისლამურ რესპუბლიკაში, შემდეგ მისამართზე:

Teheran Province end Wastewater Company
P. O. Box 14155-1595
Teheran water @ yahoo.com

წერილობითი ინფორმაცია თეირანში გაგზავნილი ბავშვთა ნახატების შესახებ (ნახატის სათაური, ავტორის ვინაობა, კლასი, პედაგოგის გვარი) სკოლებმა და ინტერნატულმა დაწესებულებებმა უნდა გამოაგზავნონ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში **2005 წლის 1-ლ სექტემბრამდე მისამართზე:**

**ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. 52**

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე:
95-08-79 (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბავშვთა ზრუნვის დეპარტამენტი)

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური**

**თბილისი 0102, უზნაძის ქ. 52, ტელ: 99 60 00, ფაქსი: 96 98 31 ელ.ფოსტა: gakheladze@wanex.net, ვებ-გვერდი: www.mes.gov.ge**



## იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის ფონდი საშუალო სკოლის მასწავლებლებს იწვევს სასწავლო პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად

პროგრამის მიზანია იაპონიის კულტურისა და საგანმანათლებლო სისტემის გაცნობა. პროგრამაში მონაწილეობისათვის აუცილებელი პირობებია:

- მინიმუმ 5 წლიანი პედაგოგიური გამოცდილება საზოგადო მეცნიერებათა სფეროში

ინგლისური ენის ცოდნა

- მონაწილეთა ასაკი არ უნდა აღემატებოდეს 50 წელს

პროგრამის ხანგრძლივობა - 2 კვირა.

**საბუთების შეტანის ბოლო ვადაა 2005 წლის 22 ივნისი.**

დამატებითი ინფორმაციისა და სააპლიკაციო ფორმებისათვის უნდა მიმართოთ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს

**მისამართი: თბილისი, დ. უზნაძის 52, ოთახი N129**
**ტელ: 95 70 10**



## სატენდერო განცხადებაში ცვლილების შეტანის შესახებ

**ქ. თბილისის მერიის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტის მიერ გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადებაში (გაზეთი "24 საათი"; 2 ივნისი, 2005 წელი; N122) ქ. თბილისში ვარკეთილი III, 327-330 კორპუსებს შორის არსებულ სკვერის, დიღმის მასივში, რობაქიძის გამზირის (მთლიანად), მუხიანის დასახლებაში, ნონეშვილის ქ. დასაწყისში არსებული სკვერის, აღმაშენებლის გამზირზე მდებარე "ვარდების ბაღის", რუსთაველის გამზირზე, ოპერისა და ბალეტის თეატრის მიმდებარე სკვერების პროექტების მოსამზადებლად მომსახურების შესასყიდად, პირველ და მესამე პუნქტებში შეტანილ იქნეს ცვლილებები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**1. შესყიდვა ხორციელდება ერთიანი ობიექტის მიხედვით: ქ. თბილისში დიღმის მასივში - რობაქიძის გამზირის (მთლიანად), მუხიანის დასახლებაში - ნონეშვილის ქ. დასაწყისში არსებული სკვერის, აღმაშენებლის გამზირზე მდებარე "ვარდების ბაღის", რუსთაველის გამზირზე - ოპერისა და ბალეტის თეატრის მიმდებარე სკვერების პროექტების მოსამზადებლად."**

**3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადებები ღირებულების გარეშე უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე განცხადების გამოქვეყნებიდან 15 კალენდარული დღის შემდეგ, 8 დღის განმავლობაში - *15 ივნისიდან 22 ივნისის* 17 სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი 0105, გ. ლეონიძის ქ. N2, ქ. თბილისის მერიის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტის სატენდერო კომისიის აპარატში.**

### მოკლედ

## ღვინის ხარისხის კონტროლს სახელმწიფოსთან ერთად ბიზნესსექტორი განახორციელებს

ადგილწარმოშობის ღვინოების სერტიფიცირებას და ხარისხის კონტროლს, სახელმწიფო სტრუქტურასთან ერთად, სავარაუდოდ, ბიზნესმენებით დაკომპლექტებული საბჭო აღასრულებს.

ღვინის ფალსიფიკაციის აღსაკვეთად ახალი ქმედითი ორგანოს საუკეთესო მოდელის შემუშავება პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა ღვინის მწარმოებლებთან კონსულტაციებით დაიწყო.

მეღვინეებთან ხუთშაბათს გამართული შეხვედრის შემდეგ პრემიერ-მინისტრმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ოპტიმალური მოდელის საბოლოო შეჯერებული ვარიანტი ოც დღეში გახდება ცნობილი.

პრემიერ-მინისტრმა კოორდინატორობა სოფლის მეურნეობის მინისტრს მიხეილ სვიმონიშვილს დაავალა, რომელმაც კონკრეტული გეგმა მას ორ კვირაში უნდა წარუდგინოს.

როგორც პრაიმ-ნიუსს "სამტრესტის" წარმომადგენელმა, არჩილ ლებანიძემ აცნობა, სოფლის მეურნეობის მინისტრმა გაიზიარა მათი რეკომენდაცია, რომელიც მაკონტროლებელ საბჭოში მეწარმეთა 50%-იან მონაწილეობას ითვალისწინებს, შესაბამისად, მეღვინეები ამ ორგანოს თანადამფინანსებლებიც იქნებიან.

მისი ინფორმაციით, მეწარმეების კატეგორიული წინააღმდეგობის შემდეგ აღარ განიხილება მთავრობის მიერ შეთავაზებული, ფალსიფიცირებასთან ბრძოლის ერთ-ერთი მექანიზმი, რომელიც ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოების ბრენდების რომელიმე კომპანიის ან კომპანიათა ჯგუფის მფლობელობაში გადაცემას ითვალისწინებდა.

ხარისხის კონტროლის აუცილებლობა განპირობებულია "ლიცენზირებისა და ნებართვების გამარტივების შესახებ" კანონპროექტით, რომელიც პარლამენტმა მიმდინარე სესიაზე უნდა დაამტკიცოს.

*პრაიმ-ნიუსი*

## სამეგრელოში აზოტოვან სასუქებს შეიტანენ

უახლოეს დღეებში სამეგრელოს რაიონებში აზოტოვანი სასუქების შეტანა და მისი რეალიზაცია დაიწყება.

როგორც სოფლის მეურნეობის სამინისტრო იუწყება, კერძო სტრუქტურებს ის აღნიშნულ რაიონებში სასუქის ორგანიზებულად შეტანაში დაეხმარება. კერძო მოვაჭრეების მიერ ამ ეტაპზე სასუქები მხოლოდ ზოგიერთ რაიონშია შეტანილი.

სასუქების ფასი ერთ ტომარაზე 18 ლარია. მისი ინტენსიური გამოყენების პერიოდი 1 ივლისიდან იწყება, რასაც არსებული დეფიციტიდან გამომდინარე, შესაძლოა, ფასების ზრდა მოჰყვეს. სწორედ ამ პროცესის თავიდან ასაცილებლად გადაწყვიტა სოფლის მეურნეობის სამინისტრომ კერძო სექტორისათვის დახმარება.

აღსანიშნავია, რომ ივნისის თვეში სოფლის მეურნეობის სამინისტროს აგროქიმიური და ნიადაგის ნაყოფიერების სამსახური სიმინდის ნათესების დასათვალიერებლად სამეგრელოში იმყოფებოდა.

მათი ინფორმაციით, მიუხედავად წვიმიანი გაზაფხულისა, სახნავი ფართობები თითქმის ყველგან დამუშავებულია და სიმინდიც დათესილია.

როგორც სამინისტროში აცხადებენ, სიმინდის ნათესების აზოტოვანი სასუქებით დროული გამოკვება აუცილებელი პირობაა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსავლიანობა საგრძნობლად შემცირდება.

*მედიანიუსი*

# რკინიგზამ რუსეთისადმი დავალიანება შეამცირა

*თბილისში მიმდინარე, თანამეგობრობის ქვეყნების სარკინიგზო ტრანსპორტის საბჭოს 41-ე სხდომა გუშინ ოქმზე ხელმოწერით დასრულდა. ურთიერთშეთანხმების დროებით ოქმს ხელი 17 ქვეყნის სარკინიგზო ტრანსპორტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელებმა მოაწერეს, რომლებიც აღნიშნულ საბჭოში შედიან. ეს არის დსთ-ს ქვეყნები, ასევე ლატვია, ლიტვა, ესტონეთი, ფინეთი და ბულგარეთი.*

ოქმზე ხელმოწერით ისინი ვალდებულებას იღებენ, შეასრულონ ის შეთანხმებები, რაც ამ სხდომის მუშაობისას იქნა მიღებული. საუბარია ამ ქვეყნების რკინიგზებს შორის ტექნიკურ, ფინანსურ და უსაფრთხოების საკითხებში ურთიერთთანამშრომლობაზე. როგორც აღინიშნა, საბჭოს მორიგი სხდომა 2005 წლის ნოემბერში, აშხაბადში შედგება.

საბჭოს სხდომები წელიწადში 2-ჯერ იმართება.

თანამეგობრობის ქვეყნების სარკინიგზო ტრანსპორტის საბჭოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, 1 სექტემბრამდე საბჭოს წევრი ქვეყნების რკინიგზებმა ურთიერთდავალიანების გასტუმრების გრაფიკები უნდა შეიმუშაონ და წარმოადგინონ.

როგორც შპს „საქართველოს რკინიგზის" გენერალურმა დირექტორმა დავით ონოფრიშვილმა განაცხადა, ამ მხრივ, საქართველოს რკინიგზას გრაფიკები უკვე შედგენილი აქვს.

ამ ეტაპზე საქართველოს რკინიგზას ყველაზე დიდი დავალიანება რუსეთის რკინიგზისადმი აქვს; ეს თანხა დღეს 8 მილიონ შვეიცარულ ფრანკს შეადგენს.

როგორც ონოფრიშვილმა აღნიშნა, ამ საკითხთან დაკავშირებით მოლაპარაკებები რუსეთის მხარესთან მიმდინარე წლის თებერვალ-მარტში შედგა და ყველანაირი პრობლემა მოგვარებულია.

მისივე თქმით, ბოლო 1 წლის განმავლობაში რუსეთისადმი დავალიანება, რაც 13 მილიონი შვეიცარული ფრანკი იყო, 5 მილიონით შემცირდა.

საქართველოს დაახლოებით 1,5 მილიონი მართებს ყაზახეთის რკინიგზისადმი, რომლის გასტუმრებაზეც გრაფიკები ასევე შედგენილია. რაც შეეხება უზბეკეთს, უკრაინას და ესტონეთს, მათი დავალიანება სრულად გასტუმრებულია.

სხდომაზევე გაირკვა, რომ ფოთი-კავკაზის ბორანი ივლისის თვიდან ამოქმედდება. როგორც თანამეგობრობის ქვეყნების რკინიგზის ტრანსპორტის საბჭოს დირექციის თავმჯდომარე სერგეი გარეევი აცხადებს, რუსეთ-საქართველოს შორის აღნიშნული ბორნის მიმოსვლის აღდგენაზე მხარეებს შორის პრინციპული შეთანხმება უკვე მიღწეულია. დარჩენილია მხოლოდ დეტალები, რაც საქართველოსა და რუსეთის რკინიგზებს და ადმინისტრაციებს შორის მოლაპარაკების შედეგად გადაწყდება.

ფოთი-კავკაზის ბორანი 2005 წლის მარტის თვეში ამოქმედდა, თუმცა როგორც შპს „საქართველოს რკინიგზის" გენერალურმა დირექტორმა დავით ონოფრიშვილმა განაცხადა, რეისი მხოლოდ ორჯერ შედგა და აპრილის შემდეგ ის აღარ შემოსულა.

*24 საათი*

# "ჟინვალი" შესაძლოა, ოთხი თვით გაჩერდეს

*საქართველოში წყალდიდობებით მიყენებული ზარალის ოდენობა დღითიდღე იზრდება, რაც საქართველოს გაზრდილ ბიუჯეტსაც ძალიან მძიმე ტვირთად აწვება. მით უმეტეს, რომ წყალდიდობებმა მთელი საქართველო მოიცვა და, რაც მთავარია, სტიქიის დასრულებას პირი არ უჩანს. გარდა ფინანსური პრობლემებისა, რომლებიც, ალბათ, უფრო მოგვიანებით გამოიკვეთება, თავი უკვე იჩინა ენერგეტიკულმა პრობლემებმა, რომლებსაც ამ დღეებში კიდევ ერთი დაემატა: დუშეთის რაიონში მომხდარი წყალდიდობის გამო, ჟინვალის ჰიდროელექტროსადგური, შესაძლოა, ოთხი თვით გაჩერდეს.*

თამარ ივანიძე

ამის შესახებ ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ ალექსანდრე ხეთაგურმა განაცხადა.

მისი განმარტებით, ჟინვალჰესის გაჩერება ჰესის საბუფერო აუზის მიმყვანი არხის ნიაღვარს მოყოლილი მიწით გავსებამ განაპირობა.

როგორც ჟინვალჰესის ტექნიკურმა დირექტორმა დავით არაბულმა განაცხადა, ოთხშაბათს ღამით წყალდიდობის შედეგად წამოსულმა ნიაღვარმა გვირაბი, საიდანაც ჰესის წყალი გამოედინება, მიწით დაფარა.

დავით არაბულის თქმით, შექმნილი პრობლემების გამო, ხუთშაბათისთვის ჰესი მხოლოდ 25 მეგავატ სიმძლავრეს გამოიმუშავებს.

ალექსანდრე ხეთაგურის თქმით, ჰესის გაჩერების შესახებ გადაწყვეტილებას სპეციალური კომისია მიიღებს.

**„ჟინვალჰესის გაჩერებით ენერგოსისტემა დაახლოებით 80 მეგავატ სიმძლავრის ელექტროენერგიას დაკარგავს. გარდა ამისა, გარკვეული პრობლემები შეიქმნება თბილისის წყალმომარაგებაშიც,"** - განაცხადა ხეთაგურმა.

ჟინვალჰესი თბილისს წყლით ამარაგებს, ჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია თბილისის მეტროპოლიტენსა და თბილისის გარე განათებას მიეწოდება.

გუშინ გავრცელდა ინფორმაცია იმის თაობაზეც, რომ ბოლნისის რაიონს, მათ შორის, რაიონის სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტებს ელექტროენერგია ხუთშაბათს დილიდან არ მიეწოდებოდა.

როგორც "საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიიდან" განაცხადეს, ოთხშაბათს ძლიერმა ქარმა და წვიმებმა ბოლნისის რაიონთან დამაკავშირებელი ელექტროგადამცემი ანძები წააქცია, გაწყვეტილია ელექტროგადამცემი ხაზები და დაზიანებულია ტრანსფორმატორები.

ენერგოკომპანიის ინფორმაციით, აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობს, თუმცა ბოლნისისთვის ელექტრომომარაგების აღდგენის თარიღი ჯერჯერობით უცნობია.

ენერგოკომპანიისთვის სტიქიით მიყენებული ზარალის ოდენობა დგინდება.

საერთოდ, შექმნილი დეფიციტი, ძირითადად, „გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას" შეეხება. ამიტომ, "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" სამცხე-ჯავახეთის და ქვემო ქართლის რეგიონების ელექტრომომარაგების მიზნით სომხეთიდან ელექტროენერგიის იმპორტს იწყებს.

როგორც ენერგოკომპანიაში აცხადებენ, დღე-ღამეში 50 მეგავატის სიმძლავრის დენის იმპორტი სომხეთიდან 17 ივნისს, 24.00 საათიდან დაიწყება.

ენერგოკომპანიაში აცხადებენ, რომ იმპორტის დაწყება მოსალოდნელი ენერგოდეფიციტის თავიდან აცილების მიზნით გადაწყდა. ენერგოდეფიციტი "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" მომხმარებლებს რამდენიმეკვირიანი გადაუდებელი წვიმების გამო ენერგოსისტემაში მომხდარი ავარიების და ქვესადგურ "დიდ ზესტაფონზე" ხუთშაბათს დაწყებული სამდღიანი სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო ემუქრებოდათ.

"დიდი ზესტაფონის" გაჩერებით დასავლეთ საქართველოდან აღმოსავლეთით ელქტროენერგიის მიწოდება არ ხდება, რის გამოც ხუთშაბათს, დილის და საღამოს პიკის საათებში ენერგოკომპანიის მომხმარებლებს ელქტროენერგია შეზღუდვებით მიეწოდებათ.

ენერგოკომპანიის ინფორმაციით, სომხეთიდან ელქტროენერგიის იმპორტი ელექტროგადამცემი ხაზებით - "ლალვარი" და "აშოცკი - ნინოწმინდით" განხორციელდება. ენერგოკომპანია 1 კილოვატსაათ სომხურ დენს 2,8 აშშ ცენტად შეიძენს.

ასე რომ, დასავლეთის და აღმოსავლეთ ენერგოსისტემების დამაკავშირებელი ქვესადგურის გაჩერება ქვეყნის ელექტრომომარაგებას მხოლოდ ნაწილობრივ შეზღუდავს.

ელექტროსისტემის ინფორმაციით, „დიდი ზესტაფონის" რეაბილიტაციის მიმდინარეობისას, დილის და საღამოს პიკის საათებში, შესაძლოა, შეიზღუდოს რეგიონების ელექტრომომარაგება, ხოლო დედაქალაქს ენერგოდეფიციტი არ შეეხება.

ელექტროსისტემაში ვარაუდობენ, რომ იმ შემთხვევაში, თუ ელექტროენერგიის მოხმარება შემცირდება, ენერგოსისტემაში არსებული რესურსები შეუზღუდავი ელექტრომომარაგებისათვის საკმარისი იქნება.

მოსალოდნელი ენერგოდეფიციტის თავიდან აცილების მიზნით, სომხეთიდან დენის შემოტანამდე, 14 ივნისს უკვე ჩაირთო თბილსრესის მე-3 ენერგობლოკი, რომელიც რეაბილიტაციის დასრულებამდე სისტემას დღე-ღამეში 130 მეგავატი სიმძლავრის ელექტროენერგიას მიაწვდის.

"დიდი ზესტაფონის" რეაბილიტაცია გერმანიის განვითარების საკრედიტო ბანკის კრედიტით განხორციელდება.



# საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
# აცხადებს კომერციულ კონკურსს
## მოძრავი და ფიქსირებული რადიოსატელეფონო კავშირით საქმიანობაზე ლიცენზიის მისაღებად

"კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ" საქართველოს კანონის 362-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში "კომისია") სიხშირული სპექტრის გამოყენებით საქმიანობაზე ლიცენზიის გასაცემად კონკურსის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კონკურსის გამოცხადების საფუძვლების - თავისუფალი რესურსის არსებობის ან ლიცენზიის მაძიებლის მიერ კომისიისათვის შესაბამისი განცხადების წარდგენის შემთხვევაში.

კომისია აღნიშნავს, რომ შპს "ქართულმა სატელეფონო კომპანიამ" კომისიას მიმართა განცხადებით, ქვემო ქართლის რეგიონში 1894,375-1899,375 მგჰც და 1974,375-1979,375 მგჰც სიხშირულ დიაპაზონში მოძრავი და ფიქსირებული რადიოსატელეფონო კავშირით საქმიანობაზე ლიცენზიის მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ.

"კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ" საქართველოს კანონის $36^2$-ე მუხლის პირველი პუნქტის, კომისიის 2002 წლის 20 დეკემბრის "კოდის გამოყენებით საერთაშორისო სატელეფონო კავშირით მომსახურებაზე და სიხშირული სპექტრის გამოყენებით საქმიანობაზე სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობის განსაზღვრისა და სალიცენზიო გადასახდელის გადახდის წესის შესახებ" დებულების დამტკიცების თაობაზე" 2' დადგენილების შესაბამისად, კომისიამ

**გადაწყვიტა:**

1. გამოცხადდეს კომერციული კონკურსი მოძრავი და ფიქსირებული რადიოსატელეფონო კავშირით საქმიანობაზე ლიცენზიის მისაღებად;

ლიცენზიის სახე: სიხშირული სპექტრის გამოყენებით საქმიანობა;

ლიცენზიის სახეობა: მოძრავი და ფიქსირებული რადიოსატელეფონო კავშირით საქმიანობა;

ლიცენზიის საგანი: მოძრავი და ფიქსირებული რადიოსატელეფონო კავშირით საქმიანობა 1894,375-1899,375 მგჰც და 1974,375-1979,375 მგჰც სიხშირულ დიაპაზონში ქ. რუსთავში, ბოლნისის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულის და წალკის რაიონებში;

2. კომერციული კონკურსის ჩატარების თარიღად გამოცხადდეს 2005 წლის 5 აგვისტოს 11:00 საათი;

3. სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობა განისაზღვროს 346 578, 75 (სამას ორმოცდაექვსი ათას ხუთას სამოცდათვრამეტი) ლარით და 75 თეთრით;

4. ლიცენზიის მაძიებლების განცხადებების მიღება მოხდეს 2005 წლის 7 ივლისის 17:00 საათამდე;

5. კომერციულ კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია პრაქტიკული საქმიანობა დაიწყოს ლიცენზიის გაცემიდან ერთი წლის განმავლობაში და გეოგრაფიული ზონა დაფაროს არაუმეტეს სამი წლის ვადაში ლიცენზიის გაცემიდან.

6. კომისიის მიერ კონკურსში გამარჯვებულისათვის ლიცენზიის გაცემის და ლიცენზიის პირობების შეუსრულებლობის გამო კომისიის მიერ ლიცენზიის გაუქმების შემთხვევაში, კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია მთლიანად გადაიხადოს სალიცენზიო გადასახდელი.

7. მოძრავი და ფიქსირებული რადიოსატელეფონო კავშირით საქმიანობაზე ლიცენზიის მისაღებად ლიცენზიის მაძიებელი კომისიას მიმართავს განცხადებით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს:

ა) ინდივიდუალური მეწარმისათვის - სახელი, გვარი, დაბადების ადგილი და თარიღი, სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მონაცემები, სამუშაო და საცხოვრებელი ადგილების მისამართები;

ბ) იურიდიული პირისთვის - საფირმო სახელწოდება, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, იურიდიული მისამართი (ადგილსამყოფელი), სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მონაცემები, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელი და გვარი;

გ) ლიცენზიის სახე, რომლის მიღებასაც მოითხოვს ლიცენზიის მაძიებელი;

8. ლიცენზიის მაძიებლის განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) სალიცენზიო მოსაკრებლის (3000 ლარი) გადახდის დამადასტურებელი საბუთი.

ბ) სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობის 10%-ის გადახდის დამადასტურებელი საბუთი. ეს თანხა ჩაირიცხება კომისიის ანგარიშზე:

-ბანკი: სააქციო კომერციული ბანკი "თი ბი სი";
-ა/ანგარიში: 609326;
-კოდი: 220101830;
-საიდენტიფიკაციო კოდი: 204953050;

გ) სახელმწიფო რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები; ფიზიკური პირისათვის - აგრეთვე, პირადობის მოწმობის ასლი.

დ) განსახორციელებელი საქმიანობის სამშენებლო-ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელშიც ასახული უნდა იყოს:

დ.ა.) განსახორციელებელი საქმიანობის ტექნიკური აღწერილობა, რაც მოიცავს: სავარაუდოდ გამოსაყენებელი ტექნოლოგიების ზოგად აღწერილობას, განსახორციელებელი საქმიანობის (მომსახურების) გეოგრაფიული ზონის დაფარვის მიზნით საბაზო სადგურების სავარაუდო რაოდენობას, საერთო სარგებლობის ქსელში ჩართვის აღწერილობას (ფუნქციონალური სქემა);

დ.ბ.) განსახორციელებელი საქმიანობის (მომსახურების) გეოგრაფიული საზღვრები.

ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარმოდგენილმა სამშენებლო-ტექნიკურმა დოკუმენტაციამ სამშენებლო, სანიტარიულ-ჰიგიენური, ეკოლოგიური ექსპერტიზის და სათანადო ნებართვების უზრუნველყოფის მიზნით ექსპერტიზა უნდა გაიაროს კომისიასთან შექმნილ მუდმივმოქმედ ქვეკომისიაში. ლიცენზიის მაძიებელი კონკურსზე დაიშვება ქვეკომისიის დადებითი დასკვნის არსებობის შემთხვევაში

9. კომერციულ კონკურსში მონაწილეობის უფლება არა აქვს პირს, რომელიც კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში 1900 მგჰც სიხშირულ დიაპაზონში რესურსის საერთო მოცულობის 50%-ის ან მეტის მფლობელი გახდება.

10. თუ ლიცენზიის მაძიებლის მიერ არასრულყოფილადაა წარმოდგენილი ამ გადაწყვეტილების მე-7 და მე-8 პუნქტებში მითითებული მონაცემები და დოკუმენტაცია, კომისია განცხადების მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარმოადგინოს დამატებითი დოკუმენტაცია. დამატებითი დოკუმენტის წარმოდგენის ვადა არ შეიძლება იყოს 5 სამუშაო დღეზე ნაკლები. კომისია უფლებამოსილია განმცხადებლის მოთხოვნით მხოლოდ ერთხელ, მაგრამ არა უმეტეს 15 სამუშაო დღით, გააგრძელოს დოკუმენტის წარდგენის ვადა. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, კომისია ღებულობს გადაწყვეტილებას განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

11. კომერციული კონკურსი ითვლება არშემდგარად და ფორმდება სათანადო ოქმი, თუ:

ა) განცხადების გამოქვეყნების შემდეგ, დადგენილ ვადაში კომისიაში არ იქნა წარდგენილი არცერთი განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ;

ბ) კომისიაში წარდგენილი განცხადებებიდან არცერთი შეესაბამება კომერციული კონკურსის მოთხოვნებს.

12. გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია მაქსიმალური სალიცენზიო გადასახდელის გადახდა.

13. საკონკურსო სხდომაზე ლიცენზიის მაძიებლის უფლებამოსილი წარმომადგენლის დასწრება სავალდებულოა;

14. კომერციული კონკურსი ტარდება შემდეგი პროცედურით:

ა) სხდომის თავმჯდომარე ამოწმებს წარმომადგენელთა უფლებამოსილებას. თუ ერთი ლიცენზიის მაძიებლის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილება მინიჭებული აქვს ერთზე მეტ პირს, სხდომის თავმჯდომარე მიმართავს მათ, რომ დაასახელონ ერთი პირი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს კომერციულ კონკურსში.

ბ) კომერციული კონკურსის დასაწყისად ითვლება სხდომის თავმჯდომარის მიერ სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობის და საკონკურსო ბიჯის გამოცხადება. საკონკურსო ბიჯი უცვლელია და შეადგენს სალიცენზიო გადასახდელის 5 პროცენტს დამრგვალებულს მთელ რიცხვამდე, რაც შეადგენს 17 330 (ჩვიდმეტი ათას სამას ოცდაათი) ლარს.

გ) სხდომის თავმჯდომარე იმ პირებს შორის, რომლებიც გამოცხადდნენ კომერციულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, ატარებს წილისყრას. თითოეული მონაწილე ყუთიდან იღებს კონვერტს, რომელშიც მოთავსებულია რიგითი ნომერი. კონვერტი და მასში მოთავსებული რიგითი ნომერი არის იმდენივე, რამდენი მონაწილეცაა. ყუთიდან კონვერტის ამოღების რიგითობა განისაზღვრება კომისიაში საკონკურსო განაცხადების შემოტანის თარიღის და დროის მიხედვით - პირველი კონვერტს ამოიღებს იმ ლიცენზიის მაძიებლის წარმომადგენელი, რომელმაც პირველმა შემოიტანა განაცხადი და ა.შ.

დ) მონაწილის მიერ ამოღებული რიგითი ნომერი განსაზღვრავს კომერციული კონკურსის მიმდინარეობისას მონაწილის მიერ თანხის დაფიქსირების რიგითობას.

ე) კომერციული კონკურსის თითოეული მონაწილე მისთვის მინიჭებული რიგითი ნომრის მიხედვით აცხადებს მის მიერ შეთავაზებული თანხის ოდენობას. კონკურსის მონაწილის მიერ პირველად დაფიქსირებული თანხის ოდენობა არ უნდა იყოს ნაკლები სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობისა და საკონკურსო ბიჯის ჯამისა. კომერციული კონკურსის მონაწილის მიერ ყოველი მომდევნო თანხის დაფიქსირება ხდება უკანასკნელ დაფიქსირებულ თანხაზე საკონკურსო ბიჯის დამატებით. კომერციული კონკურსის მონაწილეს უფლება აქვს დააფიქსიროს საკონკურსო ბიჯზე ჯერადად მეტი თანხა.

ვ) იმ შემთხვევაში, თუ კომერციული კონკურსი არ შედგა იმ მიზეზით, რომ კომერციულ კონკურსში მონაწილეობა არ მიიღეს გამოცხადებულმა პირებმა, კომერციული კონკურსი ცხადდება ჩაშლილად და მონაწილეებს გადახდილი ბე არ უბრუნდებათ.

ზ) კომერციული კონკურსის მონაწილეს უფლება აქვს თავისი შეთავაზება გააკეთოს წინა მონაწილის მიერ თანხის დასახელებიდან 10 წთ-ის განმავლობაში. კომერციული კონკურსის მონაწილეს უფლება აქვს მოითხოვოს ერთი ნახევარსაათიანი შესვენება. ორივე შემთხვევაში მონაწილეს უფლება აქვს გავიდეს კომერციული კონკურსის დარბაზიდან. თუ მითითებული დროის გასვლის შემდეგ მონაწილე არ დააფიქსირებს თანხას, ჩაითვლება, რომ მან უარი თქვა თანხის დასახელებაზე.

თ) კომერციულ კონკურსში გამარჯვებულად ჩაითვლება ის მონაწილე, რომელიც კომერციული კონკურსის მსვლელობისას დააფიქსირებს გადასახდელი თანხის მაქსიმალურ ოდენობას.

ი) სხდომის თავმჯდომარე განუმარტავს კონკურსის მონაწილეებს წინამდებარე გადაწყვეტილების მე-14 პუნქტის "ო" და "პ" ქვეპუნქტებში მოცემულ დებულებებს.

კ) თუ კომერციულ კონკურსში მხოლოდ ერთი ლიცენზიის მაძიებელი მონაწილეობს, იგი ჩაითვლება გამარჯვებულად, სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობის გადახდაზე თანხმობის დადასტურების შემთხვევაში.

ლ) კომერციული კონკურსის მიმდინარეობა აისახება სხდომის ოქმში, რომელსაც კონკურსის დამთავრების შემდეგ ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და სხდომის მდივანი. სხდომის ოქმი იკინძება და მოწმდება კომისიის ბეჭდით.

მ) კომერციულ კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ მიიღება კომისიის გადაწყვეტილება.

ნ) კომისიის გადაწყვეტილების ასლი კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ ეგზავნება კომერციული კონკურსის ყველა მონაწილეს.

ო) კომერციულ კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია გამარჯვებულად გამოცხადების შესახებ კომისიის გადაწყვეტილების მიღებიდან ერთი თვის განმავლობაში გადაიხადოს კომერციულ კონკურსზე დაფიქსირებული სალიცენზიო გადასახდელის 30%. ერთი თვის ვადაში სალიცენზიო გადასახდელის 30%-ის გადაუხდელობის შემთხვევაში კომისია იღებს გადაწყვეტილებას ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ. ასეთ შემთხვევაში კონკურსში გამარჯვებულს არ უბრუნდება ბეს სახით გადახდილი თანხა (სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობის 10%). კომისია იღებს გადაწყვეტილებას კონკურსში გამარჯვებულისათვის ლიცენზიის გაცემის თაობაზე სალიცენზიო გადასახდელის 20%-ის კომისიის ანგარიშზე, ხოლო 10%-ის კავშირგაბმულობისა და ფოსტის ქსელებითა და საშუალებებით მომსახურების ხელმისაწვდომობისა და მოთხოვნილების დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად "კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ ანგარიშზე თანხების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენიდან 7 სამუშაო დღის განმავლობაში. დარჩენილი ნაწილის გადახდა უნდა მოხდეს ლიცენზიის მოქმედების ვადის პირველი წლის გასვლიდან მომდევნო ცხრა წლის განმავლობაში თანაბარწილად ლიცენზიის მოქმედების ვადის ყოველი მომდევნო წლის პირველივე თვის განმავლობაში მოძრავი და ფიქსირებული რადიოსატელეფონო კავშირით საქმიანობაზე ლიცენზიის მისაღებად კომერციულ კონკურსში გამარჯვებული კომპანიისთვის ლიცენზიის გაცემის შესახებ კომისიის გადაწყვეტილებით განსაზღვრულ ანგარიშზე.

პ) თუ კომისიამ წინამდებარე გადაწყვეტილების მე-14 პუნქტის "ო" ქვეპუნქტის შესაბამისად მიიღო გადაწყვეტილება ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ, აგრეთვე თუ კომერციულ კონკურსში ერთზე მეტი პირი მონაწილეობდა, კომისია იღებს გადაწყვეტილებას იმ პირის გამარჯვებულად გამოცხადების შესახებ, რომელმაც კომერციული კონკურსის მიმდინარეობისას დააფიქსირა კონკურსში გამოვლენილ გამარჯვებულთან შედარებით ნაკლები, მაგრამ სხვა მონაწილეებთან შედარებით მეტი თანხა, ამავე დროს კომისიის ანგარიშიდან გატანილი არ აქვს ბეს სახით გადახდილი თანხა (სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობის 10%). ამ პირის მიერ კონკურსის მიმდინარეობისას შეთავაზებული მაქსიმალური თანხა განისაზღვრება, როგორც სალიცენზიო გადასახდელის ოდენობა და მისი გადახდის, აგრეთვე ლიცენზიის გაცემის წესი განისაზღვრება წინამდებარე გადაწყვეტილების მე-14 პუნქტის "ო" ქვეპუნქტის შესაბამისად.

ჟ) თუ არ არსებობს კონკურსის ისეთი მონაწილე, რომელიც აკმაყოფილებს წინამდებარე გადაწყვეტილების მე-14 მუხლის "პ" ქვეპუნქტში გათვალისწინებულ მოთხოვნებს, კომისია კონკურსს აცხადებს ჩაშლილად.

რ) ამ გადაწყვეტილებით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა ლიცენზიის მაძიებელს უბრუნდება სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობის 10% კომისიისათვის განცხადების წარდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, საბანკო მომსახურების ხარჯების გამოკლებით. განცხადებაში მითითებული უნდა იქნას საბანკო რეკვიზიტები, სადაც კომისიის მიერ გადაირიცხება აღნიშნული თანხა.

15. კონკურსის საფუძველზე ლიცენზიის მიღების შემთხვევაში ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ლიცენზიით ნებადართული საქმიანობის განხორციელების პროცესში დაიცვას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესები და ლიცენზიით განსაზღვრული პირობები;

16. საკონკურსო სხდომა საჯაროა.

17. კონკურსის შესახებ კომისიის გადაწყვეტილება:

ა) ვრცელდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით;

ბ) ქვეყნდება ინტერნეტში კომისიის ვებ-გვერდზე (www.gncc.ge);

18. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საოლქო სასამართლოში (ქ. თბილისი, რობაქიძის გამზ. 7ა) 6 თვის ვადაში;

19. დაევალოს კომისიის პრესმდივანს (ს.ბრიტანჩუკი) აღნიშნული საკითხის საინფორმაციო უზრუნველყოფა;

20. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის სატელეკომუნიკაციო და საფოსტო ბაზრის რეგულირების სამსახურს (ე.ასანიძე).

**კომისიის თავმჯდომარე დ.ქიტოშვილი**

# გატეხილი დაპირება და გაცრუებული იმედი

## რატომ არ უშვებს ხელისუფლება სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს?

*„არ გადავდგები, იგივე შემართებით გავაგრძელებ მუშაობას და დაველოდები, რა გადაწყვეტილებას მიიღებენ კომპეტენტური ორგანოები“, - ასეთი თამამი განცხადებით დატოვა გუშინ იუსტიციის სამინისტრო სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარემ შოთა კოპაძემ. არადა, შეხვედრაზე, რომელიც იუსტიციის მინისტრის, არასამთავრობო ორგანიზაციათა მრჩეველთა საბჭოსა და ომბუდსმენის მოადგილის მონაწილეობით გაიმართა, პენიტენციურ სისტემაში არსებული უმძიმესი სიტუაცია განიხილეს და დეპარტამენტის თავმჯდომარეს სერიოზული ბრალდებებიც წაუყენეს.*



*მიუხედავად არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიურობისა (იუსტიციის მინისტრთან შეხვედრისას თეა თუთბერიძე ყველაზე მეტად აქტიურობდა) შოთა კოპაძემ თანამდებობა შეინარჩუნა.*

დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს თანამდებობიდან სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე და აღიძრას მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე - ასეთია პენიტენციურ სისტემაში მონიტორინგის განმახორციელებელი არასამთავრობო ორგანიზაციათა საბჭოს კატეგორიული მოთხოვნა. მსგავსი რეკომენდაციით მრჩეველთა საბჭომ ერთი თვის წინათაც მიმართა იუსტიციის მინისტრს.

ასეთივე კატეგორიული გახლდათ სახალხო დამცველის მოადგილის ბაჩო ახალაიას მოთხოვნა კოპაძის გადაყენების შესახებ. ბაჩო ახალაიამ რამდენიმე დღის წინათ საჯაროდ ილაპარაკა პენიტენციურ სისტემაში არსებულ საბჭოურ მეთოდებზე და შოთა კოპაძის თანამდებობიდან გათავისუფლებაც მოითხოვა.

ძალზე კატეგორიული იყო ომბუდსმენი სოზარ სუბარი. როცა პარლამენტს ანგარიში ჩააბარა, სასჯელაღსრულების დეპარტამენტში არსებულ გაუსაძლის სიტუაციაზე დეტალურად შეჩერდა და ხელისუფლებას მოსთხოვა, პენიტენციური სისტემა კოპაძისგან გაეთავისუფლებინა. ომბუდსმენმა მაშინ სხვადასხვა საეჭვო გარიგებაში დადანაშაულებული კოპაძის მოხსნა დაუყოვნებლივ, ერთი კვირის ვადაში მოითხოვა. ეს იყო თვენახევრის წინათ.

**„გენერალური ინსპექცია შეისწავლის თქვენ მიერ დასახელებულ ფაქტებს, შოთა კოპაძის მიმართ პრეტენზიები დეტალურად იქნება შესწავლილი და, ბრალდებების დადასტურების შემთხვევაში, საკადრო გადაწყვეტილებაც იქნება მიღებული“,** - ასეთ პასუხს იძლეოდა ერთი თვის წინ იუსტიციის მინისტრი კოტე კემულარია და ასეთივე პასუხით გაისტუმრა მან გუშინ არასამთავრობო ორგანიზაციები და სახალხო დამცველის მოადგილე. თუმცა, იუსტიციის მინისტრი მიიჩნევს, რომ კოპაძის გათავისუფლებით სისტემაში არსებული პრობლემები და გარემო არ შეიცვლება. ამისათვის აუცილებელია დაფინანსების გაზრდა, ინფრასტრუქტურისა და მართვის მოდელის შეცვლა. **„პენიტენციურ სისტემაში არსებული პრობლემების მოგვარება სახელმწიფოს პრიორიტეტად უნდა იქცეს“,** - აცხადებს კოტე კემულარია და ამ სისტემის რეფორმისკენ სვლას მაინც აყოვნებს. ფაქტია, პენიტენციური სისტემა, რეალურად, მართვის ახალ მოდელზე არ გადადის, ხელშეუხებლობის იმუნიტეტით დაჯილდოებული შოთა კოპაძის მართვის საბჭოურ მოდელზე ხელისუფლება ჯერჯერობით უარს არ ამბობს. თუ რატომ ვერ ელევიან შოთა კოპაძეს, არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფლების ინსტიტუტის“ წარმომადგენელს, იუსტიციის მინისტრის მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარეს, თეა თუთბერიძეს ამაზე ასეთი პასუხი აქვს: **„არსებობს ინფორმაცია, რომ პრეზიდენტს ციხეში დესტაბილიზაცია არ სურს და ამიტომაც არ უშვებს კოპაძეს. ასეთ შემთხვევაში, პრეზიდენტის მესმის, რადგან ცნობილია, როგორ აწყობდნენ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მაღალჩინოსნები ციხიდან გაქცევებს, ხელოვნურად ქმნიდნენ დესტაბილიზაციის საშიშროებას. თუმცა, უბრალოდ, სამარცხვინოა, თუ სახელმწიფო ხარ, თუ ხელისუფლება გქვია და ქვეყნის მართვაზე პრეტენზია გაქვს, გეშინოდეს კოპაძის მოხსნის, იმიტომ, რომ მან დესტაბილიზაცია არ მოაწყოს. ხელისუფლებას იმდენი ძალა უნდა ჰქონდეს, რომ კოპაძისნაირების არ ეშინოდეს. არადა, ყველასთვის კარგადაა ცნობილი, რომ ქვეყანაში სიტუაცია იმართება ციხიდან, დანაშაულის უმეტესობა ციხიდანაა მართული, ციხეში სიტუაციას განაგებენ კანონიერი ქურდები და არაფერი შეიცვლება მანამდე, სანამ იქნებიან კოპაძე და მისი ხელქვეითები; სანამ არ მოხდება სისტემური ცვლილება, პენიტენციურ სისტემას არაფერი ეშველება. მისი დალაგება კი, პირველ რიგში, შოთა კოპაძისა და მისნაირების იზოლაციით უნდა დაიწყოს“,** - ასეთი აზრისა გახლავთ თეა თუთბერიძე, რომელსაც მაინც სჯერა, რომ გუშინდელი შეხვედრის შემდეგ იუსტიციის მინისტრი შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებს.

საპატიმრო დაწესებულებები ყველა ქვეყანაში სტრატეგიულ ობიექტებად ითვლება და ციხის ბუნტი ქვეყნის ბუნტის ტოლფასია. საქართველოში მყოფი, თითქმის, 8 ათასზე მეტი პატიმრის უკან მათი ოჯახის წევრები, ახლობლები და ის სოციალური ინტერესები დგას, რომელიც საბოლოოდ ისევ ქვეყანაზე აისახება. **„ხავერდოვანი რევოლუციის“ შემდეგ იმედი გვქონდა, რომ რაღაც შეიცვლებოდა, მაგრამ სიტუაცია უცვლელია, ზოგ შემთხვევაში, დამძიმდა კიდეც. ეს არის ადგილი, სადაც მონანიებაზე საუბარიც ზედმეტია. ეს არის სამყარო, სადაც მგლური კანონები მეფობს“,** - დღეს ასეთი განწყობილება აქვთ პატიმრებს.

*24 საათი*

# ცხინვალის რეგიონში კიდევ ერთი ქართველი დაიკარგა

*იმ დროს, როდესაც თვითგამოცხადებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის თვითმარქვია პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი თერთმეტი დღის წინ ცხინვალის რეგიონში გატაცებული ოთხი ქართველის ოჯახის წევრებს ხვდებოდა, გავრცელდა ინფორმაცია კონფლიქტის ზონაში კიდევ ერთი ქართველის გაუჩინარების შესახებ.*

6 ივნისს ცხინვალში გატაცებული ოთხი ქართველის - ჰამლეტ, გალაქტიონ და მამუკა ხაჭაპურიძეებისა და მამუკა ლომიძის ოჯახის წევრები სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტს ედუარდ კოკოითს და საგანგებო დავალებათა მინისტრს ბორის ჩოჩიევს შეხვდენ. შეხვედრას ესწრებოდნენ 29 მაისს სოფელ თამარაშენში ქართულ საგუშაგოსთან მომხდარი ინციდენტის დროს დაღუპული ოსი ეროვნების პირების ახლობლები და შერეული სამშვიდობო ძალების სარდალი მარატ კულახმეტოვიც.

თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტის ადმინისტრაციის განცხადებით, ედუარდ კოკოითი დაინტერესებულია გატაცებული ქართველების ბედით და, შესაბამისად, მან გატაცებული ქართველების ნათესავებს პირობა მისცა, რომ შეიქმნება ერთობლივი ჯგუფები, რომლებიც დაკარგულთა ძებნას განაგრძობენ.

ერთ-ერთი გატაცებულის ძმის ლევან ხაჭაპურიძის განცხადებით, შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა მომხდართან დაკავშირებით ურთიერთპოზიციების გარკვევა.

**„მომხდარი ფაქტით ისინიც შეწუხებულები არიან, ვისი ახლობლებიც 29 მაისს დაიღუპნენ. მათ დაკარგულების მოსაძებნად თანადგომა გამოგვიცხადეს“,**- ამბობს ლევან ხაჭაპურიძე.

ამასობაში, გუშინვე გავრცელდა ინფორმაცია ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში, სოფელ კეხთან კიდევ ერთი ქართველის გაუჩინარების შესახებ. 75 წლის გოგი კახნიაშვილი მას შემდეგ არავის უნახავს, რაც იგი 15 ივნისს საქონლის შინ მოსარეკად წავიდა. კახნიაშვილის ახლობლები მიიჩნევენ, რომ იგი ოსმა სეპარატისტებმა გაიტაცეს. თუმცა, ამ მოსაზრებას უარყოფენ ქართველი სამართალდამცველები.

შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის თანამშრომლებმა ქართული მხარის კონტროლირებადი ტერიტორია დაათვალიერეს და კახნიაშვილის კვალს ვერ მიაგნეს. შესაბამისად, პოლიციის უფროსი ვლადიმერ ჯუღელი აცხადებს:

**„გატაცების ვერსია გამორიცხულია, რადგან ოსები სრული პასუხისმგებლობით აცხადებენ, რომ გატაცების ფაქტი აღარ განმეორდებოდა. ალბათ, მიზეზი გოგი კახნიაშვილის ხანდაზმულობაა. 75 წლის კახნიაშვილი ამ მიდამოებში ყველაზე უკეთ იცნობს საცალფეხო ბილიკებს და სხვა დროსაც ხშირად წასულა თავისი და მეზობლების საქონლის საძებრად. ჩვენ გადავამოწმეთ ჩვენი ტერიტორია და კახნიაშვილი ვერ ვიპოვეთ. თავის კონტროლირებად ტერიტორიას ოსური მხარეც გადაამოწმებს. მისი ძებნის პროცესში ჩვენი მოსახლეობაცაა ჩაბმული“,** - აცხადებს შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსი ვლადიმერ ჯუღელი.

ლიახვის ხეობის მაჟორიტარი დეპუტატის გურამ ვახტანგაშვილის თქმით, გოგი კახნიაშვილს მოსახლეობა ეძებს და არავინ იცის, ის გატაცებულია, ცოცხალი თუ - მკვდარი.

*24 საათი*

# განსასჯელი უყურადღებობამ იმსხვერპლა

*ორიოდე დღის წინ ქუთაისის N2 საპყრობილის პატიმარი იმერეთის სამხარეო კლინიკურ საავადმყოფოში გარდაიცვალა. როგორც აღმოჩნდა, ჭიათურელი განსასჯელი, 42 წლის რევაზ ამზოევი ქრონიკული პნევმონიითა და ღვიძლის ცეროზით იყო დაავადებული.*

მაია მეცხვარიშვილი
ქუთაისიდან

**„გამოძიება დაადგენს, ვისი ბრალეულობით მოხდა ამ პიროვნების გარდაცვალება. ფაქტი ის არის, რომ პატიმარი, რომელსაც სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა შესაბამისი ყურადღება არ მიაქცია, გარდაიცვალა“,** - აცხადებს „24 საათთან“ საუბარში სახალხო დამცველის რწმუნებული იმერეთში გიორგი მშვენიერაძე.

რევაზ ამზოევი ქუთაისის N2 საპყრობილეში 2005 წლის იანვრიდან იმყოფებოდა. 26 აპრილს, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, ადგილობრივი ექიმის დასკვნის საფუძველზე, ის თბილისის ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს ტუბერკულიოზისა და ჰეპატიტის დიაგნოზით. ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში ამზოევის მკურნალობა მხოლოდ ერთ თვეს გაგრძელდა. 26 მაისს ის უკან, ქუთაისის N2 საპყრობილეში დააბრუნეს. მისი ჯანმრთელობის ისტორიაში წერია, რომ ავადმყოფს არც ტუბერკულოზი ჰქონდა და არც პნევმონია. ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოდან გამოწერილი ამზოევის მდგომარეობა ათ დღეში გაუარესდა და როცა ეს მდგომარეობა აშკარად საგანგაშო გახდა, ის ქუთაისის საპყრობილედან იმერეთის სამხარეო კლინიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც რამდენიმე დღეში გარდაიცვალა კიდეც.

**„სამწუხაროდ, თბილისის ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში, უმეტესწილად, შეძლებული პირები არიან მოთავსებული, ხოლო ადამიანები, რომლებსაც მართლაც სჭირდებათ მკურნალობა, სხვადასხვა საპყრობილეში ან საავადმყოფოში გადაყვანის შემდეგ, ამზოევის მსგავსად, იღუპებიან. ამზოევისთვის აუცილებლად უნდა ემკურნალათ ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში. ეს პიროვნება არასწორად იქნა გამოშვებული თბილისიდან, რადგანაც, როგორც არაერთ ექიმს და ექსპერტს ვიკითხე, ამ პირს მკურნალობის კურსი სტაციონალურად, თბილისის საავადმყოფოში უნდა გაევლო და მისი უკან, ქუთაისში დაბრუნება, სამედიცინო თვალსაზრისით, არასწორი იყო. თუმცა, ვერც იმას დავიტრაბახებთ, რომ სამხარეო კლინიურ საავადმყოფოში ყველაფერი გაკეთდა მის გადასარჩენად. ადამიანი ისე გარდაიცვალა, რომ რეანიმაციაში არც შეუყვანიათ - თერაპიულ განყოფილებაში ჰყავდათ. ეს იმით ახსნეს, რომ არ იყო შესაბამისი ანაზღაურება. ასეთი დამოკიდებულება ექიმების მხრიდან ეთიკურ ნორმებს სცილდება“,** - აცხადებს გიორგი მშვენიერაძე.

იმერეთის რეგიონში ომბუდსმენის რწმუნებულის ჩარევის შედეგად მოხერხდა რეანომობილის გამოყოფა, ამზოევის თბილისში გადმოსაყვანად, მაგრამ ეს ღონისძიება დაგვიანებული აღმოჩნდა, რადგან, როცა ქუთაისის N2 საპყრობილის უფროსმა მშვენიერაძეს საქმის ვითარება აცნობა, განსასჯელი რამდენიმე საათში გარდაიცვალა.

ქუთაისის N2 საპყრობილის ადმინისტრაცია მომხდარის კომენტირებისას მხოლოდ ფაქტის აღწერით შემოიფარგლება. რევაზ ამზოევის გარდაცვალების რეალური მიზეზების დადგენას გამოძიება შეეცდება.

# არასტანდარტული ტაში ქართულ მართლმსაჯულებას

*გუშინ საოლქო სასამართლომ ძალაში დატოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება საქსტანდარტის ყოფილი თავმჯდომარისა და მისი მოადგილეებისთვის, თავისუფლების სანაცვლოდ, 50 ათასი ლარის გირაოს სახით გადახდის თაობაზე.*

როგორც ცნობილია, საქსტანდარტის ყოფილ ხელმძღვანელს მიხეილ ჯანიკაშვილსა და მის მოადგილეებს გენერალური პროკურატურა სახელმწიფოსთვის 5-მილიონიანი ზარალის მიყენებას ედავება. ბრალდების არგუმენტი ასეთია: ჯანიკაშვილმა არ გააუქმა ის უკანონო გადაწყვეტილებები, რომლებიც საქსტანდარტის სათავეში მის მისვლამდე იყო მიღებული. თავად ბრალდებული აცხადებს, რომ ბრალდების მხარე სრულიად ვერ ერკვევა იმ სფეროში, რომელში დარღვევების არსებობასაც მას ედავება, შესაბამისად, ვერც იმას გაარკვევდა, არის თუ არა მის ქმედებაში დანაშაულის ნიშნები.

მიუხედავად ჯანიკაშვილისა და მისი დაცვის მხარის არგუმენტაციისა, ასევე, მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებულს რამდენიმე პარლამენტარი და ქართული საზოგადოების არაერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი დაუდგა თავმდებად, საოლქო სასამართლომ საჭიროდ არ მიიჩნია საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების შეცვლა და ჯანიკაშვილს თანხის გადახდა დააკისრა.

შეიძლება ითქვას, რომ სამართლებრივი პროცესი მიხეილ ჯანიკაშვილთან მიმართებაში ბოლო პერიოდისთვის სრულიად ტრივიალურადაც კი წარიმართა: კორუფციულად მონათლული დაწესებულების ყოფილი ხელმძღვანელის კორუფციულ ბრალდებასთან დაკავშირებით პროკურატურის არამყარ პოზიციას სასამართლომ უაპელაციოდ, ცალსახად დაუჭირა მხარი. ამას ქართული საზოგადოება უკანასკნელი წელიწადნახევრის მანძილზე არათუ მიეჩვია, ხშირად მსგავსი პროცესებისთვის ტაშიც კი დაუკრავთ.

ტაში გუშინ სასამართლო დარბაზშიც დაუკრეს, ოღონდ აპლოდისმენტები, რომელიც საქსტანდარტის ყოფილი ხელმძღვანელის პროცესზე მოსამართლის მისამართით გაისმა, ნამდვილად არასტანდარტული გახლდათ.

**„გაუმარჯოს კორუმპირებულ სასამართლოს“!**- ასეთი შეძახილებით შეხვდნენ საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებას დარბაზში შეკრებილი ჯანიკაშვილის ოჯახის წევრები და მხარდამჭერნი, რომელთა შორის მრავლად გახლდნენ ქართული საზოგადოების ცნობილი სახეები და ის ახალგაზრდა ქართველი შემოქმედნი, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინათ საქართველოს პრეზიდენტის უახლოეს გარემოცვად მოიაზრებოდნენ და რომელთა მხრიდან, ჯანიკაშვილის დაპატიმრების გამო გამოთქმულმა პროტესტმა მიხეილ სააკაშვილს ორიოდე დღის წინ ათქმევინა: **„მე არ ვარ საძმაკაცოს ან თბილისის რომელიმე უბნის პრეზიდენტი. მე საქართველოს პრეზიდენტი ვარ“.**

სავარაუდოდ, პრეზიდენტის სწორედ ეს სიტყვები გახდა იმის მიზეზი, რომ სასამართლო წინასწარ შეკვეთილი გადაწყვეტილების გამოცხადებაში დაადანაშაულეს. ბრალდებულის მხარე საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებს და, თუ სასამართლოს უმაღლესმა ინსტანციამაც ვერ გაამართლა მისი იმედები, სამართლიანობის აღსადგენად სხვა ზომებს მიმართავს.

*24 საათი*

## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ანკეტა

სახელი, გვარი..........

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი..........

საკონტაქტო ტელეფონი..........

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპი"-ს და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისის [illegible] ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "[illegible]");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "[illegible]" შენობის [illegible] გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპი"-ს ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტის შემდეგ მისამართზე: [illegible] თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".

## მოკლედ

### ქრთამს კიდევ ერთი ჩინოვნიკი შეეწირა

ქრთამის აღების ფაქტზე სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომელი დააკავეს. ქსნის N7 მკაცრი რეჟიმის კოლონიის სპეციალური აღრიცხვის განყოფილების უფროსი ლევან ქანთარია კონსტიტუციური უსაფრთხოების თანამშრომლებმა მაშინ დააკავეს, როცა ის ერთ-ერთი მოქალაქისაგან 300 ლარს იღებდა. ლევან ქანთარია მსჯავრდებულის ნათესავისგან სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისთვის და საჭირო დოკუმენტების მომზადებისთვის 500 ლარს ითხოვდა. ქანთარიას, ქრთამის გამოძალვის ბრალდებით, თავისუფლების 15 წლამდე აღკვეთა ემუქრება. „კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი ყველა მექრთამე ჩინოვნიკის კარზე დააკაკუნებს და შედეგი ყველგან ისეთი იქნება, რა ბედიც ქსნის N7 კოლონიის თანამშრომელს ეწია“, - აცხადებს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე იოსებ თოფურიძე აღნიშნული თემისადმი მიძღვნილ სპეციალურ პრეკონფერენციაზე.

*მედიანიუსი*

### ზესტაფონელი კონსერვატორი მანქანის აფეთქებას პოლიტიკას უკავშირებს

გუშინ, დილით „გაერთიანებული ეროვნული ძალები - კონსერვატორების“ ზესტაფონის რაიონული ოფისის ხელმძღვანელის კახა ბერაძის მანქანა ზესტაფონის რაიონის ერთ-ერთ სოფელში ჯერჯერობით დაუდგენელმა პირებმა ააფეთქეს. ბერაძე მისი კუთვნილი ავტომანქანის აფეთქების ფაქტს რაიონის გამგეობის მხრიდან იმ პოლიტიკურ ანგარიშსწორებას უკავშირებს, რომელიც ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინ დაიწყო.

კახა ბერაძემ ზესტაფონის გამგეობა მისი ფიზიკური ლიკვიდაციის მცდელობაში დაადანაშაულა საქართველოს პარლამენტში 14 ივნისს გამართულ პრესკონფერენციაზე. ბერაძის თქმით, 13 ივნისს 30-მა ადამიანმა „კონსერვატორების“ რაიონული ოფისი დაარბია და მის ორ თანაპარტიელს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, თუმცა იგი იმ დროს ოფისში არ იმყოფებოდა. ბერაძის განცხადებით, დარბევაში გამგეობის წარმომადგენელი ზაზა თავაძე მონაწილეობდა. კახა ბერაძე მის მიმართ ფიზიკურ ანგარიშსწორებას 8 ივნისს ზესტაფონის მერის მირიან ბერუაშვილის ქრთამის აღების ფაქტზე დაკავებას უკავშირებს. მისი განმარტებით, ბერუაშვილმა ზესტაფონის გზებზე, ტროტუარების დაგების მიზნით, მას 14 ათასი ლარის ღირებულების პროექტი შესთავაზა, სანაცვლოდ კი, ამ თანხის 10 პროცენტი მოსთხოვა. მომავალი კორუფციული გარიგების შესახებ ინფორმაცია ბერაძემ სამართალდამცველებს მიაწოდა, რის შემდეგ მათ ზესტაფონის მერი დააკავეს.

მანქანის აფეთქებასთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. გამოძიების პროცესში შემოწმდება თავად ბერაძის განცხადებებიც, რასაც, სამართალდამცველთა განცხადებით, შესაბამისი რეაგირება მოჰყვება.

*24 საათი*

### პრობაციის სისტემასთან დაკავშირებით კონფერენცია გაიმართება

ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, საქართველოში არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების სისტემის განვითარებასთან დაკავშირებით გუშინ სამოსამართლო სწავლების ცენტრში გაიხსნება ორდღიანი კონფერენცია, რომელიც ორგანიზებულია ორგანიზაცია „ციხის საერთაშორისო რეფორმის“ მიერ, „საქართველოს პრობაციის სისტემის რეფორმის“ ევროკავშირის პროექტის ფარგლებში. შეხვედრაში მონაწლეობას მიიღებენ იუსტიციის სამინისტროს არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელობა და თანამშრომლები, ასევე - არასამთავრობო სექტორისა და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები. შეხვედრის მთავარი თემაა პრობაციის სისტემისათვის არასამთავრობო სექტორიდან მხრიდან შესაძლო დახმარება. შეხვედრაზე სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედი პრობაციის მოდელები მიმოიხილა სემინარზე ექსპერტად მიწვეულმა ბუქარესტის უნივერსიტეტის პროფესორმა იოჰან დუნესკუმ. მან ალტერნატიული სასჯელების გამოყენების ეფექტურობის საილუსტრაციოდ რუმინეთის მაგალითი დაასახელა - სახელმწიფოს პრობაციის ღონისძიებების ხარჯები რვაჯერ ნაკლები უჯდება, ვიდრე მსჯავრდებულის დაპატიმრების შემთხვევაში დაეხარჯებოდა.

არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან პრობაციის პროგრამების დანერგვისა და განვითარებისას შესაძლო დახმარების თაობაზე იუსტიციის სამინისტროს არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის დეპარტამენტის თავმჯდომარე ალექსანდრე არაყიშვილმა ისაუბრა. მან სემინარში მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს პრობაციონერთა რეაბილიტაციისათვის გამიზნული პროექტების წარმოდგენა შესთავაზა. წარმოდგენილ წინადადებებს შეაფასებს საგანგებო კომისია, ხოლო საუკეთესოდ მიჩნეულ პროექტს „ციხის საერთაშორისო რეფორმა“ დააფინანსებს.

*24 საათი*

### ყაჩაღური დაჯგუფების ლიდერი დააკავეს

სამართალდამცველებმა დედაქალაქსა და საქართველოს რეგიონებში მოქმედი ორგანიზებულ-დანაშაულებრივი ყაჩაღური დაჯგუფების ლიდერი, თელავში მცხოვრები 31 წლის ლევან ჯაფარიძე დააკავეს. შს სამინისტროს ცნობით, პოლიციამ ჯაფარიძე თბილისში, მელიქიშვილის გამზირზე, აბაშიძის სახელობის სკვერში დააკავა. იმავე დღეს დააკავეს ჯაფარიძის დაჯგუფების წევრი, 35 წლის თამაზ მუთოშვილი. შს სამინისტროს ინფორმაციით, ჯაფარიძე და მუთოშვილი დაჯგუფების სხვა წევრებთან ერთად 13 ივნისს ავტომატური იარაღით შეიარაღებულები თავს დაესხნენ თელავში მცხოვრებ ივანე ბეგაშვილის ოჯახს, სიცოცხლის ხელყოფის მუქარით და ფიზიკური ძალის გამოყენებით გაიტაცეს 20 000 აშშ დოლარი და ოქროს სამკაულები.

სამართალდამცველებმა ჯაფარიძისგან გატაცებული 500 აშშ დოლარი ამოიღეს, მისი ბინიდან კი - 800 აშშ დოლარი და ოქროს სამკაულები. მუთოშვილის ბინიდან ამოღებულია მხოლოდ 60 აშშ დოლარი. ამჟამად ღონისძიებები ტარდება დაჯგუფების სხვა წევრთა დაკავებისა და გატაცებული ნივთების ამოღების მიზნით.

*პრაიმ-ნიუსი*

# ჟანი სიხარულიძის გარდაცვალებიდან 40 დღე გავიდა

ვარ შენს სახლში, შენს ოთახში, შენს საწოლზე მიდევს თავი... ყველა მამიდაშენის წლისთავის აღსანიშნავად წავიდა ტაძარში, მხოლოდ დედაშენი დარჩა, იმ მარადიულ კანდელთან, რომელიც შენი სულის საოხებლად აინთო 9 მაისს და არასდროს ჩაქრება...

ამ ოთახში იწყება ჩემი ბავშვობის მოგონებები... ყველაფერი ხელუხლებელია, როგორც შენ ინდომე... საწოლის კედლებზე შენი დანატოვარი ფრაზებია, როგორც მონუმენტი, რომელსაც წლების მანძილზე ქმნიდი... აქვე მახსენდება, კითხვისას შენთვის საცნაურ ამონარიდებს რომ შლიდი კედელზე, როგორც ფერწერულ ტილოს...

"სიკვდილი ბოროტებაა, ეს ღმერთებმაც დაადგინეს

სიკვდილი რომ ლამაზი ყოფილიყო, თვითონაც მოკვდებოდნენ".

"სიკვდილი გელის".

უფლის საიდუმლოს ვერავინ ხსნის და ალბათ არც შენ იცოდი, როდესაც შინაგანი ეგო გაუთვითცნობიერებლად გაწერინებდა... არავინ ვიცით, როდის ვართ ყველაზე ბედნიერები ან უბედურები. ახლა კი ნათლად ვიცი, მაშინ მიხაროდა სიცოცხლე, როდესაც შენ და დათო ხორავა მეგულებოდით ამ ეზოში, რომელიც შვილმკვდარი დედების ეზოდ იქცა, იმ ფანჯრებში, სადაც ჩემი იმედი ასხივებდა, საოცრად გამიუცხოვდა, სამაგიეროდ სიკვდილი გამიშინაურდა, რადგან ვიცი, შენ და დათო იქ ხართ, სადაც ყველას გველოდებიან...

შენგან დატოვებული ტკივილი კი ასე დაიწყო... მაშინ, როდესაც მთელი საქართველო ზეიმობდა ამერიკის პრეზიდენტის ვიზიტს, მე და შენი და სახლში ვუყურებდით ტელევიზორს. საოცრად აღტკინებული ბედნიერებითა და სიამაყით ვადევნებდით თვალს სუხიშვილების ცეკვას, რომელსაც გრიგოლ რობაქიძემ უწოდა "ქართული გენია როკვით განფენილი". და ამოტივტივდა მეხსიერებაში შენი პირველი წარმატება, როდესაც ძალიან პატარა, სუხიშვილების სოლისტი იყავი და იმდენად წარმატებული გასტროლები გქონდა ამერიკაში, რომ იქაური პრესა ცალსახად შენზე აპელირებდა. ეს მოგონება შეწყვიტა ზარმა – ჟანი აღარ არის.

ჟანი კალანდაძე, სულ 27 წლის ქართველი, რომელმაც ყველაფერი მოასწრო, გარდა პირადი ბედნიერებისა. ადამიანი, რომელიც შეყვარებული წავიდა ამ ქვეყნიდან დაპირველად გამოგვიტყდა ყველას, სიყვარულში გვირგვინი ვერ დაიდგა და ჩვენც უნუგეშოდ დაგვტოვა...





უნუგეშოა დედაშენი, რომელიც მთელი თავის სიცოცხლე შენს აფორიაქებულ ცხოვრების წესს ჰყვებოდა, თანაზიარი იყო ყოველი შენი წარმატებისა, შენი ფეხის ხმის მოლოდინით დაღლილი, მხოლოდ შენი სულის მომლოცველად დარჩენილი, შენს ფოტოებსა და ტანსაცმელს ეფერება და უფალს ევედრება, ადგილი დაგიმკვიდროს იქ, სადაც მართალნი განისვენებენ...

უფლისწულებად გახვედით ამა სოფლიდან შენ და დათო ხორავა და უფლისვე ნებით დაიმკვიდრეთ ადგილი ზეციურ საქართველოში...

"Откривайся по польной,
Утра молодым".
J.Joplin

ეს შენივე ხელით მიწერილი სტრიქონია კედელზე, რომელიც საოცრად გაამართლე.

ეს ოთახი კი ყოველთვის დარჩება შენი მონატრებით დაღლილი მეგობრების ნავსაყუდელად.

*ეკა ხერხეულიძე*

# ადმინისტრაციის ასისტენტი

კომპანია "ბი-პი"-ს მილსადენების პროექტების მიზნებისათვის და "ბი-პი"-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირებს ადმინისტრაციის ასისტენტის თანამდებობის დასაკავებლად. ადმინისტრაციის ასისტენტი წარმოადგენს საქართველოში "ბი-პი"-ს მილსადენების მშენებლობის პროექტის კონტრაქტორ მესამე მხარეს, რომელიც იმუშავებს "ბი-პი"-ს ხელმძღვანელობის ქვეშ.

**სამუშაოს აღწერა:**

ადმინისტრაციის ასისტენტის ძირითადი მოვალეობაა ზოგადი დამხმარე ადმინისტრაციული სამუშაოს შესრულება.

**მოვალეობები და პასუხისმგებლობები:**

ადმინისტრაციის ასისტენტის მოვალეობებს და პასუხისმგებლობას შეადგენს (არ შემოიფარგლება რა ამით):

დეპარტამენტის მთლიანი დოკუმენტაციის აღრიცხვა;

- დაარქივების სისტემების და მონაცემთა ბაზის შექმნა, მასზე მუშაობა და მართვა;

შიდა დამკვეთებისაგან მიღებული ყველა დაკვეთის აღრიცხვა და თითოეული ოპერაციის გაკონტროლება, ხელმძღვანელისთვის მოხსენების მიზნით;

- შეხვედრების ოქმების ჩაწერა;

მიღებული მომსახურების ანგარიშ-ფაქტურების და თანმხლები დოკუმენტაციის შემოწმება და შენახვა;

- დოკუმენტაციის მომზადების და დაარქივების პასუხისმგებლობა;

საჭიროების შემთხვევაში, წერილობითი და ზეპირი თარგმანის შესრულება და გარე რესურსების მიერ გაწეული მთარგმნელობითი მომსახურების კოორდინირება;

- მგზავრობის და დაბინავების ორგანიზებაში დახმარება, სათანადო დეპარტამენტისათვის შესაბამისი მოთხოვნის გაგზავნის მეშვეობით;

ხელმძღვანელის / განყოფილების შეხვედრების და მიღებების დაგეგმვა;

- საჭიროებისამებრ სხვა მოვალეობების შესრულება.

**სამუშაო გამოცდილება და განათლება:**

კანდიდატს მოეთხოვება ცოდნისა და კვალიფიკაციის შემდეგი დონე:

ადმინისტრაციულ სფეროში მუშაობის 3-წლიანი გამოცდილება, ინგლისური ენის ფლობის და ზემოთ აღწერილი ფუნქციების შესრულების სათანადო უნარი;

- უმაღლესი განათლების დიპლომი, ენების გაძლიერებული კურსით;

ქართული ენის ფლობა მშობლიური ენის დონეზე, ინგლისურის და რუსულის - თავისუფლად;

- შემდეგი კომპიუტერული პროგრამების სრულყოფილად ფლობა: MS Word, Excel, PowerPoint, Exchange

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ, მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების საბოლოო ვადაა 2005 წლის 28 ივნისი, სამშაბათი.

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

**ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც იმას არ გულისხმობს, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.**

**კადრების განყოფილება**

"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია"

BP Georgia

საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა N38

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. სამტრედიის რაიონის გამგეობა (შემდგომში შემსყიდველი ორგანიზაცია: 3900, სამტრედია, რაზმაძის ქუჩა №2, სამტრედიის რაიონის გამგეობა, ანგ. №33030009 საიდენტიფიკაციო კოდი 238726376, სს "ბანკი რესპუბლიკა"-ს სამტრედიის ფილიალი 220101029) აცხადებს ღია ტენდერს სამტრედიის რაიონის ბაღების, ბაგა-ბაღებისა და რაიონის სოციალური დახმარების განყოფილების კვების პროდუქტებით მომარაგებისათვის და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა: მთლიან მოცულობასთან მიმართებაში 2005 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდი - პერიოდულად, კვირაში არანაკლებ ერთხელ თითოეული ობიექტის მიხედვით, ობიექტის მოთხოვნის შესაბამისად, გარდა პურისა, რომლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ყოველდღიურად დილის 10 საათისთვის არასამუშაო დღეების გამოკლებით.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარადგინონ 4 ივლისის 10 საათიდან 6 ივლისის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. სამტრედია, რაზმაძის ქ. №2, რაიონის გამგეობის შენობა, I სართული.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1. იურიდიულ პირთათვის:

ა) ცნობას, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

ბ) ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმატიზაციის სამმართველოდან);

გ) ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა რაიონული სასამართლოდან);

დ) დადგენილება სასამართლოდან რეგისტრაციის შესახებ.

4.2. ფიზიკურ პირთათვის:

ა) ცნობას, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედუნარიანობა (ცნობა სასამართლოდან);

ბ) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმატიზაციის სამმართველოდან);

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციის შესახებ.

4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) განცხადება ტენდერში მონაწილეობის თაობაზე, მონაწილის იურიდიული მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი და საბანკო რეკვიზიტები;

ბ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე (ცნობა რაიონული სასამართლოდან).

4.4. ინფორმაცია ტენდერში მონაწილე პირის ფინანსური მდგომარეობის შესახებ, მათ შორის:

ა) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების შესახებ;

ბ) ინფორმაცია საფინანსო რესურსებზე (ცნობა მომსახურე ბანკიდან).

5. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნეს დედნის სახით, ხოლო ასლების წარმოდგენის შემთხვევაში, იგი დამოწმებული უნდა იყოს სათანადო წესით ნოტარიალურად.

6. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასების კრიტერიუმს წარმოადგენს მათი შესაბამისობა მოთხოვნით დოკუმენტებთან.

8. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 150 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ 2005 წლის 12 ივლისის 10 საათიდან 2005 წლის 14 ივლისის 17 საათამდე პერიოდში, შემდეგ მისამართზე: სამტრედია რაზმაძის ქ. №2, სამტრედიის რაიონის გამგეობა.

9. პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება.

10. სატენდერო წინადადებების მიღებას სატენდერო კომისია განახორციელებს 2005 წლის 15 ივლისის 10 საათიდან 2005 წლის 20 ივლისის 17 საათამდე პერიოდში. სატენდერო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე.

11. ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

12. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან - სახ. შესყიდვების კოორდინატორი მ. კოპალეიშვილი, მისამართი: სამტრედია, რაზმაძის ქ. №2, გამგეობის შენობის I სართული.

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემია (ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 29) აცხადებს ღია ტენდერს 2005 წელს და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესყიდვის ობიექტია:

I ლოტი: მედიკამენტები

II ლოტი: მეორადი სამედიცინო აპარატურა - 2 ცალი ხელოვნური სუნთქვის აპარატი

(ხელოვნური და მანდატორული სუნთქვის რეჟიმები, მუდმივი იძულებითი ვენტილაცია, სინქრონული მონაცვლეობითი იძულებითი ვენტილაცია, შეკვეთილი მინიმალური წუთმოცულობითი ვენტილაცია, მუდმივი დადებითი წნევის ორდონიანი ვენტილაცია, სპონტანური სუნთქვა დახმარებით) და სანარკოზე აპარატი დახურული კონტურით მონიტორინგის საშუალებით.

3.1. ლოტით შესყიდული საქონლის მოწოდება უნდა განხორციელდეს მომწოდებლის მიერ შეკვეთების საფუძველზე მცირე პარტიებად, დღე-ღამის ნებისმიერ დროს (მათ შორის დასვენებისა და უქმე დღეებში), გამომდინარე საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის კლინიკური საავადმყოფოს მოთხოვნებიდან. მოწოდების ვადაა შეკვეთიდან 6 საათი. მოწოდებული საქონლის ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტობრივად მოთხოვნილი და მიღებული საქონლის რაოდენობის გათვალისწინებით, შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურებისა (ინვოისების) და ხელშეკრულების პირობებში მითითებული სხვა აუცილებელი დოკუმენტების წარდგენის შემდეგ 45 დღის განმავლობაში.

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს: გააჩნდეს მედიკამენტების მარაგი მათი ოპერატიული მოწოდებისათვის, გააჩნდეს სტაციონარების მედიკამენტებით მომარაგების გამოცდილება.

II ლოტი: მიწოდების სასურველი ვადაა ტენდერის დასრულებიდან 1 კვირა.

4. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები, ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 5 ივლისიდან 7 ივლისის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემია, ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 29, მე-2 სართული, ოთახი 208.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1. იურიდიული პირისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, ელ.ფოსტა, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) სასამართლოს დადგენილება შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

გ) ცნობებს, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ გაკოტრებისა და სანაციის საქმის წარმოება;

დ) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

ე) ცნობას, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან).

5.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან);

ბ) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან);

გ) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

6. ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთ ეგზემპლარად, ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით.

7. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-5 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

8. საკვალიფიკაციო შერჩევა დაიწყება 2005 წლის 7 ივლისიდან, წარმოდგენილი დოკუმენტების ზემოჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე. შერჩევის შედეგი სატენდერო კომისიის მიერ წერილობით ეცნობებათ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენ პირებს.

9. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს (პრეტენდენტად დამტკიცების თაობაზე შეტყობინების მიღების შემდეგ) შეეძლებათ 2005 წლის 17 ივლისიდან 18 ივლისის 17 საათამდე, მას შემდეგ, რაც წარმოადგენენ 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის ქვითარს (მიმღები ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი. მიმღები ორგანიზაცია: სახაზინო სამსახურის საოპერაციო დეპარტამენტი, საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემია, მიმღების ანგარიში №115700718, მიმღები ბანკის კოდი 220101107. მიმღების საიდენტიფიკაციო კოდი 204900330). სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 29, მე-2 სართული, ოთახი 208.

10. ტენდერის თითოეულ ლოტში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

11. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - სატენდერო კომისიის აპარატის წევრები: დარეჯან ოსიყმაშვილი, აზა მოსიძე. მისამართზე: საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემია, ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 29, მე-2 სართული, ოთახი 208; ტელ. 223322; ფაქსი: 231170; E-mail: info@medacademy.edu.ge

**სატენდერო კომისია**

ვასილი დიმოვის ქართული მისია. პრიზი - ქართველობა



B2

"ულისეს" დღე დუბლინში



B3

"ლოკომოტივმა" ლიანდაგი ბარსელონამდე გაიყვანა



B4

# აშუღებიდან ვორონცოვამდე

## გრიბოედოვის თეატრი 160 წლისაა

ავთო ვარსიმაშვილი
თბილისის ა.გრიბოედოვის სახელობის დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი

მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში, თბილისი ამიერკავკასიის სავაჭრო და კულტურული ცენტრი იყო. ამ მშვენიერი ქალაქისკენ მოისწრაფოდნენ აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან ვაჭრები და მოგზაურები, მისიონერები და აშუღები. აქ შეხვდებოდით როგორც მეზობელი კავკასიური ტომების წარმომადგენლებს, ასევე ევროპელებს და, რაღა თქმა უნდა, რუსებს, რომელთა ინტერესი სულ უფრო და უფრო იზრდებოდა საქართველოსადმი და განსაკუთრებით მისი დედაქალაქისადმი, რადგანაც რუსეთისათვის კარგად იყო ცნობილი, რომ კავკასიის გასაღები თბილისშია და თუ გსურს, კავკასია დაიმორჩილო, ჯერ თბილისი უნდა დაიმორჩილო.

არაერთმა მოგზაურმა აღწერა ძველი ტიფლისი, - ეს ოთხი ქალაქისგან, და არა უბნისაგან შემდგარი უძველესი ქალაქი.

"ტიფლისი-ქალა", "ტიფლისი-სეიდაბადი", "ისან-ავლაბარი" და "გარეთ-უბანი", ასე ერქვა ამ ქალაქებს და ოთხივეს დამოუკიდებელი ქალაქების პრეტენზია ჰქონდა, ბოლოს "ტიფლის - ქალამ" გადასწონა და ოთხივე ქალაქი ერთ - "ტიფლის ქალაქად" გადაიქცა.

საქართველოს სხვა კუთხეებიდან ჩამოსულთათვის უცნაური მოსასმენი იყო იმდროინდელი ქალაქური ენა, ეს იყო ქართულ ენასთან შეზავებული თურქული, სპარსული, არაბული, სომხური, ებრაული თუ რუსული სიტყვები. მრავალი საუკუნის მანძილზე ითვისებდა თბილისი უცხო სიტყვებს და მოირგო კიდეც. იმერეთიდან, კახეთიდან და სამცხე-ჯავახეთიდან თბილისში ჩამოსული ქართველობა ამ ენას "ქალაქურ ენას" უწოდებდა. ქართული მწერლობა და თეატრი ამ "ქალაქურ ენას" ომს გამოუცხადებს და ნაწილობრივ მოიგებს კიდეც ამ ომს, მაგრამ ეს უკვე მოგვიანებით მოხდება...

დღეს ალბათ ნებისმიერ ადამიანს გაუკვირდება თბილისის ქუჩებში აქლემის დანახვა, მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში კი ტვირთაკიდული აქლემი და აქლემების ქარავანი ჩვეული მოვლენაა თბილისში. აქლემს და კამეჩს უფრო ხშირად ნახავდით, ვიდრე ცხენს, ცხენი აქ ფუფუნებაა, ყველას არ ჰყავს, აი აქლემი და კამეჩი კი, ჯერ კიდევ ხელმისაწვდომ ფასებში იყიდება. საქარავნე გზები ქალაქის მთავარ კარებთან - განჯის კარებთან იყრის თავს. ვის არ ნახავ აქ, რა რჯულისა და ეროვნების ხალხს არ შეხვდები, ყველანი მეიდნისაკენ მიისწრაფიან სადაც ბაზარია, უფრო სწორად ბაზრები, ფერად-ფერადი კარვები, დახლები, მიკიტნები, ხელოსნები, ვაჭრები, ვაჭრები, ვაჭრები...

მეიდანზე ყველაფერს იყიდი, საჭმელს, სასმელს, ოქროსა და ვერცხლის ნაკეთობებს და ვინ მოთვლის კიდევ რას, ვაჭრების გვერდით სხვადასხვა ხელოსნები სხედან, რომლებიც თავიანთ შეგირდებთან ერთად ხელობით არიან დაკავებულნი, ზოგი ქართველია, ზოგი სომეხი, ზოგი ებრაელი... ისინი სხვადასხვა ამქრების წარმომადგენლები არიან და ძალიან ამაყობენ თავიანთი ამქრით და თავიანთი უსტაბაშებით - ამქრების ხელმძღვანელებით. არის "მჭედელთა ამქარი", "ჩექმების მკერავთა ამქარი", "მესაათეთა ამქარი", მათ ჯერ კიდევ არ იციან, რომ გავა დრო და მათ მიერ მოგონილ ამ ლამაზ სიტყვა "ამქარს", მახინჯი სიტყვით - "პროფკავშირებით" შეცვლიან. "ხაბარდა" - ყვირის მუშა, რომელსაც უზარმაზარი კომოდი აქვს ზურგზე მოკიდებული და მაინც მთელი სისწრაფით მირბის. "გამეცალეთ!" - ყვირის მეფაეტონე, რომელსაც ევროპელი მიჰყავს თავისი ფაეტონით. ეს შეიძლება გოგირდის აბანოებიდან ახალი გამოსული და ამ აბანოებზე სრულიად ჭკუაშეშლილი ალექსანდრე პუშკინი იყოს, რადგან პირველად ნახა, რომ აბანოში ხალხი დროს სატარებლად და საქეიფოდ დადის და თუ დრო მორჩა და თან ფხიზელიც დარჩა, მხოლოდ მაშინ თუ იბანავებს. ის ფრანგი ვინაღაა, იმერელ მუშას ზურგზე რომ მოუკიდია და ისე მოათრევს? ადვილი შესაძლებელია ფათერაკების მაძიებელი მთვრალი ალექსანდრე დიუმა იყოს, აი ის რუსი კი, თავისი ქვეყნის უკუღმართ პოლიტიკაზე ჩაფიქრებული ალექსანდრე გრიბოედოვი. ვის არ ნახავ აქ? აგერ უსაქმური, ქურდი კინტო, სულ, რომ იმაზე ფიქრობს, ვის რა მოპაროს, აგერ კიდევ რაინდობაზე თავდადებული დარდიმანდი შავჩოხელი - ყარა-ჩოხელი, თვალებს, რომ აცეცებს, დღეს სად ვიქეიფოო, ებრაელი ხელოსანი, რომელსაც ახალი ბიზნესი აქვს წამოწყებული და "ეპოლეტების" შესაკერ სახელოსნოსა ხსნის.

სამიკიტნოებს და დუქნებს მიაქვს იქაურობა: საჩაიე "სამშობლო", ყავახანა "საიათ-ნოვა" და გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, სასაუზმე "ჰამლეტი". მიუხედავად დუქნების სიმრავლისა იქვე ქუჩაში ვიღაც მაყალზე მწვადს წვავს, ვიღაცეები კი უზარმაზარ ქვაბში შილაფლავს ხარშავენ, ოღონდ არ გეგონოთ, რომ თავისთვის უნდათ, თუ შილაფლავი ქუჩაში იხარშება, ეს იმას ნიშნავს, რომ ის ქვრივ-ობლებისთვის და ციხეში მსხდომთათვისაა განკუთვნილი. ყველგან ხმაურია, ზოგი ჩხუბობს, ზოგი იცინის, აქ ჩუმად არ ლაპარაკობენ, აქ მხოლოდ ყვირიან. მაგრამ ხანდახან მთელი მეიდანი, როგორც ერთი, ისე ჩერდება, მონუსხულივით შტერდება და ჩუმდება.

მეიდანზე აშუღები ჩნდებიან...

აშული მარტო მომღერალი პოეტი არ გეგონოთ, ეს გაცილებით გვიან მოხდება და აშული, მოხეტიალე, მომღერალ პოეტად ჩამოყალიბდება და ასეთად იეთიმ გურჯი მოგვევლინება, მაგრამ მაშინ, მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში, აშუღები მოხეტიალე მსახიობები იყვნენ, რომლებიც ხან რაიმე სევდიან აღმოსავლურ პოემა-ლეგენდას წარმოადგენდნენ, ხან ბიბლიურ სცენებს გაითამაშებდნენ, ხანაც რაიმე სოციალურ მოვლენას დასცინებდნენ და ამით სატირის თეატრს უყრიდნენ საფუძველს. აშუღებს როგორც წესი, სახე "ბელილით" ჰქონდათ შეთეთრებული, ხოლო თვალის ქუთუთოები და ტუჩები წითელი საღებავით. გაშლიდნენ მოედანზე ხალიჩას, ზედ დადგებოდნენ და იწყებდნენ თამაშს, ეს შეიძლებოდა ყოფილიყო "ერთი მსახიობის თეატრი", შეიძლება მრავალ მოქმედპირიანი წარმოდგენა, ანდა კიდევ რაიმე მისტერია, ხშირად მათი მონოლოგები დღევანდელ "რეპსაც" კი ჰგავდა. ზოგი ქართულად - "ქალაქურ ენაზე" ასრულებდა, ზოგი სომხურად, ხშირად შეხვდებოდი თურქ აშუღს, რომელიც თავისთავად თურქულ ენაზე თამაშობდა, ებრაელს, რომელიც ხასიდურ მუსიკალურ ფოლკლორს წარმოადგენდა, დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ არაბ აშუღებსაც შეხვდებოდი, რომლებიც არაბულ ენაზე მართავდნენ წარმოდგენებს. ხშირი იყო ასეთი ტიპის სპექტაკლები რუსულადაც, იმ პერიოდში ხომ რუსეთში უკვე თეატრის ბუმია და ეს გამოძახილი თბილისამდეც აღწევს და ამიტომაც მეიდანზე ეგრეთ წოდებული "სცენკები" თამაშდება რუსულ ენაზე. აშუღებმა იმ პერიოდისთვის კი არა, დღევანდელი დღისთვისაც არნახული საქმეები ჰქნეს, მათ საკუთარი ხელობის დაცვის მიზნით, "აშუღთა ამქარი" დაარსეს, რაც დღევანდელი ტერმინოლოგიით "მსახიობთა პროფესიონალურ კავშირს" ნიშნავს, დღეს, როდესაც საქართველოში ერთ "ჩრდილების თეატრს" ვერ ვუპატრონეთ, აშუღებმა თავის დროზე, მარტო თბილისში, ათამდე "ჩრდილების თეატრი" გახსნეს. ამ მრავალეროვნულ თეატრალურ სანახაობებს ყოველთვის ჰყავდა





თავისი მაყურებელი, ის სხვადასხვა ეროვნების ხალხს აერთიანებდა თეატრის მაგიით. სპექტაკლის ცქერის დროს, არავინ ფიქრობდა, ვინ რა ეროვნებისა და რჯულის იყო, ისინი ყველანი ერთად აფასებდნენ სპექტაკლებს და ყველანი ერთად აჯილდოვებდნენ აშუღებს აპლოდისმენტებით, ფულით, საკვებით. . . როდესაც სახელგანთქმული თეატრალიზებული "ყეენობა" იწყებოდა, მასში აშუღებთან ერთად, მთელი ქალაქი ღებულობდა მონაწილეობას; ქალაქი ორად იყოფოდა "ყაენის მომხრეებად" და "ყაენის მოწინააღმდეგებად", რამოდენიმე ათასი ადამიანი წინასწარ იწყებდა ამ ზეიმისათვის სამზადისს, იკერებოდა კოსტიუმები, კეთდებოდა ბუტაფორიული რეკვიზიტები... ის რითიც ასე ამაყობს დღეს ვენეცია და ბრაზილია, ჩვენც გვქონდა და არაფრით ჩამოუვარდებოდა მათ, უბრალოდ, ჩვენ ვერ შევინარჩუნეთ, მათ კი დღემდე აქვთ და ამაყობენ თავისი კარნავალებით.

სადაა ნეტავ ის ქალაქი? თავისი კინტოებით, ყარაჩოღლებით, დაირიანი მოცეკვავეებით, ქართულ მრავალხმიანობით და გვერდზე სპარსული ბაიათებით, ჩოხიანი ვაჟკაცებით, ჩადრიანი ქალებით და შლაპიანი ევროპელებით, სადაა ის კარნავალური რიტუალები, სად არიან ის ჩემთვის სრულიად უცნობი და ამავე დროს ძალიან საყვარელი სახეშეთეთრებული აშუღები ქართულ-სპარსულ-თურქულ-სომხურ-ალბანურ-არაბულ-ებრაულ-რუსული ცეკვებითა და სიმღერებით, ულამაზესი რიტუალებით, აქლემებით, რომლებიც აბრეშუმის გზას გაუყვნენ და იქვე დარჩნენ. სად არის ეს ყველასთვის ღია ქალაქი? სადაა "გვირილობისა" და "ისპანახობის" რიტუალი? სადაა "ბერიკაობა"?, "ყეენობა"? ერთი წამით წარმოვიდგინოთ, რომ ესენი და კიდევ სხვა უამრავი რიტუალები, რომ შეგვენარჩუნებინა და დღესაც გვქონოდა, რომ დაგვემატებინა ამ დღესასწაულებისათვის თანამედროვე ტექნოლოგიები, წარმოგიდგენიათ რა საოცრად თვითმყოფადი, სანახაობითი კულტურა გვექნებოდა? ტურიზმი მაშინ უნდა გენახათ. როდის შევიგნებთ, რომ ჩვენი ქვეყნის კულტურის პოლიტიკა ხალხურ სათავეებისაკენ უნდა იყოს წარმართული და არა უნიჭო, ტაშ-ფანდურების გამართვაში, როდის შევიგნებთ, რომ კულტურა მარტო გართობა არაა, რომ ის ცხოვრების წესია და თუ კი ის სწორად წარმართე, სულიერ საზრდოს გარდა მატერიალურ საზრდოსაც მისცემს ქვეყანას. . .

თემას გადავუხვიე და მიტევებას გთხოვთ.

მოკლედ, აი ასეთ თბილისში, იმდროინდელ, მრავალეროვნულ, კოლორიტულ, თეატრალურ თბილისში, არ იყო არც ერთი თეატრალური შენობა, ნაგებობა, სადაც რეგულარულად გაიმართებოდა თეატრალური წარმოდგენები. ეტყობა, მაშინ არც იყო ამის მოთხოვნილება, რადგან თვითონ თბილისი იყო თეატრი, ერთი ღია, გახსნილი, ლამაზი თეატრი. ყველაფერს თავისი დრო აქვს და ყველას თავისი დროის მეთაური ესაჭიროება. თეატრის გახსნის დროც დადგა და მეთაურიც გამოჩნდა... წინასწარ ვიცი, რომ ბევრის აღშფოთებას გამოვიწვევ, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, ეს გმირი, ქართულ სინამდვილეში, რუსი გრაფი, გენერალ გუბერნატორი მიხეილ ვორონცოვი გახლდათ...

მიხეილ ვორონცოვის მამა, სემიონ ვორონცოვი ინგლისში რუსეთის ელჩი იყო, ამიტომ მიხეილ ვორონცოვის ბავშვობამ ინგლისში განვლო, რამაც სამუდამო კვალი დატოვა მასზე. ყველამ, ვინც ერთხელ მაინც გადაწყვიტა ვორონცოვზე რაიმე დაეწერა, ერთხმად აღნიშნავს, რომ თვალში საცემი იყო მისი ევროპული მენტალიტეტი. ნიკოლოზ პირველმა ის უბრალო მხედართმთავრად კი არ გამოუშვა საქართველოში, არამედ მეფის ნაცვლად და განუზომელი უფლებებიც მიანიჭა. ეს არ იყო მისი პირველი ჩამოსვლა საქართველოში, საგულისხმოა, რომ ის ძალზე კარგად იცნობდა საქართველოს და ქართველებს, რადგან ჯერ კიდევ ოცი წლის ჭაბუკი მსახურობდა აქ და რუსეთის არმიის მხედართმთავართან, გენერალ ციციანოვთან ერთად განჯაც აღებული აქვს და ერევნის სახანოც, თანაც ისეთი თავგამოდებით, რომ შტაბს-კაპიტნობაც უბოძეს და ეგრევე სანკტ-პეტერბურგში გააქანეს. მისი საგმირო საქმეები ამით მხოლოდ დაიწყო, რადგან მალე ის ნოვორასიისკის გუბერნატორი ხდება, ხოლო შემდგომ კი ბესარაბიის, და რაც მთავარია, ეს ორივე მხარე ჩაიბარა დაშლილი და განადგურებული და დატოვა აყვავებული და აშენებული. აი, ასეთი შარავანდედით, საქართველოში თავისი პირველი ვიზიტის 40 წლის თავზე, 63 წლის ფელდმარშალი მიხეილ ვორონცოვი ბრუნდება ქვეყანაში, სადაც თავის დროზე მისი ბრწყინვალე კარიერა დაიწყო.

1845 წლის 26 მარტის გამთენიისას, ათასობით ქართველი მცხეთაში დახვდა მიხეილ ვორონცოვს და თბილისში ჩამოაცილა, თბილისში... აქ კი, პირდაპირ ციტატას მოვიყვან იმ დროინდელი რუსულ პრესიდან, თორემ ვინმე დღევანდელი პოლიტიკური ასოციაციების გაღვიძებაში დამდებს ბრალს:

"Тифлис был убран вывешенными на балконы персидскими коврами и золототканными покрывалами, вышивкой которых славились грузинки. Город был празднично освещен фонарями и разведенными на склонах окрестных гор кострами, со всех сторон слышны были звуки национальных инструментов, а на плоских крышах домов танцевали разодетые в национальные костюмы жители города..."

ამ პიროვნებაზე, საუკუნენახევარია დავობენ ჩვენთანაც და რუსეთშიც, "ანტიქართველადაც" იყო მოხსენიებული და "ანტირუსადაც", ფაქტია, რომ მან ძალზედ ბევრი სასიკეთო რამ გააკეთა ქართველებისთვის და ისიც ფაქტია, რომ სწორედ ამ საქმეების გამო გაიწვია უკან რუსეთის იმპერიამ. მისი დამსახურებები არაერთხელ აღუნიშნავს ილია ჭავჭავაძეს, ხოლო აკაკი წერეთელი კი, მის სულსა და სახელს ფიცულობდა და უკვე დიდი ხნის გარდაცვლილ ვორონცოვს 1910 წელს პოემა "ვორონცოვიც" კი მიუძღვნა.

მიხეილ ვორონცოვის არც ადვოკატობას ვაპირებ და არც პროკურორობას, მაგრამ ერთს მაინც კიდევ ვიტყვი. ზემოთ მოგახსენეთ, 1845 წლის 26 მარტს ჩამოვიდაო, ეხლა კი გეტყვით, რომ 1845 წლის 20 სექტემბერს, ე.ი. ზუსტად 6 თვის თავზე, ეს ადამიანი თბილისში ხსნის პირველ, პროფესიონალურ თეატრს. რა თქმა უნდა, ჯერ რუსულ თეატრს, ის ხომ პირველ რიგში რუსული პოლიტიკის გამტარებელი იყო, არც დაუმალავს, პირდაპირ თქვა - "რუსული ენის, რუსული ჩვეულებების გასაცნობად და რუსეთთან მათი თანდათანობით დაახლოებისათვისო". იტალიურ ოპერას და ქართულ თეატრს ცოტა მოგვიანებით, 5 წლის შემდეგ ჩამოყალიბებს და სახელმწიფო დოტაციაზეც დასვამს. კიდევ ერთ წელიწადში კი ახლანდელ თავისუფლების მოედანზე მავრიტანული სტილის ისეთ თეატრ-შენობას, "ქარვასლის თეატრს" წამოჭიმავს, რომ "კომედი ფრანსეზის" ქვეყნის წარმომადგენელს, დიდ ალექსანდრე დიუმას ათქმევინებს, ასეთი დიდებული თეატრი არ მინახავსო და თვითონ კი ნიკოლოზ პირველს სიამაყით ამცნობს: "თბილისში სამი თეატრი და ერთი სიმფონიური ორკესტრიაო". ვორონცოვი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში ამკვიდრებს ახლებურ პოლიტიკურ აზროვნებას, ევროპულ, ცივილურ ურთიერთობას.

იმ პერიოდიდან თბილისიდან და საერთოდ საქართველოდან იდევნება აზიური კულტურა და ფართოდ ეხსნება კარები ევროპულ კულტურას და თუ ჯერ კიდევ 6 წლის წინ, ტიფლისში სპარსული მუსიკა დომინირებდა, ეხლა მისი ადგილი როსინის, ბელინისა და დონიცეტის მუსიკამ დაიკავა. თუ რუსმა გენიოსმა, ალექსანდრე პუშკინმა 1829 წელს, თბილისს "აზიური კულტურის ქალაქი უწოდა", ოცდაორი წლის შემდეგ, 1851 წელს, მეორე გენიოსმა, ლევ ტოლსტოიმ თავის ჩანაწერებში ჩაწერა: " თბილისი ევროპული ცივილიზაციის ტიპის ქალაქია, რომელიც პეტერბურგს ბაძავს"-ო. ლევ ტოლსტოის არ სჭირდებოდა ჩვენი მისამართით უბრალო კომპლიმენტის თქმა, თბილისი ისეთი სისწრაფით ითვისებდა იმდროინდელ ევროპულ კულტურას, რომ ამით ევროპელებიც განაცვიფრა, თბილისის ოპერის თეატრში სანკტ-პეტერბურგის სახელგანთქმულ მარინის თეატრზე გაცილებით უფრო ადრე დაიდგა ისეთი შედევრები, როგორებიც იყო "ტრუბადური", "ტრავიატა" და "ფაუსტი", ხოლო ჯუზეპე ვერდის ოპერა "ოტელო" ჯერ მილანში დაიდგა (1887), შემდეგ თბილისის ოპერის თეატრში (1888) და მხოლოდ თბილისის მერე პარიზის "გრანდ ოპერაში". თბილისელი მუსიკოსები ხუმრობდნენ, ვერდი ჯერ მილანისთვის წერს, შემდეგ თბილისისათვის და მხოლოდ მას მერე დანარჩენი მსოფლიოსათვისო.

მაგრამ, მოდი, ისევ რუსული თეატრს დავუბრუნდეთ, რომლის დირექტორთა მმართველ საბჭოს წევრად ვორონცოვმა, არც მეტი და არც ნაკლები, პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე დანიშნა, რომელიც თავის მხრივ უკავშირდება დიდ რუს მსახიობ მიხეილ შჩეპკინს, რომლის დახმარებითაც თბილისის რუსული თეატრის დასს, სანკტ-პეტერბურგისა და მოსკოვის საიმპერატორო თეატრების ასამდე მსახიობით ავსებს. ალბათ ყველა ადვილად წარმოიდგენს ქართველი მამაკაცების აღტაცებას ამ ფაქტით.

დღეს, როდესაც წელიწადში 5 პრემიერა ძალიან ბევრად ითვლება, ხოლო 10 და 11 პრემიერა წარმოუდგენლად ბევრად, უნდა მოგახსენოთ, რომ პირველივე წელს რუსულმა თეატრმა ასზე მეტი პრემიერა წარუდგინა მაყურებელს.

ხუთი წლის მერე, ქართული თეატრიც იხსნება და თეატრს გიორგი ერისთავი ხელმძღვანელობს, ქართულ დასი ჯერ გაუბედავად, მაგრამ ნელ-ნელა მყარად დგება ფეხზე, გიორგი ერისთავმა გააღვიძა ქართული არტისტიზმის გენი, შექმნა ევროპული ტიპის თეატრი, შემდეგ კი ილია, აკაკი, ვაჟა, ივანე მაჩაბელი და ალექსანდრე ყაზბეგი, ვასო აბაშიძე ამოუდგებიან ერთმანეთს მხარში და შეიქმნება "მუდმივი სცენა", რომელიც სამუდამოდ განსაზღვრავს ქართული თეატრის მთავარ კრედოს: "თეატრი, როგორც ეროვნულ განმანთავისუფლებელი მოძრაობის ტრიბუნა", "თეატრი, როგორც ტაძარი".

რუსულ თეატრში კი იკრიბება ქართველობაც და რუსობაც, იკრიბებიან სომხები, ალბანელები, რაღა თქმა უნდა, რომ იკრიბება ებრაელობა, სპეციალურად "ტეატრის" სანახავად ჩამოდიან აფხაზეთიდან - ვორონცოვმა ხომ განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინა საქართველოს ამ ულამაზესი კუთხისადმი, მოყავთ თეატრში დასასწრებად ოსებიც ჩრდილო კავკასიიდან, ეწყობა სპეციალური ჩვენებები განცვიფრებული ჩეჩნებისა და ინგუშებისათვის და აქაც ისევე როგორც რამოდენიმე ათეული წლის წინ აშუღთა თეატრში, ხალხი ერთიანდება თეატრის მაგიით, აქ ეცნობოდნენ რუსული კულტურის მარგალიტებს, აქ, თეატრის ლიტერატურულ სალონში მოისმინეს პირველად რუსული პოეზია და სცენაზე იხილეს რუსული დრამატუგია.

1845 წლის 20 სექტემბრიდან 160 წელი გავიდა და რუსული თეატრი კვლავაც არსებობს თბილისში, როგორც მაგალითი ტოლერანტობის, როგორც მაგალითი კულტურათა დიალოგის, ამიტომაც გასაგებია, რომ თითქმის ყველა დიდმა ქართველმა რეჟისორმა იმუშავა აქ, ამ სახელებით იამაყებდა მსოფლიოს ნებისმიერი თეატრი: სუმბათაშვილ-იუჟინი, კოტე მარჯანიშვილი, ალექსანდრე წუწუნავა, დიმიტრი ალექსიძე, მიხეილ თუმანიშვილი, გიგა ლორთქიფანიძე, რობერტ სტურუა, გიზო ჟორდანია და სხვანი და სხვანი. ძალიან ცოტამ თუ იცის, რომ ამ თეატრის ლიტერატურული ნაწილის გამგე გახლდათ გრიგოლ რობაქიძე, და რომ სპექტაკლებისათვის მუსიკას წერდა ზაქარია ფალიაშვილი, ხოლო დეკორაციებს, ელენე ახვლედიანი და ლადო გუდიაშვილი ხატავდნენ. რუსეთის თეატრის ბევრმა გიგანტმა ამ თეატრში დაიწყო თავისი შემოქმედება და მხოლოდ შემდგომში აზიარეს თავისი გენია რუსეთს: გენიალურმა ვსევლოდ მეიერხოლდმა, რომლის გარეშედაც, არა თუ რუსული თეატრი, არამედ მსოფლიო თეატრიც კი წარმოუდგენელია, ორი წელი უხელმძღვანელა აქ თეატრს. ჩვენმა თანამემამულემ, დიდმა ვლადიმირ ნემიროვიჩ-დანჩენკომ, სანამ კონსტანტინე სტანისლავსკისთან ერთად მოსკოვში ლეგენდარულ სამხატვრო თეატრს გახსნიდა, ამ თეატრში მოსინჯა თავი რეჟისურაში; აქ აიდგა ფეხი და შვიდი წელი მუშაობდა გიორგი ტოვსტონოგოვი, დღემდე სიყვარულით იხსენებს თავის თბილისურ პერიოდს, თანამედროვეობის დიდი რუსი რეჟისორი პეტრე ფომენკო... თქვენ იცნობთ, სადმე, რომელიმე ქვეყანაში თეატრს, სადაც ამდენი გენიალური ადამიანი მუშაობდა? მე პირადად არ ვიცი ასეთი თეატრი. ერთადერთი რაც ზუსტად ვიცი, ისაა, რომ საფრანგეთში ან ინგლისში, რომელიმე თეატრში, რომ ამდენ ასეთ გამორჩეულ პიროვნებას ემუშავა, იმ თეატრს ძეგლად გამოაცხადებდნენ.

ბოლო თხუთმეტი წლის მანძილზე, დღეს, როგორც იქნა პირველად ხაზგასმით გაჟღერდა ხმამაღლა, რომ საქართველო არაა მარტო ქართველების ქვეყანა, რომ ის არის ქართველების, აზერბაიჯანელების, სომხების, რუსების, აფხაზების, ებრაელების, ოსების და სხვა ერების წარმომადგენელთა ქვეყანა და, რომ ყველა ეს ერი, თანასწორუფლებიანია ჩვენს ქვეყანაში, რომ ყველა ამ ერის წარმომადგენელზე, სახელმწიფო ზრუნავს ერთნაირად, რომ ჩვენი მშვენიერი ქვეყანა მრავალეროვანია და ამ მრავალეროვნებაში და მრავალკულტურაში არის მისი ხიბლიც და მისი სიამაყეც. ამ შეგნების გარეშე წარმოუდგენელია საქართველოს ერთიანი სახელმწიფოებრივი აზროვნება და ქვეყნის მთლიანობა. ამ შეგნების განმტკიცებაში თავის სიტყვას ამბობს და მომავალშიც იტყვის თბილისის რუსული დრამატული თეატრი, რომელიც ა.გრიბოედოვის სახელს ატარებს. ეს თეატრი არ არის მარტო რუსული კულტურის კერა საქართველოში, ამ თეატრს უფრო დიდი მისია აქვს - გააერთიანოს ყველა ის არაქართველი, რომლის სამშობლო საქართველოა. ამიტომაც მახარებს, როცა ჩვენს სპექტაკლებზე, ერთად ვხედავ ქართველს და რუს, სომეხს და აზერბაიჯანელს, აფხაზეთიდან და ოსეთიდან დევნილებს, როდესაც ვხედავ ებრაული თემის წარმომადგენლებს, ჩვენი თეატრი მათ აერთიანებს, ისე როგორც თავის დროზე, აშუღები აერთიანებდნენ მეიდანზე თავშეყრილ საზოგადოებას. ჩვენ ხომ იმ აშუღთა შვილები ვართ.

ამა წლის 29 ოქტომბერს ჩვენ აღვნიშნავთ თეატრის 160-ე წლის იუბილეს, მოდით ერთად აღვნიშნოთ, ერთად ვიზეიმოთ. ნუ იქნება ეს მარტო ჩვენი თეატრის ზეიმი, ნუ იქნება ეს საქართველოს უხუცესი თეატრის ზეიმი, დე ეს იყოს, ჩვენი ტოლერანტობის ზეიმი, სხვა ერის შვილთა მოფერების ზეიმი, სხვა კულტურისადმი პატივისცემის ზეიმი. ჩვენ არ გვავიწყდება, რომ ესეც ჩვენი კულტურის განუყოფელი ნაწილია, ვიზეიმოთ ისე, რომ დავანახოთ აფხაზებს, დავანახოთ ოსებს, დავანახოთ აზერბაიჯანელებს, სომხებს, რუსებს, ჩეჩნებს, ინგუშებს, ფრანგებს, გერმანელებს, ინგლისელებს... მთელ სამყაროს დავანახოთ, რომ საქართველოში, იქ სადაც კულტურა ყოველთვის იყო სათაყვანებელი, საკუთარ ეროვნულ კულტურასთან ერთად, სხვა ხალხების კულტურასაც პატივს სცემენ და ამაყობენ კიდეც ამ კულტურით.

# უჩინარი კვალი

## გალერეა "ვერნისაჟმა" ჩვიდმეტი წლის შემდეგ "რეპრესირებული ხელოვნება" გაგვახსენა

დავით ანდრიაძე

გასული საუკუნის 70-იანი წლების შუახანს, მგონი, სულაც 1972 წელს, "სურათების სახელმწიფო გალერეაში" ერთი საინტერესო ისტორია გათამაშდა...

საგაზაფხულო გამოფენის მონახულება მოისურვეს თურმე ცეკას ბოსებმა...

ჰოდა, როგორც წესი, მათი გიდობა მხატვართა კავშირის თავმჯდომარეს უნდა ეკისრა, მაგრამ, ბედი არ გინდა? გამოფენაზე ოთარ ჩხარტიშვილის ობიექტი იყო წარმოდგენილი - ასამბლაჟის პრინციპით მოდერნიზებული ვენური სკამი, სახელწოდებით "თეთრი კვერცხი".

ცხადია, ცეკას აშკარად არ მოუვიდოდა თვალში ეს გამომწვევი ოპუსი.

აი, მაშინ ივაჟკაცა "მხატვართუხუცესმა" და... სანამ "დელეგაცია" ხსენებულ ობიექტს მიადგებოდა, დეპუტატის "ზნაჩოკიანი" პიჯაკი გაიძრო და ელვის სისწრაფით გადაკიდა "სკამზე".

ასე მოხერხებულად გამოვიდა სიტუაციიდან ცხონებული ელგუჯა ამაშუკელის წინამორბედი თავმჯდომარე და ოპერატიული პერფორმანსი გაათამაშა - უცებ უცვალა ფუნქცია ჩხარტიშვილისეულ "რედი-მეიდს" და ისევ ჩვეულებრივ, ტრივიალურ სკამად აქცია.

ეს ისტორია გალერეა "ვერნისაჟში" მოწყობილმა ჯგუფურმა გამოფენამ გამახსენა, გამოფენამ, დღეს, 5 საათზე რომ გაიხსნება და რუსლან ღონღაძის ხსოვნას ეძღვნება. ეს ის რუსლან ღონღაძეა, რომელმაც თავის დროზე სიმპათიური კინოპორტრეტები უძღვნა ჯერ ავთო ვარაზს, მერე პიკო ნიჟარაძეს.

გამოფენაზე თავმოყრილია ამირ კაკაბაძის, გოგი მიქელაძის, ზურა სეხნიაშვილის, ოთარ ჩხარტიშვილის, ლევან მაღალაშვილის, გოგი ხუციშვილის კოლაჟები, ასამბლაჟები და ობიექტები და ჩაფიქრებულია, როგორც თავისებური რეტროსპექტივა.

და მაინც, ამ გამოფენით, უპირველეს ყოვლისა, უნდა გავიხსენოთ ამ ჩვიდმეტი წლის წინ "ცისფერ გალერეაში" (რომელსაც, იმედია, მალე ვარდისფრად გადავღებავთ) მოწყობილი ექსპოზიცია, რომელიც პირადად ჩამთვის საბჭოური ტერორისტული ნატურალიზმის ერთგვარ ნაგვიანევ რეაქციად აღიქმებოდა, თუმცა, იმ პერიოდის ქართული არტპროცესისათვის ეს გამოფენა მაინც საჭირო და აუცილებელი ინექცია იყო, მიუხედავად იმისა, რომ ამ მოვლენაზე კრიტიკული რეფლექსია იმხანად, რომ იტყვიან, "ცხელ კვალზე", ფაქტობრივად, არც მომხდარა.

ასეა თუ ისე, ჩვიდმეტი წლის შემდეგ "ვერნისაჟი" გაცილებით კამერულ ატმოსფეროში შეეცდება, ხელახლა გაათამაშოს ქართული ანდერგრაუნდის გარკვეულწილად მივიწყებული სპექტაკლი და მისი თავისებური "მუზამუმიფიცირებული" რემიქსი შემოგვთავაზოს.

ამასთან, ესაა ცდა, რათა თავად ვერნისაჟიც ამ გამოფენისა მოგვაწოდონ, როგორც თავისებური ბიოგრაფიზებული შოუ იმ ავტორებისა, რომელთაც, საბედნიეროდ, ჯერაც არ მოსძალებიათ პატრიარქთა ამბიციები, განსხვავებით მსუბუქად ანგაჟირებული კოლორისტი მაესტროებისა, "ცხვირიდან რომ გვადინეს" თავიანთი "რევოლუციური" წარსული.

ამ გამოფენის ფიგურანტთა უმეტესობა კარგა ხანია არტსცენის კულისებშია და... უცდის ახალ დროებას, ანუ იმ ეპიზოდს, რომელშიც საკუთრივ მისთვის (და, რაც მთავარია, სადღეისოდ) სათამაშო სოციალური როლით უნდა წარმოდგეს.

თუმცა, ეს "ახალი დრო" ანუ ეპიზოდი ჯერჯერობით არ ჩანს, იქნებ სულაც იმის გამო, რომ აკმეს ასაკმა ჩაიარა...

როგორც ჩანს, ე.წ. ავტონომიური ხელოვნების რეპრესიების ხანაში უფრო მნიშვნელობდა ამგვარი აქციები (და რე-აქციები), ახლა კი, როდესაც "გაჰქრა ის დროცა", და ავტონომიური ხელოვნება, ლამისაა ჩვენშიც კულტურულ ინდუსტრიად გადაგვარდეს, ორი გზა რჩება: ან მხარი უნდა აუბა ამ უკანასკნელის ექსპანსიას, ანდა ძველი კაპიტალის პროცენტებით უნდა იცხოვრო ხელოვნებაში. არადა, ასეთი "ცხოვრება" უფრო ძვირი ჯდება.

"ჩვიდმეტი წლის შემდეგ" წარმოდგენილმა "რეპრესირებულმა ხელოვნებამ" ისიც უნდა დაგვანახოს, რომ თავად რეპრესია, როგორც ასეთი, ხელოვნების ფენომენთა "რეწვის" - ნუ გაიკვირვებთ და, - გარკვეული თვალსაზრისით, ბუნებრივი და ამ ბუნებრიობასთანვე წილნაყარი - კულტურული რეჟიმია, მით უფრო, რომ თუკი განსვენებული საბჭოურ-ტოტალიტარული პოლიტიკა და ამ პოლიტიკის დისკურსი იმხანად იდიოტურად თვითკმარი და საკუთარ თავთან იდენტური რამ გახლდათ, დღეს იგი (პოლიტიკა) უკვე აღარ ფლობს თვითიდენტიფიკაციის უწინდელ ხარისხს, აღარ შეესაბამება თავის აპრიორულ სტრუქტურებს, თავის ტელეოლოგიას...



გამოფენის ერთ-ერთი კუთხე.

ანალოგიურად, ხელოვნებაც აღარაა თვითკმარი და თვითიგივეობრივი რამ; ჩვენ ხომ, დაბნეულებმა, დღეს უკვე აღარ ვიცით, რჩება თუ არა ხელოვნება არტისტულ ფენომენად.

უცნაური ისაა, რომ ხელოვნება, მით უფრო აქტუალური ხელოვნება, ფარულად მაინც ტოტალობისკენ მიისწრაფვის. ალბათ ამიტომაც ნათლავდა რუსული აქციონიზმის მეტრი ილია კაბაკოვი თავის ინსტალაციებს "ტოტალურად".

მოკლედ, პოლიტიკას, სიკვდილისა არ იყოს, ვერსად წაუვა მხატვარი; და ვერც პოლიტიკურ დისკურსს დაემშვიდობება. ბოლოს და ბოლოს, ესაა გზა არტისტული ძალაუფლებისკენ; ამგვარი ძალაუფლების ნების იგნორირებას კი, ტყუილია, ნურც ერთი მხატვარი ნუ დაიჩემებს და ნუ შეეცდება, დაგვარწმუნოს, რომ უბრალოდ და ელემენტარულად, "ემღერება და მღერის".

სხვა თუ არაფერი, ახლა პოლიტიკა პრაქტიკულად ყველაფერია, რომ აღარაფერი ვთქვათ ისეთი ცნების ფარდობითობაზე, როგორიცაა პოლიტიკური რადიკალიზმი.

ასევეა ხელოვნებაშიც - დღეს ხელოვნებაა ყველაფერი, რასაც ხელოვნებად გვთავაზობენ. მთავარია, ნაწარმოები აღარ იყოს... ნაწარმოები. ხომ გახსოვთ თეოდორ ადორნოს აფორიზმი: "ხელოვნების ნაწარმოები მით უფროა ნაწარმოები, რაც უფრო ნაკლებადაა ნაწარმოები".

"ვერნისაჟის" მიერ წარმოდგენილ გამოფენაზე, რასაკვირველია, შეხვდებით მეტ-ნაკლებად "ნაწარმოებ ნაწარმოებებს", ზოგან მეტია, უკაცრაული სიტყვაა და, ნაჩალიჩარი, ზოგან ნაკლები. მათ შორის საზიარო ალტერნატიული გემოვნების პრინციპია, "ობიექტის ხელოვნებით" ე.წ. ობიექტური ხელოვნების ჩანაცვლების პრინციპი. ესეც - ახალი, უფრო ზუსტად, "კარგად დავიწყებული" დიფერენცია.

ეტყობა, ამ, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, თავისთავად ლამაზმა ექსპოზიციამ ისიც უნდა დაგვანახოს, რომ დღევანდელი გადასახედიდან ჩვენი "ობიექტივისტების" ხელოვნება ილუზორულად და, რაც კიდევ უფრო ნიშანდობლივია - კომპრომისულადაც კი გამოიყურება.

თუ ამ გამოფენის თუნდაც ექსპოშოუს "პროტოტიპის" პერიოდში, ამჯერად "შეცხელებული" (მაგრამ, მაინც გემრიელი) კერძის სახით წარმოდგენილი არტეფაქტები, როგორც სოციოკულტურული რადიკალიზმის მესიჯები, სულაც არ აღიქმებოდნენ ცარიელ და უმტკივნეულო ხმებად, დღეს ისინი, დიდი-დიდი, ისტორიის ზუზუნად უფრო ჩაგვესმიან... და ესეც აუცილებელი გაკვეთილია, იმავე ისტორიის მიერ, ჩვენი უახლესი ისტორიის მიერ ჩატარებული გაკვეთილი, რომელიც, შესაძლოა, ერთ დროს რუტინას დაპირისპირებული, თავად შეიძლება მოგვევლინოს რუტინად.

რაც მთავარია, ამ რეტროპრეზენტაციით კიდევ ერთხელ უნდა ვიგრძნოთ (და განვიცადოთ კიდეც!), რომ წარსული - მომავალში, გვინდა - არ გვინდა, მაინც ერთგვარი კომპრომისის თვისებით გადადის.

ასეთი კომპრომისული არტეფაქტების ავტორებად წარმოგვიდგებიან ამირ კაკაბაძე და გოგი მესხიშვილი. სხვათა შორის, ეს უკანასკნელი გამოფენაზე ვერ მოხვდა, რადგან, თურმე ნუ იტყვით, წერეთლის აკადემიის საპატიო აკადემიკოსმა მოსკოვური ვოიაჟის გამო ვერ მოიცალა. რას იზამ, ძნელია ბომონდში ყოფნა!

ტოლერანტული რეაქტიული ესთეტიზმი გამოარჩევს ზურა სეხნიაშვილსაც. მისი სურათოვანი ასამბლაჟებისაგან საგრძნობლად განსხვავებულია აწ დაცალკევებული ტანდემის - ოთარ ჩხარტიშვილისა და ლევან მაღალაშვილის სივრცობრივი ოპუსები; მათი დევიანტური ესთეტიკა დღესაც სასიამოვნოდ გამაღიზიანებელია და მაპროვოცირებელი. მაღალაშვილი ახლა შეერთებულ შტატებში აცხობს პურს და, გარეგნულად მაინც, სვეკეთილი ამერიკელის როლს თამაშობს. ჩხარტიშვილი კი ისევ რუსთავში ცხოვრობს, უფრო ზუსტად, ბინადრობს და დღესაც ისეთივე არარესპექტაბელური "ბოგანოა", როგორც ბულდოზერების ლეგენდარული გამოფენის ეპოქაში.

მე რომ მკითხოთ, ისევ ასეთი "როლი" სჯობს რესპექტაბელური პიჟონის როლს, როდესაც კოლაჟური დისკურსი სცენოგრაფიული რამპით გაქვს უსაფრთხოდ ლიმიტირებული და შენს თეატრალიზებულ კეთილდღეობას არაფერი ემუქრება.

სულ სხვაა გოგი მიქელაძე, რომელიც სპეციალურად არასოდეს ყოფილა დაკავებული ავტობიოგრაფიების თხზვით, "სხვისი" კოლაჟების სტილიზაციით და მათი "აპოკრიფული" რედაქტირებით კი არა, საკუთარ რედიმეიდული კონსტრუქციების წარმოდგენით იყო პერსონალურად "შეპყრობილი". მიქელაძე არტეფაქტშივე ქმნის ობიექტს; და პირიქით: მზა ობიექტშივე აღმოაჩენს არტეფაქტს, წარსულის მქონე ნივთისადმი ნოსტალგიასაც გვიღვიძებს და თითქმის კონკრეტიკის ზღვარზე მყოფ ჟანრულად მაინტრიგებელ ისტორიებსაც მოგვითხრობს, ისტორიებს, რომლებიც არასოდეს გადაიზრდება ფსევდოავანგარდულ ისტერიაში და ისევ და ისევ ისტორიის ობიექტივში დაგვანახებს ყოველდღიურობას, თანაც, ყოველდღიურობას არა როგორც მოსაწყენი დღეების ქრონიკას, არამედ როგორც ულამაზეს მირაჟისმაგვარ სიურეალობას... ამგვარ "რეალობაშივე" შეგვაჭყიტებს იგივე ამირ კაკაბაძე, რომელიც ზუსტად (მხატვრულ სიზუსტეს ვგულისხმობ!) ფლობს სიურეალიების თხრობის კულტურას, ხანდახან სტერილურ ჰიგიენურობასაც რომ ესაზღვრება. ამირის "კოლაჟურ-ასამბლაჟური ნარატიული დისკურსი" (ესეც - ტერმინოლოგიური კოლაჟი!) მუდამ მოფიქრებულია, აწონილ-დაწონილი, გამოზომილი და არტისტული ისტორიზაციის (და ისტორიული არტიზაციის) იმგვარ ფილტრში გატარებული, რომელშიც ესთეტიკური ტაქტითაა წარხოცილი საგნობრივი ხსოვნის ზედმეტი და უსარგებლო ელემენტები.

ასეა, თუ გინდა მომითხრო ერთი "ამბავი", საჭიროა, დაივიწყო მეორე, თუ გსურს მომაწოდო ერთი საგანი, უნდა გადააგდო მეორე... საბოლოო ჯამში, ასეთი ნამუშევარი (დიახაც, ნამუშევარი) გსიამოვნებს, უფრო სწორად, გსიამოვნებს თვით ამ სიამოვნების მონიჭების კულტურული რეჟიმი.

ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, "ვერნისაჟში" წარმოდგენილი ხელოვნება ამჟამინდელი ისტორიული, ანდა, უბრალოდ, ქრონოლოგიური რაკურსიდან, მაინცდამაინც აღარ (თუ "ველ-არ") ატარებს რეპრესიულ კვალს, თითქოს არც არავითარი რეპრესიები არ ყოფილა და ყოველივე ეს თავად ჩვენმა ავტორებმა "გამოიგონეს", რათა ამგვარი მითოლოგიზებული ინვენციებით შეევსოთ თავიანთი არტისტული Curriculum vitae... ყოველ შემთხვევაში, რეპრესიული კულტურის ხილული კვალი, ამ არტეფაქტების სხეულის ზედაპირზე აღბეჭდილი და დატოვებული, როგორც აშკარა დამღა თუ იარა, მაინცდამაინც იოლი აღმოსაჩენი არაა...

თუმცა, რა გვიკვირს: საბჭოური კულტურის აგენტებმა (ამ სიტყვის პოლივალენტური გაგებით) ხომ კარგად იცოდნენ, რომ კვალის დატოვება სხეულზე, სულ ცოტა, სასურველი არ იყო?!

**P.S.** ახლა სხვა დროა, სხვა რეჟიმი... პარტიული "ბოსები" გამოფენებზე აღარ დადიან, ექსპოზიციებს აღარ ამოწმებენ, და თუ მაინც გამოჩნდებიან, თუნდაც, აღმაშენებლის (ყოფილი პლეხანოვის) 27 ნომერში მოწყობილ რეტროგამოფენაზე, აქ წარმოდგენილ ობიექტებს, იმედია, აღარავინ გადააფარებს პიჯაკს, ანდა, რომც მოინდომოს, რომელი ერთი უნდა "გადამალოს"?!

# ბელისიმო, ბრავისიმო, თბილისიმო!

## ვასილი დიმოვის ქართული მისია. პრიზი - ქართველობა

ია ვეკუა

ვასილი დიმოვი რუსი მწერალია. იგი სრულიად რუსია. დაიბადა რუსეთში და იქვე ცხოვრობს. მეტყველებს და ფიქრობს რუსულად, მაგრამ თავს ქართველად მიიჩნევს, ყოველ შემთხვევაში, სურს, ოდესმე ქართველად იქცეს. 48 წლისაა და როდესაც გაკვირვებული მოსაუბრე აღტაცებით აღნიშნავს, რომ კარგად შემონახულა, ამბობს, რომ ეს მხოლოდ საქართველოს დამსახურებაა. ჩვენ კი ქართველები ვართ და გვიხარია, როდესაც ვინმეს (განსაკუთრებით, რუსს) ასეთი დამოკიდებულება აქვს. მისნაირებისთვის ყველაფრისთვის მზად ვართ, თუნდაც 200-გვერდიან რომანში ერთხელ მაინც ახსენოს, საქართველოში გახლდით და კარგი სუფრა გამიშალესო. ვასილი დიმოვი ქართველობისთვის სრულიად მზადაა. ამ ტიტულის მისაღები გამოცდა კი უკვე ჩააბარა, როდესაც "თბილისიმო" დაწერა და იმ 200 გვერდში მხოლოდ საქართველოს ესაუბრება.

"საქართველოზე წიგნის დაწერა ერთგვარ მისიად მიმაჩნდა. თან არა ისეთ საქართველოზე, როგორსაც ვხედავდი, არამედ როგორსაც შინაგანად ვგრძნობდი. წიგნის დაწერა შემთხვევამ განაპირობა, თუმცა, სიტყვა "თბილისიმო" წლების განმავლობაში ცხოვრობდა ჩემში. 90-იან წლებში ერთ-ერთ გერმანულ ჟურნალთან ვთანამშრომლობდი, რომელშიც მხოლოდ პუბლიცისტური და ისტორიულ-ფილოსოფიური წერილები იბეჭდება. ჟურნალმა ესეისტების საერთაშორისო კონკურსი გამოაცხადა, თუმცა, თემა ჯერ არ ჰქონდათ შერჩეული, მე კი უკვე ვიცოდი, რომ აუცილებლად საქართველოზე დავწერდი. აღმოჩნდა, რომ ეს სრულიად არ პასუხობდა კონკურსის თემას, მაგრამ წერა უკვე დაწყებული მქონდა. დაუმთავრებელი წიგნის რამდენიმე თავი, რომლებსაც პუბლიცისტური ხასიათი ჰქონდა, იმ ჟურნალში მაინც დაიბეჭდა, მაგრამ როგორც კი რომანში პერსონაჟები - ირაკლი და ლევანი გამოჩნდნენ, თარგმნა მაშინვე შეწყვიტეს".

ვასილი დიმოვი დღეს თავად აღიარებს, რომ სხვა ერზე წერა მისი მხრიდან დიდი თავხედობა იყო, მაგრამ სხვანაირად არ შეეძლო. **"როდესაც წერა დავიწყე, მივხვდი, რომ ველარ გავჩერდებოდი, ბოლომდე უნდა მეთქვა, რასაც თქვენზე, რასაც ჩემს საქართველოზე ვფიქრობდი".**

**"თბილისი უბრალოდ ქართული ქალაქი არაა. თბილისი ნამდვილად თბილი ქალაქია"** - ეს, ერთი შეხედვით, გულუბრყვილო სიტყვები ვასილი დიმოვის "თბილისიმოს" მერვე თავის ანუ მერვე სიმღერის ამონარიდია (მწერალი სწორედ ასე ანაწევრებს წიგნს - სიმღერებად და არა თავებად). შემდეგ იქვე ამტკიცებს, რომ ეს არა მხოლოდ დე იურე, არამედ დე ფაქტოდაც აღიარებული დებულებაა და მასში დარწმუნება ნებისმიერი ეროვნების ადამიანს შეუძლია.

### "თბილისში სტუმართმოყვარეობა ხელოვნებაა"

თავად დიმოვი თბილისის სითბოში 22 წლის ასაკში საკმაოდ ცივ ვითარებაში დარწმუნდა: "ეს იყო სრულიად გიჟური ისტორია. 1979 წელს მატარებლით, უბილეთოდ ჩამოვედი. მეგობარი უნდა დამხვედროდა, რომელთან ერთადაც მოსკოვში ვსწავლობდი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ იმ დღეს დასასვენებლად სოჭში გამგზავრებულიყო. ვინაიდან მან 5 წლის განმავლობაში მოსკოვში იცხოვრა, ქართველობის რაღაც პროცენტები დაკარგული ჰქონდა, წინააღმდეგ შემთხვევაში აუცილებლად დამხვდებოდა! მოკლედ, ძლივს მივაგენი მისი ძმის ოჯახს, რომელმაც ჩემი მეგობრის ჩამოსვლამდე შემიფარა და პირველი ქართული "ლუკმაც" გამასინჯა. არ დამავიწყდება, როგორ გამგზავნა სოჭიდან დაბრუნებულმა მეგობარმა რეჰანის საყიდლად (სტუმარს ასეთებსაც მავალებდა ხოლმე - რაღაცნაირად არაქართული ქართველი იყო). წარმოდგენა არ მქონდა, რა იყო რეჰანი. ზემელზე გასტრონომში რომ ვიკითხე, გამყიდველმა ლურჯ-წითელი ბალახის გროვისკენ მიმითითა - ამდენი მწვანილი ერთად მაშინ პირველად ვნახე. გავოცდი, მაგრამ გარკვეული გაოცება მეც გამოვიწვიე, რადგან 1979 წლის თბილისის ცენტრში შორტი მეცვა!"



ვასილი დიმოვი კიდე ერთი წიგნის დაწერას აპირებს საქართველოზე.

მას შემდეგ თბილისში იმდენჯერ ჩამოვიდა, რომ სათვალავიც აერია. ერთ-ერთი სტუმრობისას მოინათლა, ჰყავს ქართველი ნათლია და გულზე ბოლნური ჯვარი ჰკიდია. ეს უკვე აფიქრებინებს, რომ მალე აქ ჩამოვა საცხოვრებლად და ბოლომდე თბილისელი გახდება.

### "ქართველები მთელი გულით ყვიროდნენ: "გაუმარჯოს საქართველოს!"

თბილისელი ცოტა ხნის შემდეგ მართლაც გახდება, თუმცა, საკუთარ თავს ცოტათი ქართველად უკვე მიიჩნევს. "თბილისიმოში" ღვინის შექმნის ლეგენდა აქვს მოთხრობილი: ღმერთი საქართველოს ესტუმრება და ახალგაზრდა ყმაწვილს წყალს სთხოვს (მიუხედავად იმისა, რომ წყაროს გვერდით დგას). ყმაწვილი წყლით სავსე თასს მიაწოდებს, ღმერთი კი ღვინოს დაუბრუნებს. ეს ლეგენდა თავად მოიგონა, რისთვისაც ცოტა ხნით ნამდვილ ქართველად იქცა. **"გაუმარჯოს საქართველოს! ეს ჩემთვის უბრალო სიტყვები არ არის. თქვენს ქვეყანაში (იქნებ უკვე ჩემსაშიც) ყოველთვის ჩამოვდიოდი - საბჭოთა წყობის, ომის, ნგრევისა და მშვიდობის დროსაც. მე ეს ქვეყანა ყველანაირი მიყვარს. წერისას კი ქართველად ვიქეცი. სხვანაირად არ შემეძლო, რადგან ქართველების მიმართ დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობდი. ერთი შეცდომაც რომ დამეშვა, მაგალითად, სიტყვა "Гамарджоба" არასწორად დამეწერა, მკითხველი იფიქრებდა, რომ მთელი წიგნი შეცდომებით იყო სავსე, ამიტომ საკუთარ თავს სრული მობილიზაცია გამოვუცხადე."**

### "ესენი ჩემი ქართველები არიან"

წერისას ყველაზე მეტად ობიექტურობის შენარჩუნება გაუჭირდა, რადგან ქართველებზე მეტად თავისებური წარმოდგენა აქვს. როდესაც გერმანული ჟურნალისთვის რამდენიმე თავს (სიმღერას) თარგმნიდნენ, ღელავდა, ისეთი რამ არ გაპარულიყო, რაც ქართველებს არ მოგვეწონებოდა. **"რა შუაშია ქართველები, განა ეს რომანი მათთვის დაწერე? ეს, უბრალოდ, მხატვრული ტექსტია საქართველოზე, მითხრა მთარგმნელმა. მართლაც, ეს რომანი იმათთვის უფრო დავწერე, ვინც სტალინისა და შევარდნაძის გარდა საქართველოზე არაფერი იცოდნენ. მათ ჩემი ქართველები გავაცანი. ძალიან ვცდილობდი, შინაგანი ცენზურა ამემოქმედებინა და ობიექტური ვყოფილიყავი, მაგრამ რა ვქნა, ქართველებზე სუბიექტური წარმოდგენა მაქვს".**

თბილისში რამდენიმე სტუმრობის შემდეგ დარწმუნდა, რომ მსგავსი ქალაქი არსად ენახა. თბილისი სამუდამოდ მხიარული და თავისუფალი ადამიანების თავშეყრის ადგილად დაამახსოვრდა. როდესაც გერმანიაში მისი წინა წიგნის შესახებ სატელევიზიო სიუჟეტს იღებდნენ, აღმოაჩინა, რომ რეჟისორი ორჯერ იყო საქართველოში ნამყოფი. **"ეს რომ გავიგე, მთელი საღამო საქართველოზე ვსაუბრობდით. ისიც აღფრთოვანებული იყო აქაურობით, თუმცა, ვერ გაეგო, რაში გჭირდებოდათ თავისუფლება, როდესაც 24 საათის განმავლობაში დღესასწაულში ცხოვრობდით. გერმანელი ამას, ალბათ, ვერასდროს გაიგებს".**

*"ქართველებს აღარ სურდათ უკან, მწარე წარსულში დაბრუნება, მათი შეჩერება არავის შეეძლო. დღეს ისინი ახალ ცხოვრებას იწყებდნენ".*

წიგნის დაბეჭდვისას სამშობლოში პრობლემები არ შეჰქმნია, გაუმართლა და საქართველოს მოყვარული გამომცემლები შეხვდა. თუმცა, რამდენჯერმე მაინც უთხრეს, რატომ მაინცდამაინც ქართველები, თბილისში ხომ სომხები, აზერბაიჯანელები, ქურთები და, რაც მთავარია, რუსები ცხოვრობენო! **"ამ სიტყვებმა გამაოგნა, თბილისი ხომ საქართველოს დედაქალაქია და ქართველების გარდა, ვისზე უნდა დამეწერა. თბილისელ სომხებსა და რუსებზე თავად დაწერონ! მე ქართველებზე მინდოდა წერა! როდესაც საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობა იძაბება, მირეკავენ და მიყვირიან, აი, შენი საქართველო და ქართველები. მგონი, ქართველებს ისე არ აშინებთ რუსეთი, როგორც რუსებს საქართველო. არადა, მიმაჩნია, რომ რუსების ცოტათი მაინც უნდა გეშინოდეთ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებენ. ხანდახან მათი მეც მეშინია, თუმცა, ნაკლებად მაწუხებს - ქართველებს ვინ შეაშინებს!"**

ვასილი დიმოვი თბილისში ორიოდე კვირის წინ ჩამოვიდა. აქ ახალ რომანს "მოსკოვურ ორშაბათებს" წერს. დამთავრებისთანავე საქართველოზე ახალი ნაწარმოების დაწერას შეუდგება (ეს ნიშნავს, რომ თბილისს კარგა ხნით, შესაძლოა, საბოლოო გაქართველებამდე შემორჩება). სათაური უკვე მოფიქრებული აქვს, მაგრამ, მისივე თქმით, იმდენად მოულოდნელი და შოკისმომგვრელი სახელწოდებაა, რომ მისი, ისევე, როგორც რომანის სიუჟეტის გამჟღავნებისგან თავს იკავებს.

რაც შეეხება "თბილისიმოს", თბილისში ჩამოსულ ავტორის წიგნის რამდენიმე სიმღერა თარგმნილი დახვდა. თარგმანი, ალბათ, მალე წიგნადაც გამოიცემა.

# BLOOMSDAY FOREVER

## "ულისეს" დღე დუბლინში

თამარ ბაბუაძე
მალხაზ ხარბედია




16 ივნისი გუშინაც ლეოპოლდ ბლუმს ეკუთვნოდა, ასე იყო შარშან, შარშანწინაც, იმისწინაც, კიდევ იმისწინაც, და ალბათ, სულ ასე იქნება, სანამ დუბლინი ფეხზე იდგება.

"ულისეს" ქალაქს წელსაც ასობით ტურისტი ეწვია. ბევრი იარეს ქალაქში, სპეციალურად ტურისტთათვის დაბეჭდილი რუქებით შეიარაღებულებმა (ეს ტურნე ათი ევრო ღირდა); მიირთვეს ლიტრობით "გინესი" - კათხა ოთხ ევროდ, და თან გემრიელად ილუკმებოდნენ უზარმაზარ სენდვიჩებს. ლუკმასა და ლუკმას, ყლუპსა და ყლუპს შორის ტურისტებს მსახიობები ართობდათ. ციხე-სიმაგრეში, სადაც "ულისე" იწყება, იმ პერიოდის ტანსაცმელში გამოწყობილი მსახიობები რომანიდან ნაწყვეტებს კითხულობდნენ და ბლუმსდეის განწყობას კიდევ უფრო ამძაფრებდნენ.

ცოტა რომანტიკოსები და "გინესით" მთვრალნი კი იმაზე ფიქრსაც ასწრებდნენ, თუ როგორ მოეწონებოდა ჯეიმს ჯოისს თანამედროვე დუბლინი - მულტიკულტურული, მდიდარი ქალაქი, სადაც ე.წ. "კელტური ვეფხვის" დარ აღმავლობას ხედავენ ეკონომისტები, ჟურნალი "ეკონომისტის" ექსპერტები კი ამტკიცებენ, რომ ირლანდია მსოფლიოში საუკეთესო ადგილია საცხოვრებლად.

ფიქრობდნენ, მოეწონებოდა თუ არა ჯოისს ის ფაქტი, რომ დუბლინელები გამდიდრდნენ, პაბებს ისე აღარ სწყალობენ, როგორც "ულისეს" დროს იყო და ლამის ირლანდიურ ვენებში გადასხმულ "გინესს" ახლა ძვირფას შავ ღვინოს ამჯობინებენ, რომელსაც შინ სვამენ - დაძაბული სამუშაო დღის შემდეგ და გაქრობით ემუქრებიან ირლანდიის პაბურ კულტურას (ალკოჰოლი ხომ ფანტაზიებს ამძაფრებს და 16 ივნისსაც "გინესში" გაზავებულმა და ქუჩებში დადგმულ წარმოდგენებად გარდასახულმა ჯოისის პროზამ მთვრალთა ფიქრებიც და ფანტაზიებიც ულიმიტოდ გააზვიადა).

სმა გრძელდებოდა, ბლუმის მიერ გაცვეთილ გზებზე სიარულიც გრძელდებოდა და შემთვრალ სტუმართა ფიქრებიც კათხიდან კათხამდე, ქუჩიდან ქუჩამდე, "ულისეს" ერთი გახსენებული ეპიზოდიდან მეორემდე სულ უფრო მძაფრდებოდა. ერთი პირობა ისინი თანამედროვე მწერლების ბედსაც გადასწვდნენ. ერთგული დუბლინელები და დუბლინის უცხოელი გამფეტიშებლები ფიქრობდნენ: რა შეიცვალა ამ ქალაქში მას შემდეგ, რაც ჯეიმს ჯოისი გარდაიცვალა (მას, ანუ 60 წლის შემდეგ). გაარკვიეს, რომ - ბევრი რამ. ქალაქი, რომელსაც ჯოისი მუდამ გაურბოდა (მართალია, ფიზიკურად და არა შინაგანი განწყობით), დღეს მწერლებისთვის ნამდვილ სამოთხედ ქცეულა: ირლანდიელ სახელმწიფო მმართველებს გადაუწყვეტიათ, რომ მწერლები გადასახადებისგან გაათავისუფლონ, და თვით ცნობილ მწერლებსაც კი თავისუფლად ცხოვრების პირობები მისცენ. ამიტომაც, ირლანდიას საცხოვრებლად დღეს ბევრი თანამედროვე ავტორი ირჩევს. მათ შორისაა, 2003 წლის "ბუკერის" ლაურეატი, ინგლისელი დი.ბი.სი. პიერიც...

თუმცა, რა დროს პიერია, როცა 16 ივნისია და ბლუმის დღე, რომელსაც ჩრდილოეთ ირლანდიაშიც აღნიშნავენ. ბელფასტში ქუინზის კინოთეატრში "ულისეს" კინოეკრანიაზაციას უჩვენებენ.

ეს პრემიერაა. რეჟისორი შონ უოლში ათი წლის განმავლობაში მუშაობდა სცენარზე, რათა კომპლექსური და რთული აგებულების ტექსტი ორ კინო-საათში ჩაეტია, მერე კი ფილმის დასაფინანსებელი თანხებიც მოეძია. "მაგრამ არა უშავს, ლოდინად ღირდა. ამ "მთის მწვერვალზე" მოქცევა ყოველთვის მინდოდა. მიზანს, ბოლოს და ბოლოს, მივაღწიე, თან ისეთი ჰუმანურობით და იუმორით გავაჯერე ის, როგორი ლიტერატურული ტრიუკებიც ჯოისმა გამოიგონა" - აცხადებს უოლში.

ფილმში ლეოპოლდ ბლუმის როლს სტივენ რი ასრულებს, ანჯელინა ბოლი კი -მოლი ბლუმის როლს. რი ამბობს: "საზოგადოება დღემდე ვერ გრძნობს ბოლომდე "ულისეს". არადა, ეს ძალიან თბილი, ემოციური ამბავია. თუ მართლა გინდა, გაიგო, რას ნიშნავს მაღალი ხარისხის მხატვრული ლიტერატურის ნიმუში, ნახე ეს ფილმი".

ასე რომ, ბელფასტში ფილმად ქცეულ "ულისეს" უყურებენ, დუბლინში კი კვლავაც "გინესს" სვამენ, და სტუმრად ჩასულ და ადგილობრივ 40-იოდე მწერალთან ერთად აღნიშნავენ ბლუმსდეის; მონაწილეობენ საზოგადო კითხვებსა და გარჩევებში, თან გონების და გულის საზრდოსთან ერთად, არც კუჭს ივიწყებენ.

როგორც უკვე მოგახსენეთ, ასე იყო წლების წინაც. ამ დღესასწაულს ხომ ჯეიმს ჯოისის თაყვანისმცემლები უკვე რამდენიმე ათეული წელია, აღნიშნავენ და მასზე მხოლოდ ლიტერატურის მოყვარულები როდი იკრიბებიან. ჯოისის, კარგი ირლანდიური პორტერისა თუ მამაპაპური ვისკის მუშტრები, როგორც წესი, დილაუთენია ადგებიან გზას და 7-8 საათისთვის ქალაქის სამხრეთით, 8 მილის დაშორებით (სანდიკოუვში) მდებარე მარტელოს კოშკთან იყრიან ხოლმე თავს - ეს ნაგებობა 1804 წელს ააშენეს ნაპოლეონის შემოსევისაგან ქალაქის დასაცავად და აქ ერთ დროს თავად ჯოისიც ცხოვრობდა. სწორედ ეს ადგილი ითვლება "ულისეს" გეოგრაფიის პირველ პუნქტად და პირველი "ბლუმსდეიც" აქ დაიწყო, 1954 წელს, რომანში აღწერილი მოვლენების 50 წლისთავზე.

რამდენიმე მწერალი და ჯოისომანი (ჯონ რაიანი, ენტონი კრონინი, მაილს ნა გოპალინი, პატრიკ კავანა და ტომ ჯოისი), მსუბუქი საუზმის შემდეგ, კოშკიდან ქალაქს გაეშურა და მცირე თავგადასავლების შემდეგ თავიანთი ოდისეა "ოლდბეილის" ბარში დაასრულა. ამის შემდეგ, ყოველ წელს, ენთუზიასტთა ჯგუფები წიგნის სალონებსა და პაბებში იკრიბებოდნენ და "ულისეს" ცალკეული თავების კითხვით "დაჰყვებოდნენ" თავიანთ საყვარელ პერსონაჟს; თანდათანობით bloomsday-ს "პროგრამა" ახალ-ახალი პროექტებით ივსებოდა, დღეობაში სულ უფრო მეტი უცხოელი იღებდა მონაწილეობას და დუბლინის გარდა მსოფლიოს ბევრ სხვა ქალაქშიც მიაგებდნენ პატივს ბლუმ-ოდისევსს, ხმამაღლა კითხულობდნენ მისი ყარიბობის ამბავს.

დუბლინში კი ხალხმრავლობა ო`კონელის ქუჩაზე იწყებოდა, ცენტრალური ფოსტის შენობასთან. აქ ისინი შეიკრიბნენ, რომლებმაც "ბლუმსდეი უოქინგ ტურში"-ში მიიღეს მონაწილეობას. ეს ადამიანები, ჯერ, როგორც წესი, დეივი ბარნის პაბში შეისვენებდნენ, თითო ჭიქა ბურგუნდიულითა და სენდვიჩებით გაიმაგრებდნენ გულს და გზას ჰარისონის რესტორანისკენ გააგრძელებდნენ, სადაც 1904 წელს (რომანშიც ხომ სწორედ 1904 წლის 16 ივნისია უკვდავყოფილი, ჯოისისა და მისი მომავალი მეუღლის, ნორას პირველი პაემანის დღე), თურმე, კარგი სუპით უმასპინძლდებოდნენ სტუმრებს.

ვისაც "ულისე" აქვს წაკითხული, მერვე, ლესტრიგონების თავიც გაახსენდება მთელი თავისი სუპის სურნელებითა და ახლადგამომცხვარი ფუნთუშების ცხელი ოხშივარით. ბლუმსდეის მონაწილეებსაც ამ კერძებით უმასპინძლდებიან ხოლმე და ზედ თითო პინტასაც არტყმევინებენ.

ბლუმსდეისადმი მიძღვნილი ავტო და მოტო რბოლების, ფოტოგამოფენების, ჯოისის "ცოლოურის" მონახულებისა და სხვა მრავალი ლონისძიებისა თუ ღვინისძიების გარდა ერთი ძალზე მნიშვნელოვანი სიახლეა დუბლინსა და მთელ მსოფლიოში. საქმე ის გახლავთ, რომ უკანასკნელი რამდენიმე წლის მანძილზე "ულისეს" კითხვის საჯარო სეანსები მსოფლიოს ყველა კონტინენტის ქალაქებში იმართება (აფრიკის, ავსტრალიის, ლათინური ამერიკისა და იაპონიის ქალაქების ჩათვლით). 1998 წელს სეანსები პირველად იყო ტრანსლირებული ინტერნეტის ქსელით და იგი რეალური დროით მიმდინარეობდა. ქსელური Bloomsday-ს პროექტი "Irish Times"-ს ეკუთვნის და მას სპონსორობას უწევდნენ იმ ირლანდიური ვისკების მწარმოებლები, რომელთა სახელწოდებებშიც ჯოისისეული სიმბოლიკა ფიგურირებდა.

ორიოდე წლის წინ, თუ არ ვცდები, "დღე" მელბურნში დაიწყო და ლოს ანჯელესში დასრულდა, თავად აქციამ კი რომანის ტექსტის დედამიწის გარშემო მოგზაურობის სახე მიიღო. თანაც, კითხვის ყოველი სეანსის დრო ირლანდიური იყო და მთლიანობაში, ბლუმის დუბლინში მოგზაურობის 24 საათი შეადგინა. ამგვარად, ქსელის მეშვეობით რომანის მთავარმა გმირმა, ლეოპოლდ ბლუმმა დღე-ღამის განმავლობაში შემოიარა მსოფლიო ისე, რომ დუბლინს არც გასცილებია, ტექსტში მონიშნული დრო კი პირველად დაემთხვა კითხვის რეალურ დროს. ზოგიერთმა იხუმრა კიდეც, სწორედ ქსელია ის "იდეალური მკითხველი", რომელზეც ჯეიმს ჯოისი ოცნებობდაო.

იმედია, ბლუმსდეი არასდროს დასრულდება. მომავალ წელს კი მარათონში უფრო მეტი ქალაქი ჩაერთვება, ვიდრე გასულ წლებში იყო და, ვინ იცის, იქნებ ზოგიერთმა დაუზარელმა თბილისელმა მთელი დღეც მიუძღვნას XX საუკუნის საუკეთესო ინგლისურენოვან რომანად აღიარებული ნაწარმოების მოსმენას.

საწელი
გვარი
ასაკი
სიმაღლე
მისამართი
საკონტაქტო ტელეფონის ნომერი

1 ოჯახური მდგომარეობა :
დაქორწინებული
დაუქორწინებელი
განქორწინებული
ქვრივი

2 შვილები: (თუ გყავთ)

3 პროფესია :

4 სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

5 აქამდე სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

6 სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის?

7 სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის?

8 თქვენი ინტერესები

9 თქვენი ჰობი

10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ?

11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დავხარჯავ არ მიიღება)

12 როგორ გრძნობთ თავს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი)

13 როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი)

ხელმოწერა ________ თარიღი ________
ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება !



გადაცემა
სუსტი რგოლი

მოთამაშის ანკეტა

თქვენი ფოტოსურათი



# თანამედროვე "ძაღლობა" ძაღლურ ქვეყანაში



"ვინც ამბობდა, სახლებს ბუშის ჩამოსვლისთვის ღებავსო, იმათ ჯინაზე მთელ თბილისს (ვაკეს) გადავღებავ", "ვინც ამბობდა ასფალტი მარტო აეროპორტის გზაზე დააგესო, იმათ ჯინაზე მთელ თბილისში (ვაკეში) დავაგებ" - ამ და სხვა გარდამავალ ასაკში, ჯინიანობის პიკში მყოფი მოზარდის მიერ წარმოთქმული განცხადებების მსგავსად, ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტი გამუდმებით "გვემუქრება". ვისი ჩამოსვლისთვის გაკეთდება საქმე თუ ვის ჯინაზე შეიღებება სახლები და დაიგება ასფალტი, ამას მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია, რომ შეიღებოს (შხამიან ფერებში) და დაიგოს, ერთი სიტყვით, მთავარია საქმე გაკეთდეს. ჩვენს მიერ არჩეული პრეზიდენტი, რომ ინფანტილიზმის მძაფრ ნიშნებს ატარებს, ვფიქრობ, ეს ყველასათვის ცხადია. საშიში და შემაშფოთებელი სხვა არის. ჩვენს ქვეყანაში ვიღაცის მოწოდებით და ვიღაცის ჯინაზე უდანაშაულო ადამიანების დაპატიმრება დაიწყეს. მაგრამ, ასევე სამწუხაროა ის ფაქტი, რომ პრობლემა დღეს არ დაწყებულა.

მაშინ, როდესაც მიხეილ ჯანიკაშვილის მხარდასაჭერად, მისი შვილის მეგობრები შეიკრიბნენ, მათ საზოგადოების ერთმა ნაწილმა ბრალი დასდო, აქამდე, ანუ დღევანდელ დღემდე გულგრილობაში, ქვეყნის პრეზიდენტმა კი გამოაცხადა - "მე საძმაკაცოს პრეზიდენტი არ ვარ, კორუმპირებულებს მაინც ჩავსვამთ ციხეში".

**პირველი**. რევოლუციის შემდეგ, მაშინ როდესაც საქართველოში დაიწყო დამნაშავეების უსამართლო ფორმებით დაპატიმრება და უკანონოდ ფულის ჩამორთმევა (ამით ბიუჯეტის შევსება), ეს ადამიანები, ვუწოდოთ მათ "საძმაკაცო", ყველა საჯარო გამოსვლაში აპროტესტებდნენ ხელისუფლების ამ ქმედებას (ამის დასამტკიცებლად გასული წლის ჩანაწერების მოძიებაც არის შესაძლებელი). მაგრამ ამ ეტაპზე უდანაშაულო ადამიანის დასაცავად ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. საკვირველი არც ის არის, რომ ასე აქტიურად "საძმაკაცო" მაშინ ალაპარაკდა, როდესაც კონკრეტულად მათი ახლობელი ადამიანი გახდა უსამართლობის მსხვერპლი. ჩვენ სამძიმარზე ჩვენი მეგობრის ბებიის თუ ბაბუის პანაშვიდზე მივდივართ და არა ყველა გარდაცვლილის ოჯახში. მგონი, ესეც ბუნებრივია. ერთი სიტყვით, საზოგადოების (პატარა) უკმაყოფილო ნაწილის არგუმენტები, დღეისათვის ხელისუფლების წისქვილზე ასხამს წყალს და მათ აძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ "საძმაკაცოების ხელისუფალნი არ არიან". თუმცა, ამ "საძმაკაცოს" გარკვეული ხელშეწყობით მოხვდნენ თავიანთ თბილ და რბილ სავარძლებში. მაშინ მათთვის თბილი სიტყვები არ ენანებოდათ, მაგრამ ისიც ცხადია, რომ პრეზიდენტი მათი სახით იმ მონებს ხედავდა, რომელიც ახლა პარლამენტში თუ სხვა სამთავრობო სტრუქტურებში უხვად ჰყავს. მაგრამ არც ეს არის დღეს მნიშვნელოვანი.

თავისთავად მივადექით მეორე პრობლემას, როდესაც პრეზიდენტი აცხადებს, რომ კორუმპირებულს დაიჭერს (ალბათ "საძმაკაცოს" ჯინაზე). ის, რომ ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტი ყველა სატელევიზიო გამოსვლაზე კომენტარს აკეთებს, ამას უკვე მივეჩვიეთ, საქმე იმაშია, რომ კომენტარები სულ უფრო და უფრო აბსურდული და გამაოგნებელი ხდება. პრეზიდენტი თავისი კომენტარით, პირდაპირ მითითებას აძლევს სასამართლოს და პროკურატურას - მსჯავრდებული უნდა დაიჭირონ. ის არ ამბობს, რომ საქმე სრულყოფილად უნდა იყოს გამოძიებული და თუკი თავად ამ საქმეს გაეცნობა, ასეთი განცხადებების უფლებას საკუთარ თავს ვერ მისცემს.

გუშინდელ სასამართლო პროცესს, რომელიც ამ გახმაურებულ ფაქტს შეეხებოდა, დამსწრე საზოგადოება ხან აბსურდის თეატრს ადარებდა და ხან ფანტასტიკური ჟანრის ფილმებს. საბედნიეროდ 37 წელს არ მოვსწრებივარ, საუბედუროდ კი ჩემს გარშემო ადამიანები არიან, ვინც ამ პერიოდსაც მოესწრო და საკუთარ მხრებზეც გადაატარა. ვიღაცა ცილს დამწამებს, რომ აზრი უტრირებული და გადამეტებულია, მაგრამ გუშინდელი სასამართლო პროცესი და პროკურორების ბრალდება (მხატვრული სიმბოლო რომ გამოვიყენოთ) "ლონდონიდან ბომბეიმდე გათხრილი გვირაბის" ბრალდებას ჰგავდა. ორი, გაპრიალებული, დასუფთავებული, ტეხილი მოძრაობებითა და ცინიკური გამომეტყველების მქონე (ტიპური "ძველი ბიჭი") პროკურორი არარსებული კანონის დარღვევაში სდებდა ბრალს "დამნაშავეს"; ასტრალში გასული მოსამართლე ფორმალურ შეკითხვებს სვამდა. მას მითითება და გადაწყვეტილება სხდომამდე ჰქონდა მიღებული. ასე რომ, ეს იმ აბსურდის თეატრს ჰგავდა, რომელიც რეალობაშიც არსებობდა, მხოლოდ 60-68 წლის წინ და ამ აბსურდის თეატრს მილიონობით ადამიანის სისხლი მოჰყვა.

მოსაზრების ასეთი სიმძაფრე ალბათ საკვირველია, მაგრამ თუკი ერთ, ნებისმიერ სასამართლო პროცესს მაინც დაესწრებით, ჩემი შთაბეჭდილება საკმაოდ მოკრძალებული მოგეჩვენებათ. არა მგონია, დღეს ვინმეს განსხვავებული აზრი ჰქონდეს ქართულ სასამართლოსთან დაკავშირებით - დღეს სასამართლო მხოლოდ ხელისუფლების დაკვეთას ასრულებს და სხვას არაფერს.

დაკვეთა კი ასეთია. დამნაშავენი არც ისე ბევრნი იყვნენ, ყველა გამოვიყენეთ, ახლა უდანაშაულოების დრო დადგა. ხელისუფლება დამნაშავეებს კანონის დარღვევით "არეკეტებდა", დღეს კი უდანაშაულოების ხარჯზე გვინდა ბიუჯეტის გაზრდა თუ პარტიის ხაზინაში ფულის ჩარიცხვა (პარტიის თვალში ქულების შეგროვება). ამიტომ, ჯანიკაშვილზე განაწყენებული კეზერაშვილი (ერთ-ერთი მთავარი დამნაშავე თანამედროვე საქართველოში) და მასთან ერთად მთელი ხელისუფლება (ხაზინაში ზედმეტი უკანონო ფული ვერ შევიდა) ალოგიკური ბრალდებების საფუძველზე ციხეში სვამს უდანაშაულო მეცნიერს. ჯერ დამნაშავეებს ვიჭერდით, შემდეგ დანაშაულში ეჭვმიტანილებს, შემდეგ უდანაშაულოებს და ბოლოს ყოველ ჩვენთაგანს მოგვაკითხავენ და ყველას, ვინც "პარტიულ წინსვლებს" ხმამაღლა არ დაუჭერს მხარს, ყველას დაგვაპატიმრებენ. როგორც ეტყობა, დანაშაულის შეთითხვნა არც 37 წელს უჭირდათ და არც ახლა გაუჭირდებათ, ფანტაზია და სახელმძღვანელო ამისათვის საკმარისზე მეტია.

ამ რადიკალური განცხადებების უფლებას, პირველ რიგში, ის მაძლევს, რომ მკაფიოდ ჩანს, - დღევანდელი ხელისუფლებისაგან არ არსებობს დამოუკიდებელი სასამართლოს შექმნის ნება. ძალიან ცოტა ხნის წინ, იმდროინდელ მილიციას, თუ შემდეგ პოლიციას, "ძაღლებად" მოვიხსენიებდით და ეს სახელი არც თუ ისე შორს იდგა სინამდვილისგან. ნდობა "ძაღლების" მიმართ მინიმალურადაც კი არ არსებობდა, სულ რამდენიმე თვეში ეს სიტყვა - "ძაღლობა" ხმარებიდან ამოვარდა და დღეს პატრული დიდი ნდობით სარგებლობს. საყურადღებო ის არის, რომ ეს მენტალური პრობლემა, თუ სრულყოფილად არა, მეტწილად მაინც მოისპო. დღეს ყოველი ჩვენთაგანი, საშველად პატრულს მიმართავს. აქედან გამომდინარე, ამ უდიდესი მახინჯი სისტემის გამოცვლა სულ რამდენიმე თვეში გახდა შესაძლებელი, ზუსტად ერთ წელიწადში გახდა შესაძლებელი განათლების რეფორმის რეალურად გატარება და აშკარაა თუნდაც მცდელობა მისაღები გამოცდების ქრთამის გარეშე ჩატარებისა. აქ, ამ შემთხვევაში, ხელისუფლების მხრიდან აშკარა სურვილი არის და მე, როგორც რიგით მოქალაქეს, ამის დანახვა შემიძლია და ვხედავ. მაგრამ სამწუხაროდ იმასაც ნათლად ვხედავ, რომ დამოუკიდებელი სასამართლოს არსებობის არავითარი სურვილი არ არსებობს. დღეს თანამედროვე "ძაღლების" ფუნქცია ახალგაზრდა "გასისინებულმა" პროკურორებმა და დაბეჩავებულმა მოსამართლეებმა, ჩვენდა სამწუხაროდ, იტვირთეს. თუკი სულ რაღაც ერთი წლის წინ ხალხის მხრიდან ნდობის არც ერთი წვეთი არ არსებობდა პოლიციის ("ძაღლობის") მიმართ, ასევე არ არსებობს სასამართლოს და პროკურატურის (თანამედროვე "ძაღლების") მიმართ. როგორც ეტყობა, ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა, "ძაღლების" გარეშე კიდევ დიდხანს ვერ იარსებებს.

ინფოთეკა

### "არსენალი" მზადაა, პირესს დაემშვიდობოს

ლონდონის "არსენალის" ნახევარმცველი რობერ პირესი უარს აცხადებს, კლუბთან ახალი ხელშეკრულების გაფორმებაზე იმ მიზეზით, რომ კონტრაქტი მხოლოდ ერთ წელს ითვალისწინებს. ფეხბურთელს ორწლიანი შეთანხმება უნდა. ეს კი ეწინააღმდეგება კლუბის პოლიტიკას: "არსენალი" გრძელვადიან კონტრაქტს არ აფორმებს 30 წელს გადაცილებულ ფეხბურთელებთან.

მოსალოდნელია, რომ "მეთოფეები" პირესის მყიდველებს დაუწყებენ ძებნას როგორც ესპანეთში, ისე იტალიაში.

### სოლარი ცალი ფეხით "ინტერშია"

შესაძლებელია, მადრიდის "რეალის" ნახევარმცველი სანტიაგო სოლარი უკვე ამ კვირაში გადავიდეს "ინტერში". ინგლისური მედიის ცნობით, არგენტინელმა პერსონალური კონტრაქტის დეტალები შეათანხმა მილანის გუნდთან. შეთანხმება ოთხ წელს ითვალისწინებს. გარდა ამისა, სოლარი "ინტერს" სამი მილიონი გირვანქა სტერლინგი დაუჯდება.

### რაიკაარდი: "სავიოლა "ბარსელონაში" არ დაბრუნდება"

"როიტერსის" ცნობით, გუშინ "ბარსელონას" მთავარმა მწვრთნელმა ფრანკ რაიკაარდმა განაცხადა, რომ კატალონიური კლუბის კუთვნილი ფეხბურთელი ხავიერ სავიოლა არც მომავალ სეზონზე ითამაშებს მათთან. შეგახსენებთ, გასული წელი არგენტინელმა ფეხბურთელმა იჯარის წესით ითამაშა ფრანგულ კლუბ "მონაკოში". ამჟამად სავიოლას ბედი გაურკვეველია.

"სავიოლა შესანიშნავი ფეხბურთელია. სამწუხაროდ, გუნდში 40 ადამიანის გაჩერება არ შეგვიძლია", - განაცხადა რაიკაარდმა.

მოცემულ მომენტში ჰოლანდიელი სპეციალისტის განკარგულებაში მაღალი კლასის სამი ფორვარდია: სამუელ ეტო`ო, ჰენრიკ ლარსონი და მაკსი ლოპესი. რაც შეეხება სავიოლას, მის მიმართ დიდ ინტერესს ამჟღავნებს მადრიდის "ატლეტიკო".

აქვე ერთი ინფორმაცია "ბარსელონასთან" დაკავშირებით.

"ბარსას" ნახევარმცველმა დეკუმ კლუბთამ კონტრაქტის ვადა 2010 წლამდე გააგრძელა. ახალი შეთანხმების მიხედვით, მისი ხელფასი ორჯერ გაიზარდა - ამიერიდან პორტუგალიელი ფეხბურთელი წელიწადში ხუთ მილიონ ევროს მიიღებს.

### რონალდუ მზადაა, ახალ კონტრაქტს მოაწეროს ხელი

"მანჩესტერ იუნაიტედის" ნახევარმცველმა კრიშტიანუ რონალდომ განაცხადა, რომ მზადაა ამჟამინდელ გუნდთან ახალ კონტრაქტს მოაწეროს ხელი. ბრიტანული პრესის ცნობით, უახლოეს დღეებში მანკუნიანელები ხუთწლიან კონტრაქტს შესთავაზებენ თავიანთ ფეხბურთელს. სავარაუდოდ, ამ შეთანხმებაში მნიშვნელოვნად იქნება გაზრდილი პორტუგალიელი ფეხბურთელის ხელფასი.

### ნედვედი "იუვენტუსში" ალბათ კიდევ ორ წელიწადს დარჩება

იტალიური კლუბის "იუვენტუსის" ნახევარმცველმა პაველ ნედვედმა განაცხადა, რომ კლუბის ხელმძღვანელობა კონტრაქტის ვადის ორი წლით გაზრდას სთავაზობს. ჩეხის მიმდინარე შეთანხმებას მომავალი სეზონის ბოლოს გასდის ვადა.

"ჩემთვის აუცილებელია ზოგიერთ საკითხს გადავხედო, რადგან "იუვენტუსმა" ორწლიანი კონტარქტი შემომთავაზა", - განაცხადა ფეხბურთელმა.

აღსანიშნავია, რომ უფრო ადრე ეს ფეხბურთელი კონტრაქტის ვადის გასვლამდე კლუბიდან წასვლას აპირებდა.

### "ლივერპული" იაპონიაში არ წავა

ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულმა გუნდმა "ლივერპულმა" უარი თქვა, მონაწილეობა მიეღო იაპონიის ტურნეში, რომელიც დაგეგმილი იყო ივლისის ბოლოსთვის. ორგანიზატორის სიტყვებით, ეს გადაწყვეტილება ბრიტანელებმა ევროპის მთავარი საკლუბო ტურნირის შესარჩევი მატჩების გამო მიიღეს.

### სუნესი დასაჯეს

ინგლისური კლუბის "ნიუკასლის" მთავარმა მწვრთნელმა გრემ სუნესმა 20 გირვანქა სტერლინგის ოდენობის ჯარიმა და ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღო მსაჯის ბარი ნაითის გაკრიტიკებისთვის. ინციდენტი 7 მაისს ქვეყნის ჩემპიონატში "ევერტონთან" მატჩის დროს მოხდა.

ფეხბურთი

# "ლოკომოტივმა" ლიანდაგი ბარსელონამდე გაიყვანა

მიხეილ აბაიშვილი

საქართველოს საფეხბურთო რესურსმა ესპანური გრანდი, კატალონიის სიამაყე "ბარსელონა" დააინტერესა. ეს ინტერესი პირინეელებს "ლოკომოტივის" ახალმა მეპატრონემ "სილქ როუდ ჯგუფმა" გაუღვივა. კომპანიას (მისი ბიზნესი ძირითადად სამშენებლო სფეროს უკავშირდება) ესპანეთშიც აქვს წარმომადგენლობა. სწორედ ამ წარმომადგენლობის ინიციატივით, "ბარსელონას" ემისრები თბილისში ჩამოვიდნენ. "ბარსელონას" ფარმკლუბებისა და ახალგაზრდული გუნდების კოორდინატორი ჟოზეფ კონბაუ და ამავე კლუბის "ნაციონალური მწვრთნელი" იაგო ეგილარი გუშინ, მიხეილ მესხის სტადიონის საკონფერენციო დარბაზში ქართული მედიის წინაშე წარდგნენ. პრესკონფერენციას ესწრებოდნენ ესპანეთში "სილქ როუდ ჯგუფის" წარმომადგენელი სებასტიან მოლინა და "ლოკომოტივის" დირექტორი ლევან ყიფიანი.

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით, რომ საფეხბურთო კლუბ თბილისის "ლოკომოტივთან" იქმნება დავით ყიფიანის ბავშვთა საფეხბურთო სპორტსკოლა, რომელიც სექტემბერში დაიწყებს მუშაობას. ბარსელონელთა ინტერესი სწორედ ამ სკოლას უკავშირდება.

"ჩემი კლუბი მთელ მსოფლიოში ეძებს საფეხბურთო ტალანტებს. ბავშვთა სკოლა გვაქვს გახსნილი ესპანეთის სხვადასხვა რეგიონში, მექსიკაში, მალაიზიაში... საქართველო "ბარსელონას" ტალანტების მოძიების პროგრამაში სექტემბრიდან ჩაერთვება. ურთიერთობა გვექნება საფეხბურთო კლუბ "ლოკომოტივთან" და მასთან არსებულ დავით ყიფიანის სახელობის სპორტსკოლასთან, რომლებსაც "სილქ როუდ ჯგუფის" დახმარებით დავუკავშირდით. თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ რაიმე შეზღუდვას ვაწესებთ, პირიქით, თუ ნიჭიერ ყმაწვილს სხვა სკოლაში ან საქართველოს სხვა რეგიონში აღმოვაჩენთ, ამ პროგრამაში აუცილებლად ჩავრთავთ", - აღნიშნა ჟოზეფ კონბაუმ.

თანამშრომლობა რამდენიმე ასპექტს გულისხმობს. მწვრთნელების მომზადება, საქართველოში ფეხბურთელების წვრთნისა და სწავლების ბარსელონასეული მეთოდიკის დანერგვა და ასე შემდეგ, თუმცა, მთავარი ასპექტი მაინც ტალანტების გამოვლენა და "ბარსელონასთვის" ცვლის მომზადება გახლავთ. ასეთი თანამშრომლობა, დამეთანხმებით, ქართული მხარისთვისაც მომგებიანი და სასარგებლოა.

"ტექნიკური თვალსაზრისით, ქართული ფეხბურთი ძალზე ჰგავს ესპანურს, რამაც გადაგვაწყვეტინა საქართველოს ჩართვა ტალანტების მოძიების ჩვენეულ პროგრამაში. "ბარსელონას" სტრატეგიის თანახმად, ჩვენ თავად ვზრუნავთ კადრების გაზრდაზე და აქცენტს არ ვაკეთებთ სატრანსფერო ბაზრის აქტივობაზე, რაც კოლოსალურ ფინანსურ დანახარჯებთან იქნებოდა დაკავშირებული. დღევანდელი "ბარსელონას" პირველი გუნდის შემადგენლობა ძირითადად სწორედ ჩვენი კლუბის მიერ აღზრდილი ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული. ნიჭიერი ბავშვის აღმოჩენის შემთხვევაში მოზარდი მიგვყავს ბარსელონაში და მის აღზრდა-განვითარებას, ფეხბურთელად ჩამოყალიბებას უზრუნველვყოფთ. ყველა ხარჯს "ბარსელონა" იღებს საკუთარ თავზე", - აღნიშნა კონბაუმ.



"ლოკომოტივმა" "ბარსელონასთან" მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

ის, რომ პროექტი რეალურ სახეს იძენს, "სილქ როუდ ჯგუფის" და "ლოკომოტივის" ხელმძღვანელობის დამსახურებაა. კლუბის დირექტორი ლევან ყიფიანი ამ პროექტზე დიდ იმედებს ამყარებს და მიიჩნევს, რომ ეს გზა ევროპაში გაჭრილი პირველი სარკმელია.

"არა მხოლოდ "ლოკომოტივისთვის", არამედ მთელი ქართული ფეხბურთისთვის მნიშვნელოვანი მოვლენაა. ბავშვთა ფეხბურთის განვითარებაში ისეთი დონის კლუბის ჩართვა, როგორიც "ბარსელონაა", დიდ სიკეთეს მოგვიტანს. ეს არ გახლავთ კომერციული პროექტი და მისი განხორციელება "სილქ როუდ ჯგუფს" ვერავითარ ფინანსურ დივიდენდს ვერ მოუტანს, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ეს კომპანია ფეხბურთში ფულის საშოვნელად კი არ არის მოსული, არამედ, გული შესტკივა ამ სახეობაზე და ყველაფერს აკეთებს მისი განვითარებისთვის.

სტუმრები უკვე დაესწრნენ 1995 წელს დაბადებული მოზარდების ვარჯიშს. მათზე ამ პირველმა ნაცნობობამ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. იაგო ეგილარი და ჟოზეფ კონბაუ ერთ კვირაში დაბრუნდებიან ესპანეთში, თუმცა, ეგილარი სექტემბერში ისევ ჩამოვა და აქ ათ თვეს დარჩება. ამ პერიოდში ის ჩვენს სკოლაში დანერგავს წვრთნის ბარსელონასეულ მეთოდიკას, ჩაატარებს სამწვრთნელო სემინარებს და გამოავლენს იმ ნორჩ ფეხბურთელებს, რომლებიც ესპანეთში გაემგზავრებიან და "ბარსელონას" პრესტიჟულ სკოლაში გააგრძელებენ სწავლას", - განაცხადა ლევან ყიფიანმა.

# გია ფირცხალავა გენმდივნად?

პაატა თოთაძე

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ახლად არჩეულ პრეზიდენტს ნოდარ ახალკაცს ჯერ არც ერთი საკადრო გადაწყვეტილება არ მიუღია, რაც ქართული საფეხბურთო სამყაროს მოლოდინს უფრო ზრდის. ყველაზე დიდ ინტერესს "რუხი კარდინალის" ანუ გენერალური მდივნის პოსტი იწვევს. ნამდვილად არ იყო საფუძველს მოკლებული აზრი, რომ ახალკაცი ამ პოსტზე "დინამოს" ყოფილ მმართველ დირექტორზე დავით პეტრიაშვილზე შეაჩერებდა არჩევანს. პეტრიაშვილთან ახალ პრეზიდენტს ფედერაციაში თანამშრომლობის 6-წლიანი სტაჟი და მეგობრობა აკავშირებს. დავით პეტრიაშვილი საკმაოდ გამოცდილი საფეხბურთო მოხელეა და უეფას ჩინოსნებთანაც კარგი ურთიერთობა აქვს.

თუმცა, წამოტივტივდა ახალი და არანაკლებ რეალური კანდიდატი. ეს გახლავთ ასევე "დინამოს" ექსმმართველი დირექტორი, რომელიც საქართველოს საუკეთესო კლუბს პეტრიაშვილის მისვლამდე ედგა სათავეში. ფირცხალავაც გამოცდილი საფეხბურთო ფუნქციონერია - მას ფედერაციაში ერთიერთი ყველაზე საპასუხისმგებლო - საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარის პოსტი ეკავა. მან მას შემდეგ დატოვა სფფ, რაც ფედერაციამ დაიწყო საქართველოს ჩემპიონატის ახალი - შემცირებულფორმატიანი მოდელის დამუშავება, რასაც ფირცხალავა ეწინააღმდეგებოდა. ახალი პრეზიდენტი არ მალავს სურვილს, რომ საქართველოს ჩემპიონატში გუნდების რაოდენობა 16-მდე გაზარდოს. შესაძლოა, ეს იდეური თანხვედრაც იყოს ფირცხალავაზე არჩევანის შეჩერების ერთ-ერთი მიზეზი.

ეს საკადრო გადაწყვეტილება ჯერ გამომზეურებული არ არის, თუმცა, ახალკაცთან დაახლოებულმა სანდო წყარომ დაადასტურა, რომ ამ პოსტზე ფირცხალავას კანდიდატურა არათუ რეალურად განიხილება, არამედ თითქმის გადაწყვეტილიცაა.

# სესკ ფაბრეგასი: "გვარდიოლა ჩემი კერპია!"

ლაშა გოდუაძე

ესპანელი ნახევარმცველი სესკ ფაბრეგასი ლონდონის "არსენალის" ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა მეგოლეა - 2003 წლის 2 დეკემბერს, როცა მან "ვულვერჰემპტონის" კარი დალაშქრა, მხოლოდ 16 წლის და 212 დღის იყო.

გასულ სეზონში სესკ ფაბრეგასი ხშირად ჩნდებოდა "მეთოფეთა" ძირითად შემადგენლობაში - ჩანს, კლუბის თავკაცი არსენ ვენგერი ყმაწვილს გამოცდილ თანაგუნდელთა მხარდამხარ თამაშს აჩვევს. სხვათა შორის, პირენეელმა ჩემპიონთა ლიგაშიც მოასწრო თავის გამოჩენა - ჯგუფურ ეტაპზე ნორვეგიული "რუსენბორგის" კარი დალაშქრა.

ინტერვიუ, რომელსაც დღეს გთავაზობთ, პოპულარულ ჟურნალ "ევროფუტბოლში" გამოქვეყნდა.

**- საინტერესოა, როგორ შეეჩვიეთ ინგლისში ცხოვრებას? თუ გულშემატკივრის თვალით შევხედავთ, უნდა ითქვას, რომ ადაპტაცია არ გაგჭირვებიათ...**

- სიმართლე გითხრათ, პრობლემა არ შემქმნია - ჩემთან ერთად ხომ ჩემი ოჯახი ცხოვრობდა. თანაც, "არსენალში" ჩემი თანამემამულე ხოსე ანტონიო რეიესი თამაშობს, რომელთანაც თავისუფალი დროის დიდ ნაწილს ვატარებ. ეგეც არ იყოს, მანჩესტერელ ხერარდ პიკესთან დამეგობრებაც მოვასწარი. ერთი სიტყვით, ამ მხრივ პრობლემა არ შემქმნია. თავდაპირველად, სამი-ოთხი თვის განმავლობაში ენის არცოდნის გამო მექმნებოდა მცირე პრობლემები. სხვა მხრივ ყველაფერი ჩინებულად დაიწყო.

**- თქვენ 17 წლის ხართ, საფეხბურთო კარიერის დასასრულამდე კი ძალიან შორია. შესაძლებელია თუ არა, რომ სესკ ფაბრეგასმა, ახალგაზრდა ესპანელმა ფეხბურთელმა, მთელი კარიერა სამშობლოსგან მოშორებით, ინგლისში, კონკრეტულად, ლონდონის "არსენალში" გაატაროს?**

- ამქვეყნად ყველაფერი შესაძლებელია. ამ ეტაპზე ჩემს თავს სხვა გუნდში მართლაც ვერ წარმოვიდგენ - "არსენალში" ბრწყინვალე სიტუაციაა შექმნილი და ფეხბურთის კარგად თამაშის გარდა არაფერზე ვფიქრობ. გულით მინდა, რომ ყოველთვის ამ განწყობით ვითამაშო. კარგი იქნება, თუ მომავალი კარიერა მართლაც "არსენალთან" იქნება დაკავშირებული - ეს კლუბი ძალიან მიყვარს1

**- საინტერესოა, თუ გრძნობთ სხვაობას "ბარსელონასა" და "არსენალის" წვრთნებს შორის?**



- რა თქმა უნდა, სხვაობა თვალშისაცემია! როცა "ბარსელონაში" ვთამაშობდი, ძალიან მიჭირდა - დილით სკოლაში მივდიოდი, ვსწავლობდი და მხოლოდ ამის შემდეგ ვვარჯიშობდი. კაცმა რომ თქვას, აქაც ასეა, მაგრამ დატვირთვებს შედარებით იოლად ვიტან. ალბათ, ასაკის ბრალია - ესპანეთში ხომ სკოლის მოსწავლე ვიყავი...

**- სად უფრო კარგი სავარჯიშო პირობებია - "ბარსელონაში" თუ "არსენალში"?**

- უპირატესობას აქაურობას მივანიჭებდი და აი, რატომ: "ბარსელონაში" ოთხი შესანიშნავი მოედანი იყო, თუმცა, იქ მხოლოდ იმ შემთხვევაში ვვარჯიშობდით, თუ პირველი გუნდი თავისუფალი იყო. "არსენალში" კი უკლებლივ ყველა სავარჯიშო მინდორი ერთი და იგივე დონისაა და სადაც გაგვიხარდება, იქ ვთამაშობთ. ერთი სიტყვით, პირადად მე ლონდონური პირობები უფრო მომწონს1

**- და მაინც, ძალიან საინტერსოა, რატომ დატოვეთ "ბარსელონა" და რატომ გადაწყვიტეთ, კარიერა "არსენალში" გაგეგრძელებინათ? სხვა თუ არაფერი, ბავშვობიდან კატალონიური კლუბის სკოლაში ვარჯიშობდით და, ბოლოს და ბოლოს, ბარსელონელი არ ხართ...**

- მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ძალიან მომწონდა ლონდონი და "არსენალი"! როცა პირველად ჩამოვედი ლონდონში და ბავშვები კლუბის საწვრთნელ ბაზაზე წაგვიყვანეს, ნანახი ისე მომეწონა და რომ სამშობლოში დაბრუნებულს, ერთი სული მქონდა, კვლავ ლონდონში ჩავსულიყავი. საბედნიეროდ, წლების შემდეგ ოცნების ხორცშესხმის შანსი მომეცა და არც დავფიქრებულვარ. მგონი, არ შევმცდარვარ.

**- გასული სეზონის დაწყებამდე გრძელ თმას ატარებდით, თუმცა, სეზონის დასაწყისს მოკლე თმით შეხვდით. რატომ შეიჭერით, თანაგუნდელები ხომ არ დაგცინოდნენ?**

- ჰო, მაშინ მართლა არ მანებებდნენ თავს, თუმცა, ახლა სიტუაცია შეიცვალა და ჩემს ვარცხნილობაზე ყურადღებას აღარ ამახვილებენ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ თქვენს მიერ ხსენებული ნაბიჯი სწორედ ენამწარე თანაგუნდელების გამო გადავდგი.

**- სესკ, როგორ ფიქრობთ, მომავალი სეზონი უკეთესი იქნება? ბოლოს და ბოლოს, შეძლებთ თუ არა ვიეირას მხარდამხარ ძირითად შემადგენლობაში ადგილის დამკვიდრებას?**

